Methods. The study enrolled a total of 92 ethnically Georgian middle-aged (38-62 year old) patients of stage I essential hypertension (JNC VIII). 54 of them were females and 38 males. The administration of any antihypertensive drugs was discontinued at least 2 weeks before the study. Patients were excluded if they had a history of cardiac disease, stroke, hepatic disease, renal disease or diabetes mellitus. No patient showed any evidence of a detectable secondary cause for hypertension. Anthropometry, blood pressure monitoring, and 24-hour urinary sodium excretion were performed. All subjects were volunteers (signed informed consent form) and non-smokers. They were tested for salt-sensitivity: during the first week subjects were on high sodium diet (200 mmol/d per 70 kg) both by adding 100 mmol directly to the food and by administering 100 mmol in capsules ingested 3 times daily with meals. Next week subjects were placed on a low-salt diet aimed at a maximum intake of 40 mmol sodium per day. Compliance with the diet was confirmed by measurement of 24-hour urinary sodium excretion during the last 2 days of both weeks (24-h urinary sodium excretion was used to determine actual levels of salt intake and compliance with sodium diets). Salt sensitivity was assessed by the difference of mean arterial pressure (MAP) on high (200 mmol/day) vs. low (40 mmol/day) salt diet. Salt-sensitivity was considered when difference between MAP exceeded 3 mm Hg.

Blood pressure circadian rhythm was assessed by 24-hour ambulatory blood pressure monitoring with 1-hour intervals. Daytime (from 8:00 AM until 23:00 PM) and night time (from 23:00 PM till 8 AM) mean MAP ratio will be estimated.

Circadian rhythm of renal sodium excretion was assessed by comparison of daytime (from 8:00 AM until 23:00 PM) and nocturnal (from 23:00 PM up to 8:00 AM) natriuresis and calculating their ratio.

MS was classified as recommended by the International Diabetes Federation - IDF9, characterized by abdominal waist circumference ≥ 90 cm in men and ≥ 80 cm in women (at least two of the following criteria was considered for MS: triglycerides ≥ 150 mg/dl, HDL-cholesterol < 40 for men < 50 for women, systolic blood pressure ≥ 130 mm Hg and/or diastolic blood pressure ≥ 85 mm Hg, and fasting glucose ≥ 100 mg/dl). The presence of diabetes mellitus did not exclude the diagnosis of MS. The association of three or more abnormal factors confirmed the diagnosis of MS.

Data obtained are presented as mean \pm SEM. The effect of dietary Na intake on measured variables was determined by Student's *t* test and ANOVA. Correlation coefficient was calculated using Pearson method. $P < 0.05$ was considered significant.

Results and discussion. Our results have shown that virtually all hypertensive patients consumed very high amount of sodium chloride in excess of 300 mmol sodium. Therefore, we skipped high-salt diet and placed hypertensive subjects on one-week low-salt diet to determine the salt sensitivity.

Salt sensitivity (when difference between MAP exceeded 3 mm Hg) was detected in 57 (62%) of hypertensive patients. MS was detected in 33 (36%) of all hypertensive patients. 25 (76%) of them were salt-sensitive.




Fig.1. Salt sensitivity in hypertensive patients

Our study, as well as some other studies, confirms that salt sensitive hypertension is more prevalent among metabolic syndrome patients [15].

We found that the blood pressure failed to fall during the nighttime in SS patients with essential hypertension. The prevalence of a non-dipper pattern of 24-hour ABP was significantly higher in SS patients than in SR patients. In the high salt diet stage—the nocturnal declines in both SBP and DBP were detected only in the salt-resistant group ($P < 0.01$). During the high salt diet, in salt sensitive hypertension, we found elevation of MAP ($P < 0.05$). The night-time elevation of MAP in the MS group was significantly higher than that in the non-MS group ($P < 0.01$). Salt restriction produced greater BP lowering in MS. In this group both the systolic and diastolic blood pressures failed to fall during night-time under a high-sodium diet but not under a low sodium diet. (Tab.1)




Fig.2. Nocturnal declines of MAP in the high salt diet stage

	High salt diet stage		Low salt diet stage	
	SS. hyp. non MS n=32	SS. hyp. MS n=25	SS. hyp. non MS n=32	SS. hyp. MS n=25
Daytime				
SBP mm Hg	149±9	156±8	138±8	147±7
DBP mm Hg	93±6	96±6	89±4	92±5
Nighttime				
SBP mm Hg	145±11	154±9	134±11	140±6
DBP mm Hg	94±5	95±5	86±6	89±4

Tab.1. The effect of salt intake on the circadian rhythm of blood pressure in SS hypertensives with and without metabolic syndrome

Like some other authors [15], we can assume that during sodium restriction the normal circadian pattern of blood pressure was partially restored, suggesting that the non-dipping phenomenon observed in metabolic syndrome patients is partly caused by increased salt sensitivity of blood pressure.

It has been known that in healthy people, sodium excretion reaches a maximum during the day and a minimum at night during sleep [3]. According to our results in non-dipper hypertensives, placed on the high salt diet, urinary sodium excretion was significantly higher than in dippers, with top levels in MS group ($P < 0.001$). This difference was not significant after salt restriction. ($p > 0.05$). Therefore, we can assume that patients with sodium sensitive type of hypertension exhibited the lack of nocturnal fall in blood pressure with enhanced natriuresis during night, and in patients with salt-sensitive BP, the circadian rhythms of both BP and urinary sodium excretion were all disturbed. The obtained results coincide with the data of some other studies [6].

On the basis of our research, we can suggest that metabolic syndrome enhances blood pressure response to sodium intake and metabolic syndrome has been more frequently associated with nocturnal non-dipping of blood pressure compared to patients without the syndrome. Salt restriction restored these rhythms from non-dipper to dipper patterns. Normalization of blood pressure circadian profile might be a novel therapeutic goal in the treatment of resistant forms of essential hypertension. Reduction in sodium

intake could be particularly important component in reducing blood pressure in patients with multiple risk factors for metabolic syndrome.

Conclusions:

1. Prevalence of salt-sensitive hypertension associated with high sodium intake has been detected in Georgian hypertensive subjects.
2. Our findings showed high incidence of salt-sensitive hypertension among patients with metabolic syndrome.
3. Salt-sensitive hypertension is associated with non-dipping pattern of BP (the circadian rhythms of both BP and urinary sodium excretion were all disturbed) and is more common in MS. Salt restriction produced greater BP lowering in patients with MS. Sodium restriction can partially restore the normal circadian pattern of blood pressure. Reduction in sodium intake could be especially important component in reducing blood pressure in patients with risk factors for metabolic syndrome.

References:

1. Bihorac A, Tezcan H, Ozener C, Oktay A, Akoglu E. Association between salt sensitivity and target organ damage in essential hypertension; *Am J Hypertens*. 2000; 13(8):864-72.
2. Chen J, Gu D, Huang J, Rao DC, Jaquish CE, Hixson JE, Chen CS, Chen J, Lu F, Hu D, Rice T, Kelly TN, Hamm LL, Whelton PK, He J, GenSalt Collaborative Research Group; Metabolic syndrome and salt sensitivity of blood pressure in non-diabetic people in China: a dietary intervention study; *Lancet*. 2009; 7; 373 (9666):829-35;
3. Centonza L, Giovanna C, Chianca R, Busca G, Golin R, Zanchetti A, Stella A. Short-term analysis of the relationship between blood pressure and urinary sodium excretion in normotensive subjects. *Clin Sci (Lond)*. 2000; 98:495-500.
4. Darr R., Bursztyn M., Pamporaki C., Peitzsch M., Siegert G., Bornstein S. R., Eisenhofer G. Dipping in Ambulatory Blood Pressure Monitoring Correlates With Overnight Urinary Excretion of Catecholamines and Sodium. *J. Clin. Hypertens (Greenwich)*. 2016; 1-6.
5. Ertuglu LA, Elijovich F, Laffer CL, Kirabo A. Salt-Sensitivity of Blood Pressure and Insulin Resistance. *Front Physiol*. 2021 Dec 13;12:793924.
6. Fukuda M, Munemura M, Usami T, Nakao N, Takeuchi O, Kamiya Y, Yoshida A, Kimura G. Nocturnal blood pressure is elevated with natriuresis and proteinuria as renal function deteriorates in nephropathy *Kidney Int*. 2004; 65(2):621-5.
7. Gangwisch JE. A review of evidence for the link between sleep duration and hypertension. *Am J Hypertens*. 2014; 27:1235-42.
8. Goldberg RJ, et al. Time of onset of symptoms of acute myocardial infarction. *Am J Cardiol*.1990; 66(2):140-144.
9. Guerrero-Romero F, Rodriguez-Moran M: Concordance between the 2005 International Diabetes Federation definition for diagnosing metabolic syndrome with the National Cholesterol Education Program Adult Treatment Panel III and the World Health Organization definitions. *Diabetes Care* 2005; 28:2588-2589.
10. Hassan MO, Jaju D, Albarwani S, Al-Yahyaee S, Al-Hadabi S, Lopez-Alvarenga JC, Rizvi SG, Comuzzie AG, Bayoumi RA. Non-dipping blood pressure in the metabolic syndrome among Arabs of the Oman family study. *Obesity (Silver Spring)*. 2007 Oct;15(10):2445-53.
11. Kimura G., Dohi Y., Fukuda M. Salt-sensitivity and circadian rhythm of blood pressure: the keys to connect CKD with cardiovascular events. *Hypertension Res*. 2010.33:515-520.
12. Lemmer B, Oster H, The Role of Circadian Rhythms in the Hypertension of Diabetes Mellitus and the Metabolic Syndrome; *Curr Hypertens Rep*. 2018 May 5;20(5):43
13. Luft FC, Weinberger MH. Heterogeneous responses to changes in dietary salt intake: the salt-sensitivity paradigm. *Am J Clin Nutr* 1997; 65:612S-7S.
14. Manfredini R, et al. Circadian variation in stroke onset: identical temporal pattern in ischemic and hemorrhagic events. *Chronobiol Int*. 2005; 22(3):417-453.

15. MLG Correia, Metabolic syndrome and blood pressure: the salty connection *Journal of Human Hypertension*, 2007; 21:427–430.
16. Thosar SS, Butler MP, Shea SA. Role of the circadian system in cardiovascular disease. *J Clin Invest*. 2018 Jun 1;128(6):2157-2167.
17. Schillaci G, Pirro M, Vaudo G, Gemelli F, Marchesi S, Porcellati C, Mannarino E: Prognostic value of the metabolic syndrome in essential hypertension. *J Am Coll Cardiol* 2004, 43:1817-1822;
18. Smolensky MH, Hermida RC, Castriotta RJ, Portaluppi F. Role of sleep-wake cycle on blood pressure circadian rhythms and hypertension. *Sleep Med* 2007; 8:668–80.
19. Solocinski K., Gumz M. L. Development of hypertension – clinical impact of dysregulation of circadian rhythms and implications for treatment. *ChronoPhysiology and Therapy* 2015; 5:27–35.
20. Uzu, Takashia; Kimura, Genjirob; Yamauchi, Atsushic; Kanasaki, Masamia; Isshiki, Keijia; Araki, Shin-ichia; Sugimoto, Toshiroa; Nishio, Yoshihikoa; Maegawa, Hiroshia; Koya, Daisuked; Haneda, Masakazue; Kashiwagi, Atsunoria; Enhanced sodium sensitivity and disturbed circadian rhythm of blood pressure in essential hypertension; *Journal of Hypertension* 2006; 24(8):1627-1632.
21. Yanai H, Tomono Y, Ito K, Furutani N, Yoshida H, Tada N. The underlying mechanisms for development of hypertension in the metabolic syndrome; *Nutrition Journal* 2008; 7:10
22. Yatabe MS, Yatabe J, Yoneda M, Watanabe T, Otsuki M, Felder RA, Jose PA, Sanada H. *Am J Clin Nutr*. 2010; 92(1):77-82.

IRINA ANDRONIKASHVILI, GAIANE SIMONIA, DIANA LABARTKAVA, NATO PANTSULAIA
**CIRCADIAN RHYTHM OF BLOOD PRESSURE AND URINARY SODIUM EXCRETION IN PATIENTS
 WITH METABOLIC SYNDROME**

Tbilisi State Medical University, V. Bakhutashvili Institute of Medical Biotechnology, Department of Geriatrics, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Salt-sensitive hypertension is known as most severe, treatment resistance course, with high incidence of fatal complications. This type of hypertension is more prevalent among metabolic syndrome (MS) patients. Inverted circadian rhythm so called “non-dipper” pattern carries a significant risk of cardiovascular morbidity and mortality. The aim of the study was to determine the relationship between the circadian rhythm of blood pressure, salt-sensitive hypertension and MS. We investigated 92 ethnically Georgian middle-aged patients of stage I essential hypertension (JNC VIII). Anthropometry, blood pressure monitoring, and 24 hr urinary sodium excretion were performed. All subjects were tested for salt-sensitivity. Blood pressure circadian rhythm was assessed by 24 hr ambulatory blood pressure monitoring with 1-hour intervals. Circadian rhythm of renal sodium excretion was assessed by comparison of daytime and nocturnal natriuresis and calculating their ratio. MS was classified as recommended by the International Diabetes Federation - IDF9. Our results have shown that virtually all hypertensive patients of Georgian ethnicity consumed very high amount of sodium chloride. The study revealed high incidence of salt-sensitive hypertension among patients with metabolic syndrome. High salt intake attenuated the circadian rhythm of blood pressure in SS patients; salt-sensitive hypertension is associate with non-dipping pattern of BP and is more common MS. Based on our research we assume that sodium restriction can partially re-establish the normal circadian pattern of blood pressure. Reduction in sodium intake could be an especially important component in reducing blood pressure in patients with risk factors for metabolic syndrome.

Keywords: metabolic syndrome; salt-sensitivity of blood pressure; salt-sensitive hypertension, circadian rhythm, renal sodium excretion.



მიხეილ გოგებაშვილი¹, გარი გრებენჩუკი¹, ერემია თულაშვილი²,
ნაზი ივანიშვილი¹, სოფიო კალმახელიძე³, მარიამ შუბითიძე¹

წყალტუბოს მინერალურ-რადონული წყლების გამოყენების უსაფრთხოების კვლევა

¹ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია, თბილისი, საქართველო ²ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

³ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ნეიროტოქსიკოლოგიის ლაბორატორია, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.04>

MIKHEIL GOGEBASHVILI¹, GARY GREBENCHUK¹, EREMIYA TULASHVILI²,
NAZI IVANISHVILI¹, SOFIO KALMAKHELIDZE³, MARIAM SHUBITIDZE¹

STUDY OF THE SAFETY OF USING MINERAL-RADON WATERS OF TSKALTUBO

¹I. Beritashvili Experimental Biomedicine Center Radiation Safety Problems Laboratory, Tbilisi, Georgia;

²I. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia; ³I. Beritashvili Experimental Biomedicine Center Neurotoxicology Laboratory, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Concentration of Radon in Tskaltubo geothermal waters equals to 40-100 Bq/l, and when inhaled, this number does not exceed 37 Bq/m³. Inhaled concentration is characterized by minimal radioactive parameters and is irrelevant to the characteristic parameters listed in the classification, what indicates that the healing properties of Tskaltubo mineral waters cannot be attributed only to the Radon concentration. During inhalation therapy, radiation exposure is formed by various salt ions and gas of mineral water, in conditions of high humidity and temperature. Furthermore, the activation of physiological-biochemical processes (Hormesis) not only dependents on the dose of radon absorbed by the body, but is the result of different complex factors joint action that require further research.

Keywords: Radon, gamma-irradiation, hormesis, Tskaltubo

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება რადიაციული უსაფრთხოების საკითხებს. აღნიშნული გარემოება საინტერესოა იმის გამო, რომ მედიცინის თერაპიულ და დიაგნოსტიკურ სფეროებში ყოველწლიურად ფართოვდება ისეთი ახალი დანადგარებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც ეფუძნებიან სხვადასხვა ტიპის გამოსხივებას [1,2,3]. აღნიშნულთან დაკავშირებით, აქტუალური ხდება როგორც თანამედროვე მედიცინაში გამოყენებული რადიაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ექსპერტიზა, ისე უკვე არსებული, ძველი პროტოკოლების განახლება. ამ მიმართებაში საყურადღებოა კურორტოლოგიაში გამოყენებული მინერალურ-რადონული წყლების პროცედურების უსაფრთხოების კვლევა. ბოლო წლების გამოკვლევების შედეგებით იკვეთება წყალტუბოს წყლების მაღალი ჰორმეზისული დონე [4,5,6,7]. აღნიშნული წყლების ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური და სხვა პარამეტრების განსაზღვრისას მიღებული შედეგები სამეცნიერო პუბლიკაციებში ახსნილია, როგორც მხოლოდ რადონის შემცველობით გამოწვეული ეფექტები [8,9,10]. საერთაშორისო კლასიფიკაციით გამოყოფენ სამკურნალო მინერალური წყლების 4 ძირითად ჯგუფს: რადონული, რადიუმიანი, რადონულ-რადიუმიანი და ურანული. სამკურნალო დანიშნულება აქვთ რადონულ წყლებს. რადიოაქტიურობის მიხედვით, რადონული წყლები იყოფა: სუსტი რადონული - 200-1500 ბეკერელი/ლ; რადონის საშუალო კონცენტრაციის შემცველობით - 1500-7500 ბეკერელი/ლ და რადონული წყლები 7500 ბეკერელი/ლ მეტი რადონის კონცენტრაციით. რადონის სამკურნალოდ მოქმედ მინიმალურ კონცენტრაციად ითვლება: წყლის აბაზანებისთვის - 200 ბეკერელი/ლ; სასმელად - 4000 ბეკერელი/ლ. რადიოაქტიური გამოსხივების მოქმედება განისაზღვრება ორგანიზმის მიერ შთანთქმული დასხივების დოზის სიდიდით. ზღვრულად დასაშვები დასხივების დოზა პაციენტისთვის (სამკურნალო კურსი) შეადგენს: წყლის აბაზანების მიღებისას 34000 ბეკერელი/ლ; საჭაერო გზით - 9400 ბეკერელი/ლ; რადონისა და მისი პროდუქტების ჩასუნთქვისას - 700 ბეკერელი/ლ.

პუბლიკაციებში ინჰალაციის დროს მითითებულია დოზა 37 ბეკერელი/მ³ [11-16]. ასეთი მცირე დოზის გამოყენება პაციენტის ჯანმრთელობისთვის რისკს წარმოადგენს, რადგან ორგანიზმის ზოგადი რადიორეზისტენტობიდან გამომდინარე, რაც უფრო მცირეა დასხივების კორმეზისული დოზა, მით უფრო ნაკლებია კრიტიკული (დამაზიანებელი) დოზა [17,18,19]. ამ შემთხვევაში იქმნება რადონით გამოწვეული უსაფრთხოების კვლევის საჭიროება.


წინამდებარე ნაშრომის ამოცანას წარმოადგენდა დაგვედგინა, თუ რამდენად ზუსტია ზემოაღნიშნული დებულება, რომ თითქოს მხოლოდ რადონის შემცველობა განაპირობებს წყალტუბოს მინერალური წყლების კორმეზისულ დონეს. ვინაიდან შესწავლილი ეფექტები რადიაციულად არასპეციფიკურ ხასიათს ატარებენ, საჭიროება იქმნება მრავალკომპონენტური შემცველობის წყლის გამოყენებისას გამოკვლეული იქნას რადონის რადიაციული ზემოქმედების წილი.

ობიექტი და კვლევის მეთოდები. კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ ლაბორატორიული თეთრი ვირთაგვები, რომლებიც 3 თვის განმავლობაში თავსდებოდნენ რადონით დასხივების კონტროლირებად პირობებში. რადონული დასხივების სტაბილური დონის უზრუნველყოფა ხორციელდებოდა აერირებული წყლით (ჯამურად 3-ტონიანი რეზერვუარი). ჰაერის რადონით გაჯერების დონე ისაზღვრებოდა მუდმივ რეჟიმში რადონომეტრის (AIRTHINGS DIGITAL RADON DETECTOR) მეშვეობით. ექსპერიმენტის ჩატარების განმავლობაში ლაბორატორიული ცხოველები იმყოფებოდნენ თბილი ჰაერის პირობებში, რომლის ტენიანობა შეადგენდა 80%-ს. ინკუბაციის დამთავრებისას მარკერული ობიექტის სახით გამოყენებული იყო საცდელი ცხოველების ბრტყელი ძვლების გამშრალი და დაქუცმაცებული ქსოვილები. იმის გამო, რომ რადონი ექვემდებარება სწრაფი ბირთვული დაშლის სტადიებს, ცოცხალ ორგანიზმში მოხვედრილი რადონის შედარებით კონსტანტური მაჩვენებლების მიღების მიზნით, გამოყენებული იქნა დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობის მქონე იზოტოპი-²¹⁰Pb, რომელიც რადონის გარდაქმნის შუალედური დაშლის პროდუქტს წარმოადგენს. ტყვიის იზოტოპის რაოდენობრივი მახასიათებლის დადგენა წარმოებდა გამა-სპექტრომეტრზე («Canberra») გერმანიუმის დეტექტორის საშუალებით, რომლის გაყინვის ტემპერატურა -196°C შეადგენს. მიღებული სპექტრების ანალიზი ხორციელდებოდა პროგრამა «Genius-2000»-ის მეშვეობით.

შედეგები და მათი განხილვა. წყალტუბოს გეოთერმული წყლებით რადონოთერაპიის დროს პაციენტთა ჯანმრთელობისთვის შესაძლო რისკების კვლევის მიზნით, ჩვენს მიერ დასახული ამოცანა ითვალისწინებდა ვირთაგვების მიერ რადონის შთანთქმული დოზის მაჩვენებლების დადგენას. ამ უკანასკნელ ფენომენს ეფუძნება საქართველოში ჩატარებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც მიუთითებენ წყალტუბოს წყლების რადონით გამოწვეულ რადიოკორმეზისზე [10,13]. ცოცხალი ორგანიზმის მიერ რადონის შთანთქმულ დოზასა და რადიოკორმეზისის პროცესის ფორმირებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ რადონის დაშლის ერთ-ერთი პროდუქტის (²¹⁰Pb) ლოკალიზაციის ეფექტი. ეს იმით იყო განპირობებული, რომ რადონის დაშლის რიგში (²²²Rn-²¹⁸Po-²¹⁴Pb-²¹⁴Bi-²¹⁴Po-²¹⁰Pb) ეს უკანასკნელი იზოტოპი, სხვა დანარჩენი იზოტოპებისგან განსხვავებით, ხასიათდება ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდით - 22,3 წელი. სწორედ, ამ თვისების წყალობით, ²¹⁰Pb ადეკვატურად მიესადაგება, ორგანიზმში რადონის შეღწევის დონის დადგენისთვის, მარკერის სახით გამოყენებას [20,21]. ტყვია ხასიათდება ძვლოვან ქსოვილებში სტაბილურად დაგროვების თავისებურებით, რის გამოც იგი წარმოადგენს ტყვიის დონის მონიტორინგის მუდმივ წყაროს სისხლში მაშინაც კი, როდესაც შეწყვეტილია გარე ექსპოზიცია [22]. აღნიშნული გარემოება ძვლებში ტყვიის შემცველობის გამოთვლის საშუალებას იძლევა და ამ ელემენტით ორგანიზმის დაბინძურების ერთადერთ საიმედო დეტერმინანტად გვევლინება [23]; და თუ სისხლი, როგორც დინამიკური სისტემა, ასახავს ტყვიის უშუალო გავლენას ორგანიზმზე [24], მოცემული ელემენტის აკუმულაციის თავისებურება, მისი შემცველობა მადეპონირებელ ქსოვილებში ახასიათებს ორგანიზმში შეღწევის მუდმივობასა და ხანგრძლივობას [25,26]. ამგვარად, რადიოაქტიური ტყვიის შემცველობა ადეკვატურ მაჩვენებელს წარმოადგენს ორგანიზმის ქსოვილებში რადონის შეღწევისა და ამ უკანასკნელის რადიოაქტიურ ტყვიად გარდაქმნასთან დაკავშირებით.

გარემოს კონტინუუმსა და საცდელი ცხოველების ბრტყელ ძვლებში რადიოაქტიური ტყვიის განსაზღვრისთვის გამოვიყენეთ გამა-სპექტრომეტრული ანალიზის მეთოდი. როგორც პირველ

სურათზე წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, გარემოს კონტინუუმის რადიოაქტიურობა შეადგენს დაახლოებით 1160-1170 იმპულსს, ანუ სუფთა სიგნალი უტოლდება: $1438 - (1160, 1170) = 268-278$ იმპულსს. რადიოაქტიურობის ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდება საცდელი ცხოველების ბრტყელი ძვლების გამა-სპექტრის ფრაგმენტი. ამგვარად, ორივე ვარიანტის რადიოაქტიური სპექტრი ერთგვაროვან ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რადიოაქტიური ტყვიის ლოკალიზაციის ზონაში (46.5keV), საცდელ ვარიანტში ტყვიის იზოტოპის დამატებითი აქტიურობა არ ფიქსირდება, ანუ ექსპერიმენტში გამოყენებული ცხოველების მიერ შთანთქმული რადონის რაოდენობრივი მაჩვენებელი უახლოვდება ფონურ (რეფერენტულ) მაჩვენებელს.



სურ.1 გარემოს კონტინუუმისა და საცდელი ცხოველების ბრტყელი ძვლების რადიოაქტიურობის გამა-სპექტრების ფრაგმენტები (რადიოაქტიური ტყვიის ლოკალიზაციის ზონა-46.5keV):
 A-კონტინუუმის გამა-სპექტრის ფრაგმენტი; B-ბრტყელი ძვლების გამა-სპექტრის ფრაგმენტი

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რადონით დასხივების დოზის მოცემულ ინტერვალში შენიშნული რადიოკორმეზის ეფექტი, მრავალრიცხოვან ზემოქმედ ფიზიკო-ქიმიურ ფაქტორთა შორის, მხოლოდ რადონული კომპონენტის ზემოქმედების შედეგს არ წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Indrin J., Chetty at all. Technology for Innovation in Radiation Oncology. Int J Radiat Oncol Biol Phys. 2015 Nov 1; 93(3): 485–492.
2. Claudio Fiorino, Matthias Guckenberger, Marco Schwarz, Uulke A van der Heide, Ben Heijmen. Technology-driven research for radiotherapy innovation. Mol Oncol. 2020 Jul; 14(7): 1500–1513.
3. Lilla Pawlik-Sobecka, Joanna Górka-Dynysiewicz, Jadwiga Kuciel-Lewandowska. Balneotherapy with the Use of Radon-Sulphide Water: The Mechanisms of Therapeutic Effect. Appl. Sci. 2021, 11, 2849.
4. Marine Nikolaishvili, Zaqaria Nanobashvili, Nodar Mitagvaria, Gvantsa Chkadua, Tea Museliani, Khatuna Dondoladze, Gogi Jikia. Assessment of integrated antioxidant systems and hormesis effect of radon in experimental studies. Journal of Biosciences and Medicines. 2022, Vol.10, #3, p.212-227.

5. Elene Sakvarelidze, Marine Nikolaishvili, Mamuka Margvelashvili, Zurab Sakvarelidze, Sesili Beriashvili. Effects of small doses of radon during the use of removable orthopedic structures in dental practice, *Experimental and Clinical Medicine*, 2023; 1:23-28.
6. M Nikolaishvili, Z Nanobashvili, N Mitagvaria, Radon hormesis in epileptic pathogenesis and predictors of oxidative stress. *Georgian Medical News*, 2021, 152-158
7. K Dolidze, V Margvelashvili, M Nikolaishvili, T Suladze, M Pkhaladze, Study of the hygienic characteristics of the oral cavity under the complex effect of photodynamic therapy and Tskaltubo spring water radon hormesis. *Georgian Medical News*, 2021, 54-59.
8. M Nikolaishvili, D Zurabashvili, T Museliani, G Jikia, G Parulava, Complex study of biological effect of Tskhaltubo radon water inhalation. *Georgian Medical News*, 2019, 113-118
9. M Nikolaishvili, S Omiadze, T Shishniashvili, D Zurabashvili, G Parulava. Complex study of medicinal properties of radon in mineral water of tskaltubo and oral cavity mineralization recovery in patients with periodontitis. *Georgian medical news*, 2018, 39-43.
10. T Mchedluri, D Oniani, T Oniani, T Museliani, G Grebenchuk, Mechanisms of Radon influence during inhalation of Tskaltubo mineral water vapor. *Proceedings of the Georgian National Academy of Sciences*, 2006, 32 (1): 97-101.
11. S Omiadze, M Nikolaishvili, T Shishniashvili. Inhalation therapy by radon from Tskhaltubo region in clinical and biochemical studies in patients with periodontitis. *Georgian Medical News*, 2020, 82-86
12. Marina Nikolaishvili, Zakaria Nanobashvili, Nodar Mitagvaria, Gvantsa Chkadua, Tea Museliani, Gogi Jikia, Irine Bilanishvili, Khatuna Dondoladze. The Level of Individual Biochemical Constants of the Brain of in the Krushinsky-Molodkina Inbred Rat Strain against the Background of Radon Inhalation During Epilepsy, *Open Access Macedonian Journal of Medical Sciences*, 2022, 10(B): 2555-65.
13. N Chkheidze, E Giorgadze, M Nikolaishvili, A Malazonia, The Effect of Low Doses of Radon on Ghrelin and Glucose Levels in Rats with Multiple Low-Dose Streptozotocin-induced Type 2 Diabetes Mellitus. *Open Access Macedonian Journal of Medical Sciences*, 2022, 10(B): 1468-1472
14. M Nikolaishvili, Z Nanobashvili, N Mitagvaria, G Chkadua, T Museliani. Assessment of integrated antioxidant systems and hormezis effect of radon in experimental studies. *Journal of Biosciences and Medicines* 2022, 10 (3): 212-227.
15. K Dondoladze, M Nikolaishvili, D Zurabashvili. The effect of balneotherapy on the oxidative system and changes in anxiety behavior, enhanced by low doses of radon. *International Journal of Radiation Biology*, 2021, 97(10), 1461-1469
16. M Nikolaishvili, J Adamia, N Mosemgvdlishvili, Oral condition and radon hormesis in patients undergoing orthodontic treatment. *Experimental and Clinical Medicine Georgia*, 2021; 1:50-63.
17. И.Н. Гудков, А.Г. Кудяшева, А.А. Москалёв. Радиобиология с основами радиоэкологии. Издательство СыктГУ, Институт биологии Коми НЦ 2014, 512с.
18. Гродзинский Д.М. Radiobiologia, Kiyv, Libidz, 2000, 448с.
19. I.M. Gudkov, M.M. Vinichuk, Radiobiology & Radioecology. Kyiv, 2019, 399p
20. H. Grebenchuk, M. E. Gogebashvili and N. I. Ivanishvili. The Problem of Lead 210Pb in the Manifestation of the Effects of Radon Exposure on Living Organisms: A Conceptual Analysis, In systemic, cellular and molecular mechanisms of physiological functions and their disorders. Nova Science Publishers, (Medicine & Health), New-York, 2021, p.23-35
21. მიხეილ გოგებაშვილი; დავით ნადარეიშვილი; ნაზი ივანიშვილი; ვარი გრებენჩუკი. რადონის ზეგავლენით ბიოლოგიური ობიექტის მიერ რადიაციის შთანთქმული დოზის განსაზღვრის მეთოდი. პატენტი P 2020 7206 B, რეგისტრაციის თარიღი: 21.12.2020.
22. Julson B., Mizon K., Smith H. et al. Evidence Central: Skeletal lead release during bone resorption: effect of biphosphate treatment in a pilot study // *Environ. Health Perspect.* 2002; 110:1017-1024.
23. Popovic M., Mc Neit F.E., Chettle D.R. et al. Impact of occupational exposure on lead levels in women // *Environ. Health Perspect.* 2003; 113(4):478-484.
24. Fischbach F.T. Manual of Laboratory and Diagnostic Tests / F.T.Fishbach, M.B.Dunning. - N/Y.: Lippincott Willians Wilkins, 2008. - 1344p.

25. Измеров Н.Ф. Свинец и здоровье. Гигиенический и медико-биологический мониторинг / Н.Ф. Измеров. – М., 2000. - 256 с.

26. Корбакова А.И., Соркина Н.С., Молодкина Н.Н. и др. Свинец и его действие на организм (обзор литературы) // Медицина труда и промышленная экология. 2001; 5:29-34.

*მიხეილ გოგებაშვილი ¹, გარი გრებენჭუკი ¹, ერემა თულაშვილი ²,
ნაზი ივანიშვილი ¹, სოფიო კალმახელიძე ³, მარიამ შუბითიძე ¹*

წყალტუბოს მინერალურ-რადონული წყლების გამოყენების უსაფრთხოების კვლევა

¹ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია, თბილისი, საქართველო ²ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;
³ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ნეიროტოქსიკოლოგიის ლაბორატორია, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

წყალტუბოს გეოთერმულ წყლებში რადონის შემცველობა შეადგენს 40-100 ბეკერელი/ლ, ხოლო ინჰალაციისას ეს მაჩვენებელი 37 ბეკერელი/მ³ არ აღემატება. ეს უკანასკნელი თავისი რადიოაქტიურობით ზემოქმედობს პარამეტრებით ხასიათდება და ჩამორჩება კლასიფიკაციით მოყვანილ ყველა მახასიათებელს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წყალტუბოს მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები არ შეიძლება მიენეროს რადონის შემცველობას. ინჰალაციური თერაპიის დროს სხივური ზემოქმედება ფორმირდება: მინერალური წყლების მარილების იონებისა და აირების კომპონენტებით, მაღალი ტენიანობისა და ტემპერატურის პირობებში, ანუ ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური პროცესების გააქტიურება (ჰორმონის) გამომწვეულია არა ორგანიზმის მიერ რადონის შთანთქმული დოზით, არამედ სხვადასხვა ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედებით, რომლებიც შემდგომ კვლევას საჭიროებენ.



ეთერ კიღურაძე ^{1,3}, თამუნა გოგოლაძე ^{2,3}, თამარ ალიბეგაშვილი ³

პირველადი HPV ტესტირება, როგორც საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ალტერნატიული სტრატეგია

¹ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ²საქართველოს უნივერსიტეტი; ³ეროვნული სკრინინგ ცენტრი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.05>

ETER KIGURADZE ^{1,3}, TAMUNA GOGOLADZE ^{2,3}, TAMAR ALIBEGASHVILI ³
**PRIMARY HPV TESTING AS AN ALTERNATIVE STRATEGY FOR
CERVICAL CANCER SCREENING**

¹Ivane Javakhishvili Tbilisi State University; ²The University of Georgia; ³National Screening Center

SUMMARY

Cervical cytology has been considered a reliable test for the detection of precancerous lesions and cancer for decades. Cytology-based screening has been considered a reliable test for the detection of cervical precancerous lesions and cancer for decades. Over the past decade, several randomized trials have shown HPV tests as a test with higher sensitivity and accuracy in the diagnosis of cervical lesions. The latest European and US guidelines call for screening using an HPV test that would allow us to be more accurate in the detection of cervical precancer and cancer, as well as increase the screening interval in

case of a negative result. The study aimed to compare the advantages and disadvantages of cytology and HPV-based screening. Data were obtained from peer-reviewed literature, national recommendations, and practice guidelines. According to the mentioned literature review, it was determined that the positive achievements of HPV primary screening, compared to cytological screening, can be considered: higher sensitivity to detect cervical squamous and glandular precancerous lesions, and finally reduction in cervical cancer incidence. The potential harm of primary HPV screening includes increased positive test results, referral to colposcopy, and the number of biopsies, as well as excessive detection of non-progressive CIN2+ lesions. These risks are especially pronounced in young women. The potential harm of HPV primary screening can be significantly reduced or avoided by implementing an appropriate screening policy adjusting the age range, and using cytological triage.

Keywords: Cervical cancer screening, HPV test, Cytology

გამოყენებული შემოკლებები:

სყკ - საშვილოსნოს ყელის კიბო

AIS - ადენოკარცინომა ინ სიტუ (adenocarcinoma in situ)

CIN - ცერვიქსის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (cervical intraepithelial neoplasia grade)

HrHPV - მაღალი რისკის HPV ტიპი (high-risk HPV type)

HPV - ადამიანის პაპილომავირუსი (human papillomavirus)

HSIL - მაღალი ხარისხის ცერვიქსის ინტრაეპითელური დაზიანება -high-grade squamous intraepithelial lesion

PAP ტესტი - საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების ციტოლოგიური დიაგნოსტიკის ტესტი დაფუძნებული პაპანიკულაუს მეთოდზე

IARC - კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო (International Agency for Research on Cancer)

LEEP - მარყუით ელექტოქირურგიული ექსციზიური პროცედურა (loop electrosurgical excision procedure)

LSIL - დაბალი ხარისხის ბრტყელუჯრედოვანი ინტრაეპითელური დაზიანება (low-grade squamous intraepithelial lesion)

SE - მგრძობელობა (sensitivity)

SP - სპეციფიურობა (specificity)

NPV - უარყოფითო პროგნოზული ღირებულება (negative predictive value)

PPV - დადებითი პროგნოზული ღირებულება (positive predictive value)

შესავალი. საშვილოსნოს ყელის კიბო (სყკ) კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალურ პრობლემად მსოფლიოსთვის. 2020 წელს ის გახდა 342 000 ქალის გარდაცვალების მიზეზი. ახალი შემთხვევების და სიკვდილობის უმრავლესობა აღირიცხება განვითარებად ქვეყნებში [1]. სყკ-ს გამომწვევი მიზეზი ადამიანის პაპილომავირუსია. დაავადების შემთხვევათა უმრავლესობა შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული კიბოსწინა პათოლოგიების დროული გამოვლენით და მკურნალობით. მსოფლიოში ციტოლოგიური სკრინინგის (PAP ტესტის) ფართოდ დანერგვის დამსახურება ბოლო სამოცი წლის განმავლობაში სყკ-ს ავადობის და სიკვდილობის დრამატული შემცირება განვითარებულ ქვეყნებში. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ადამიანის პაპილომავირუსის HPV დნმ ტესტი ფართოდ განიხილება სყკ-ს სკრინინგის ალტერნატიულ ტესტად [2].

2018 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დასახა მიზანი - სამიზნე პოპულაციის 90 %-ის მოცვა პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციით, სამიზნე პოპულაციის 70%-ის სკრინინგი და კიბოსწინა პათოლოგიების 90%-ის მკურნალობა [3]. სკრინინგის სტრატეგია განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, ის დამოკიდებულია ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ჯანდაცვის სისტემის სპეციფიკაზე და სამედიცინო დანვსებულების ინფრასტრუქტურაზე [5].

მრავალი ქვეყნისთვის PAP ტესტი კვლავ წარმოადგენს ოქროს სტანდარტს სყკ-ს სკრინინგში. PAP ტესტით შესაძლებელია უჯრედების მორფოლოგიური ანალიზი, რაც იძლევა დისპლაზიური უჯრედების იდენტიფიცირების საშუალებას. მაგრამ PAP ტესტის მგრძობელობა არის დაბალი, რამაც რიგ ქვეყნებში გამოიწვია მისი ჩანაცვლება HPV ტესტით [6].

ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ HPV ტესტზე დაფუძნებული სკრინინგი უზრუნველყოფს უფრო მაღალ დაცვას ინვაზიური კიბოსგან მაღალი მგრძობელობის გამო. ამასთანავე, მაღალი უარყოფითი პროგნოზული ღირებულების გამო, HPV სკრინინგი იძლევა სკრინინგის ინტერვალის 5 წლამდე გახანგრძლივების საშუალებას [7-9].

ასევე მნიშვნელოვანია, რომ HPV ტესტირებისას შესაძლებელია ნიმუშის თვითაღება (საშოს ნაცხი ან შარდი), რაც კვლევების თანახმად, ეფექტური სტრატეგიაა სამიზნე პოპულაციის უკეთესი მოცვისათვის [10,11].

მიზანი. ჩვენი მიმოხილვითი ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა შეგვეჯამებინა იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც უკვე დაიწყეს სკრინინგი HPV ტესტით და შეგვედარებინა ორი სახის სკრინინგის: PAP ტესტზე და HPV ტესტზე დაფუძნებული სკრინინგების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მასალა და მეთოდები. ლიტერატურული წყაროები მოძიებულ იქნა PubMed-ის და Scopus-ის ბაზებში ინდექსირებული ურნალეზებიდან შემდეგი საკვანძო სიტყვების ან მათი კომბინაციების გამოყენებით - საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, HPV ტესტი, ციტოლოგია. გაანალიზებულია 2001 წლის იანვრიდან 2023 წლის იანვრამდე გამოქვეყნებული სტატიები. ასევე გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული რეკომენდაციები.

კვლევის შედეგები. მასალის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა ოთხი თემა, რომლებსაც შეესაბამება ქვემოთ წარმოდგენილი ქვესათაურები.

PAP ტესტის და HPV ტესტის ეფექტიანობის შედარება HSIL-ის აღმოჩენაში

HPV ტესტის უნარი აღმოაჩინოს HSIL, აღემატება ციტოლოგიური ტესტის მგრძობელობას [12-14]. მაგრამ ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ნაჩვენებია იქნა სანინალმდეგო შედეგი, კერძოდ: როდესაც PAP ტესტის შედეგი იყო HSIL და ბრტყელუჯრედული კარცინომა (SCC), ციტოლოგიის მგრძობელობა იყო 97.14% (95% CI, 95.41-დან 98.23-მდე) და სპეციფიურობა იყო 85.58% (95% CI, 77.56-დან 91.06-მდე). ამავე კვლევაში გამოყენებული მაღალი რისკის HPV ტესტის მგრძობელობა და სპეციფიურობა იყო უფრო დაბალი - შესაბამისად 88,32% და 54,92% ვიდრე PAP ტესტის [15]. არსებობს ისეთი კვლევებიც, სადაც დაფიქსირდა HPV - უარყოფითი HSIL ან სეკ-ს შემთხვევები. ბიოფსიით დადასტურებული მაღალი ხარისხის დაზიანების და სეკ-ს შემთხვევებში, უარყოფითი HPV ტესტის პროცენტული მაჩვენებელი სხვადასხვა კვლევის მიხედვით მერყეობს 8%-დან 25 %-მდე [16-18].

აღნიშნულ კვლევებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მიუხედავად პირველადი უარყოფითი HPV ტესტის პასუხებისა, ბიოფსიით მიღებული მასალის თავიდან შემოწმების შემდეგ გამოვლინდა HPV მაღალონკოგენური ტიპის ესა თუ ის გენოტიპი შემთხვევათა 95%-ში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ HPV ინფექცია გვხვდება ბიოფსიით დადასტურებული HSIL-ის დაზიანებების შემთხვევათა უმრავლესობაში, მიუხედავად წინა უარყოფითი HPV ტესტის შედეგებისა. ბიოფსიის ნიმუშებში დადებითი მაღალი რისკის HPV ტესტის შედეგებსა და პირველად უარყოფით HPV ტესტის შედეგებს შორის შესაბამისობის ძირითადი მიზეზები ცნობილი არ არის. რამდენიმე ფაქტორმა შეიძლება ხელი შეუწყოს HPV ტესტის უარყოფით შედეგებს ციტოლოგიურ ნიმუშებში: დაბალი ვირუსული დატვირთვა, არაადეკვატური ნიმუშის აღება და/ან ტექნიკური შეცდომები. სინჯის შესაძლო არაადეკვატური აღების გარდა, საშვილოსნოს ყელის მაღალი ხარისხის დაზიანებები ჩვეულებრივ გვხვდება ქალებში, რომლებსაც აქვთ პერსისტული HPV ინფექცია და მასპინძლის გენომში ვირუსული დნმ-ის ინტეგრაციის შედეგად E6/E7 ონკოგენების გადაჭარბებული ექსპრესია. პროდუქტიული ინფექციის ადრეულ ფაზასთან შედარებით, ვირიონის წარმოება და L1 გენის ექსპრესია შეიძლება მნიშვნელოვნად დაბალი იყოს ქალებში პერსისტული HPV ინფექციით, რის გამოც, იშვითად, HPV ტესტი შესაძლოა იყოს უარყოფითი საშვილოსნოს ყელის მაღალი ხარისხის დაზიანების არსებობის შემთხვევაშიც.

HPV ტესტი, როგორც CIN-ის პროგრესის ან რეგრესის პროგნოზული მაჩვენებელი

CIN1 დაზიანების სპონტანური რეგრესის ალბათობა 80%-ია. ზოგიერთი ავტორი აღიარებს CIN1-ის პროგრესირებას CIN3-ში შემთხვევათა 10%-ში [19], ხოლო ზოგიერთი ავტორი არ ცნობს CIN 1-ის პროგრესირების შესაძლებლობას [20]. ჯერ კიდევ ბევრი დებატებია LSIL-ის მქონე ქალთა

მართვასთან დაკავშირებით, რომელიც განისაზღვრება როგორც თვითელიმინირებადი, გარდამავალი HPV ინფექციის გამოხატულება [21].

კვლევებმა დაადასტურა, რომ CIN-ის პროგრესი დადებით კორელაციაშია HPV მაღალონკოგენური ტიპებით ინფიცირებასთან [22]. ზოგიერთი კვლევის თანახმად რამოდენიმე HPV ტიპის თანაარსებობა უფრო მეტად დამახასიათებელია CIN 1-ისათვის. კომბინირებული HPV ინფექციის არსებობა ნაკლებად გვხვდება ზომიერი და მძიმე დისპლაზიების დროს, და პირიქით, CIN 1-ის შემთხვევაში ერთი კონკრეტული გენოტიპის პოზიტიურობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია [23-25].

ცნობილია, რომ პერსისტული მაღალონკოგენური ვირუსის გენოტიპის არსებობა დაკავშირებულია მაღალი ხარისხის დაზიანებების განვითარების უფრო დიდ რისკთან. კერძოდ, პერსისტული HPV 16 ინფექცია ცნობილია, როგორც საშვილოსნოს ყელის დაზიანების პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვანი პროგნოზული ფაქტორი. მაღალი ხარისხის დისპლაზიის განვითარების რისკი 5-ჯერ მეტია HPV 16 გენოტიპის არსებობის დროს (OR = 4.62; 95 CI: 3,13-6,82) [23].

PAP ტესტის და HPV ტესტის ეფექტიანობის შედარება საშვილოსნოს ყელის ჯირკვლოვანი დაზიანების გამოვლენაში

საშვილოსნოს ყელის კიბოს 10-20%-ში დასტურდება ადენოკარცინომის დიაგნოზი [26,27]. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ეს მაჩვენებელი გაიზარდა ბრტყელუჯრედულ კარცინომასთან შედარებით, განსაკუთრებით მაღალშემოსავლიან ქვეყნებში და 40 წლამდე ასაკის ქალთა პოპულაციაში [28].

ციტოლოგიაზე დაფუძნებული სკრინინგი ნაკლებად მგრძობიარეა ჯირკვლოვანი დაზიანების გამოსავლენად, ამის შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს მასალის არაადეკვატურობა (ჯირკვლოვანი დაზიანება შეიძლება ლოკალიზდებოდეს ცერვიქსულ არხში, დაფარული იყოს მეტაპლაზირებული ეპითელიუმით) ან ინტერპრეტაციის პრობლემა [29]. PAP ნაცხით გამოვლენილი ჯირკვლოვანი დაზიანებების პრევალენტობა დაბალია. სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგიით შესაძლებელია მეტი ჯირკვლოვანი დაზიანების გამოვლენა ჩვეულებრივ ციტოლოგიასთან შედარებით [30,31]. ერთ-ერთ კვლევაში საშვილოსნოს ყელის AIS გამოჩატარებული კონსერვატიული მკურნალობის შემდგომი საკონტროლო კვლევის დროს გამოიყენებოდა როგორც PAP ტესტი, ისე HPV ტესტი. რეზიდუალური დაზიანება აღინიშნა შემთხვევათა 40%-ში. HPV ტესტირებამ მაღალი ალბათობით შეძლო რეზიდუალური დაზიანების პროგნოზირება - OR 12.6-ით (95% CI 1.18-133.89), მხოლოდ PAP ნაცხის გამოყენებით რეზიდუალური დაზიანების გამოვლენას სტატისტიკურად სარწმუნო ღირებულება არ ჰქონდა, ხოლო PAP ნაცხის და HPV ტესტირების კომბინაციის გამოყენებამ გაცილებით უკეთესი შედეგი გამოავლინა: პირველ საკონტროლო ვიზიტზე SE-ს 90.0%, SP 50.0%, PPV 52.9% და NPV 88.9%, ხოლო შემდგომი დაკვირვებისას კი 100% SE და 100% NPV.

პირველადი HPV ტესტზე დაფუძნებული სკრინინგი უფრო ეფექტურია ადენოკარცინომის პრევენციისთვის ვიდრე ციტოლოგიაზე დაფუძნებული სკრინინგი [7]. რამოდენიმე კვლევის თანახმად, HPV დნმ ტესტმა აჩვენა მაღალი მგრძობიარეობა ატიპური ჯირკვლოვანი ციტოლოგიის მქონე ქალებში, რომლებსაც ჰქონდათ თანმხლები ბრტყელუჯრედული დაზიანებაც [32].

ციტოლოგიაზე დაფუძნებული სკრინინგი ნაკლებად ეფექტურია ადენოკარცინომის პრევენციისთვის, თუმცა ეფექტურია აღრეული სტადიის ცერვიქსის ჯირკვლოვანი კიბოს გამოსავლენად. ეს დასკვნები მიღებულ იქნა სკრინინგში მონაწილე და სკრინინგში არამონაწილე ქალთა კოჰორტების შედარებით [33].

HPV ტესტის და PAP ტესტის კოტესტირების გამოყენებით შესაძლებელია მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი „გაპარული“ ჯირკვლოვანი დაზიანებები [34].

HPV პირველადი სკრინინგის პოტენციური ზიანი

HPV ინფექციების უმეტესობა გარდამავალია: ინფიცირებიდან 2 წლის განმავლობაში ხშირია სპონტანური ელიმინაცია, განსაკუთრებით 30 წლამდე ასაკის ქალებში [35]. HPV ტესტის სპეციფიკურობა ციტოლოგიური ტესტის სპეციფიკურობაზე დაბალია [36], რის გამოც

კოლპოსკოპიური კვლევის რეფერალი HPV სკრინინგის დროს მეტია ციტოლოგიურ სკრინინგთან შედარებით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ასოცირდება ქალის ფსიქოსოციალურ და ფიზიკურ დისკომფორტთან [37] და, რაც მთავარია, შეიძლება გამოიწვიოს საშვილოსნოს ყელის პოტენციურად რეგრესირებადი ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (CIN) გადაჭარბებული მკურნალობა [7].

კოლპოსკოპიური კვლევის რეფერალის მაჩვენებლები, სკრინინგის პირველ რაუნდში HPV პირველადი სკრინინგის დროს განსაკუთრებით მაღალია 35 წელზე ნაკლები ასაკის ქალების შემთხვევაში [13,38]. ამასთანავე, კოლპოსკოპიის რეფერალის PPV მსგავსია ციტოლოგიური სკრინინგის მაჩვენებლისა იმ რანდომიზებულ კვლევებში, რომლებიც იყენებდა ციტოლოგიის ტრიაჟს HPV დადებითი ტესტის მქონე ქალების მართვისათვის. კოლპოსკოპიური რეფერალის მაჩვენებელი დამოკიდებულია ქალის ასაკზე: 35-54 წლის ქალებში, მეტი დაზიანებების გამოსავლენად, უპირატესი იქნება HPV ტესტირება HPV-16/18 გენოტიპირებით და ციტოლოგიური ტრიაჟით, ხოლო 55-64 წლის ქალებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას HPV ტესტირება მხოლოდ ციტოლოგიური ტრიაჟით [39,16].

ანალიზი: როგორც PAP ტესტს, ისე HPV დნმ ტესტს აქვს პოტენციური გამოავლინოს სეკ-ს განვითარების რისკი. HPV დნმ-ის ტესტი უფრო მეტი მგრძობელობით აღმოაჩენს მაღალი ხარისხის დაზიანებას და უფრო ადრე, ვიდრე ციტოლოგია და, შესაბამისად, მეტად იცავს ქალს კიბოს განვითარებისაგან [7]. HPV ნეგატიურ ქალებში CIN 3-ის და ინვაზიური კიბოს განვითარების რისკი ძალიან დაბალია სულ მცირე მომდევნო 5 წლის განმავლობაში [40,41]. ყველა კვლევაში სადაც PAP ტესტი წარმოჩენილია უფრო მაღალი სიზუსტის ტესტად, ვიდრე HPV ტესტი, ხაზგასმულად აღნიშნულია, რომ მინების შეფასება ხდებოდა ერთზე მეტი მაღალკვალიფიციური, სულ მცირე 5-წლიანი გამოცდილების მქონე ციტომორფოლოგის მიერ. საშვილოსნოს ყელის კიბოს პრობლემა მეტად აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ძნელად მისაღწევია ექიმი-ციტომორფოლოგების განსწავლა [15].

მიუხედავად იმისა, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შესაძლებლობები გაფართოვდა და გამრავალფეროვნდა, საშვილოსნოს ყელის ციტოლოგია, პირველადი HPV ტესტირება, ისევე როგორც კო-ტესტირება, კვლავ რჩება გამართლებულ სტრატეგიად კიბოსწინა დაზიანებებისა და კიბოს გამოსავლენად.

ძალიან მნიშვნელოვანია სკრინინგ პოზიტიური ქალების მართვის შემდგომი მითითებების თანმიმდევრული დაცვა. საშვილოსნოს ყელის კიბოს არაადეკვატური სკრინინგი კვლავ რჩება მნიშვნელოვან პრობლემად მრავალ ქვეყანაში [42,43,44].

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სკრინინგი ძირითადად ოპორტუნისტულია, კეთდება მრავალი ტესტი და, სამწუხაროდ, მაინც მაღალია სეკ-ს გვიანი სტადიების გამოვლენის მაჩვენებელი, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ოპორტუნისტული სკრინინგის მოდელიდან, აუცილებლად, რაც შეიძლება მოკლე ვადებში, უნდა მოხდეს ორგანიზებულ, პოპულაციამდე დაფუძნებულ HPV სკრინინგზე გადასვლა [45] [46].

HPV პირველადი სკრინინგის უპირატესობა, ციტოლოგიურ სკრინინგთან შედარებით, პირველსავე რაუნდში გამოავლინოს CIN2+ და CIN3+ დაზიანება, არაერთი კვლევით დასტურდება.

იმისათვის, რომ პირველად HPV სკრინინგის პროგრამაში მიღწეულ იქნას ბალანსი პოტენციურ სარგებელსა და ზიანს შორის, HPV პირველადი სკრინინგი რეკომენდებულია ჩატარდეს მხოლოდ ორგანიზებული სკრინინგის პირობებში. გარდა ამისა, ვინაიდან HPV პრევალენტობა და საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკი განსხვავებულია პოპულაციებს შორის, სკრინინგის პოლიტიკის შემუშავებისას საჭიროა ეროვნული მონაცემების გათვალისწინება და ქვეყნისთვის სპეციფიური ალგორითმის შემუშავება. მნიშვნელოვანია, ასევე, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამებმა გამოიყენონ მხოლოდ ისეთი პირველადი HPV ტესტი, რომელიც მაღალმგრძობიარეა CIN2+ დაზიანებების გამოსავლენად და, ამასთანავე, ნაკლებად ავლენს კლინიკურად უმნიშვნელო, გარდამავალი HPV ინფექციების არსებობას. HPV ტესტირება უნდა ჩატარდეს მხოლოდ კვალიფიციურ ლაბორატორიებში, რომლებიც მონაცემილია საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. ამგვარად, აღნიშნული ლიტერატურული მიმოხილვის ანალიზი უჩვენებს, რომ HPV პირველადი სკრინინგის დადებით მიღწევად, ციტოლოგიურ სკრინინგთან შედარებით, შეიძლება ჩაითვალოს მისი უფრო მაღალი მგრძობელობა საშვილოსნოს ყელის, როგორც

ბრტყელუჯრედული, ისე ჯირკვლოვანი კიბოსწინარე დაზიანებების გამოვლენაში, რაც ხელს უფრო ეფექტურად შეუწყობს საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობის შემცირებას.

HPV პირველადი სკრინინგის ნაკლი მოიცავს ტესტის დადებითი შედეგების, კოლპოსკოპიაზე მიმართვიანობის და ბიოფსიების მატებას, ასევე არაპროგრესირებადი CIN2+ დაზიანებების გადაჭარბებულ გამოვლენას. ეს რისკები განსაკუთრებით გამოხატულია ახალგაზრდა ქალებში. ეს ნაკლი შესაძლებელია მნიშვნელოვნად შემცირდეს ან თავიდან იქნას აცილებული სკრინინგის შასაბამისი პოლიტიკის დანერგვით, მაგალითად, HPV სკრინინგის დანყებით არა 30 წლამდე, არამედ, 30 წელზე მეტი ასაკის ქალებში და ციტოლოგიური ტრიაჟის გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Sung H, Ferlay J, Siegel RL, Laversanne M, Soerjomataram I, Jemal A, Bray F. Global Cancer Statistics 2020: GLOBOCAN Estimates of Incidence and Mortality Worldwide for 36 Cancers in 185 Countries. *CA Cancer J Clin.* 2021 May;71(3):209-249.
2. Sankaranarayanan, R., Nene, B. M., Shastri, S. S., Jayant, K., Muwonge, R., & Malvi, S. G. (2011). Reply to SD Rathod's Commentary on HPV screening for cervical cancer in rural India.
3. Canfell K. Towards the global elimination of cervical cancer. *Papillomavirus Res.* 2019 Dec;8:100170.
4. Zhang S, Batur P. Human papillomavirus in 2019: An update on cervical cancer prevention and screening guidelines. *Cleve Clin J Med.* 2019 Mar;86(3):173-178.
5. Bouvard V, Wentzensen N, Mackie A, et al. The IARC Perspective on Cervical Cancer Screening. *N Engl J Med.* 2021 Nov 11;385(20):1908-1918.
6. Bedell, S. L., Goldstein, L. S., Goldstein, A. R., et al. Cervical cancer screening: past, present, and future. *Sexual medicine reviews,* 2020; 8(1):28-37.
7. Ronco, G., Dillner, J., et al. Efficacy of HPV-based screening for prevention of invasive cervical cancer: follow-up of four European randomized controlled trials. *The lancet,* 2014; 383(9916): 524-532.
8. Arrossi, S., Thouyaret, L., Herrero, R., et al. Effect of self-collection of HPV DNA offered by community health workers at home visits on uptake of screening for cervical cancer (the EMA study): a population-based cluster-randomized trial. *The Lancet Global Health,* 2015; 3(2):e85-e94.
9. Verdoodt, F., Jentschke, M., Hillemanns, P., et al. Reaching women who do not participate in the regular cervical cancer screening program by offering self-sampling kits: a systematic review and meta-analysis of randomized trials. *European journal of cancer,* 2015; 51(16), 2375-2385.
10. Perehudoff, K., Vermandere, H., Williams, A., et al. Universal cervical cancer control through a right to health lens: refocusing national policy and programs on underserved women. *BMC international health and human rights,* 2020; 20: 1-9
შედეგები და მათი განხილვა. პოლიმეთოქსილირებული ფლავონების 16 კომპონენტი ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული მანდარინის Citrus Unshiu-s ნაყოფის კანში, მათ შორის ახალი ბუნებრივი ნაერთი 6-ჰიდროქსი 3,5,7,8,3',4'-ჰექსამეთოქსიფლავონი [10,11]. პმფ ქრომატოგრაფების ნახატების (ნახ.1.) ანალიზი გვიჩვენებს, რომ მანდარინი და ფორთოხალი შეიცავს ნობილეტინს (ღროის შეკავება 13,23 ნ.), ტეტრა-ო-მეთილსკუტელარეინს (13,88), პენტამეთოქსიფლავონს (14,66) და ტანგერეტინს (16,03). მცირე რაოდენობით მანდარინში და ფორთოხალში არის სინენეტინიც (ნახ.1.1).

ნახ. 1. მანდარინის ეთერზეთი-1, ფორთოხლის ეთერზეთი-2, ლიმონის ეთერზეთი-3, გრეიფრუტის ეთერზეთი-4



მსგავსი მონაცემები არსებობს სხვა კვლევებში [12], ყველა ეთერზეთში ჰმფ-ს შორის ტანგერეტინის რაოდენობა მაღალია, განსაკუთრებით მანდარინის ეთერზეთში მისი რაოდენობა შეადგენს 256 მგ/100 მლ-ში (დროის შეკავება 16,03; ნახ.1.). ასევე ჰმფ-ს ძირითადი კომპონენტი ნობილეტინი, შესაბამისი მაღალი ბიოლოგიური აქტივობით [13,14]. კვლევებმა აჩვენა, რომ ციტრუსის ჰმფ-ს ტანგერეტინს ახასიათებს კარგი აბსორბცია და ადეკვატური ბიოშელწევადობა, ხანგრძლივობის ხელშეწყობის დამატებითი უპირატესობა, შერჩევითი ტოქსიკურობა კიბოს უჯრედების მრავალი სახის პროლიფერაციის დროს, მათ შორის საკვერცხის, ტვინის, სისხლის და კანის. ტანგერეტინი აინჰიბირებს კიბოს უჯრედის ზრდას, აპოპტოზის ინდუქციას, აუტოფაგიას, ანტიანგიოგენეზს და აქვს ესტროგენის მსგავსი ეფექტები. ტანგერეტინი მოქმედებს ანთებითი შუამავლების დონის შემცირებით იმუნურ სისტემაზე. ტანგერეტინის კლინიკური გამოყენება კიბოს სანინალმდეგო საშუალებებთან ერთად, უზრუნველყოფს ამ აგენტების ეფექტურობის გაზრდას და არასიმსივნური უჯრედების დაცვას, ქიმიოთერაპიით გამოწვეული დაზიანებისგან [15]. ანტიოქსიდანტური აქტივობის (აოა) ყველაზე მაღალი დონე აქვს გრეიფრუტის ნაყოფის ეთერზეთს, შემდეგ მოდის ლიმონის, მანდარინის და ბოლოს ფორთოხლის. აოა აქტივობა განისაზღვრება სხვადასხვა ნაერთებით, როგორც წესი პოლიფენოლების რაოდენობა და მათში ჰიდროქსილის ჯგუფები პირდაპირ კორელაციაში აოა-სთან. ვინაიდან ჰმფ არ შეიცავს ჰიდროქსილის ჯგუფებს, ისინი ჩანაცვლებულია მეთოქსიჯგუფებით, შესაბამისად აოა გრეიფრუტის და ლიმონის უფრო მაღალია, ვინაიდან მათში წარმოდგენილია მეტი ჰიდროქსიჯგუფების მქონე პოლიფენოლები. ეთერზეთების ანტიოქსიდანტური თვისებები ყოველთვის არ არის დამოკიდებული მისი ძირითადი კომპონენტის ანტიოქსიდანტურ აქტივობაზე, ძალზე აქტუალურია მინორული კომპონენტების სინერგიზმის გათვალისწინება [16].

ნახ.2. ციტრუსების ეთერზეთების ანა 1/წუთები x 100 პირობითი ერთეული



ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეთერზეთებს შორის პოლიმეთოქსილირებული ფლავონებით გამოირჩევა მანდარინის და ფორთოხლის ეთერზეთები, ხოლო გრეიფრუტის და ლიმონის მაღალი ანა, უფრო მეტად განპირობებულია ჰიდროქსილირებული პოლიფენოლებით. შესაბამისად, შესაძლებელია ანტიკანცეროგენული აქტივობა მეტია მანდარინის და ფორთოხლის ეთერზეთებში, ხოლო გრეიფრუტის და ლიმონის ეთერზეთებს უფრო კიბოს პროფილაქტიკის უნარი აქვთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Haokip, S.W., Sheikh, K.A., Das, S. et al. Unraveling physicochemical profiles and bioactivities of citrus peel essential oils: a comprehensive review. *European Food Research Technology* (2023). <https://doi.org/10.1007/s00217-023-04330-w>
- Saini, R.K.; Ranjit, A.; Sharma, K.; Prasad, P.; Shang, X.; Gowda, K.G.M.; Keum, Y.-S. Bioactive Compounds of Citrus Fruits: A Review of Composition and Health Benefits of Carotenoids, Flavonoids, Limonoids, and Terpenes. *Antioxidants* 2022, 11, 239. <https://doi.org/10.3390/antiox11020239>
- Gao, Z.; Gao, W.; Zeng, S.L.; Li, P.; Liu, E.H. Chemical structures, bioactivities and molecular mechanisms of citrus polymethoxyflavones. *J. Funct. Foods* 2018, 40, 498–509.
- I Gvilava, G Ormotsadze, I Chkhikvishvili, M Giorgobiani, Nina V Kipiani, T Sanikidze. Radioprotective Activity of Polymethoxy-lated Flavonoids of Citrus extract. *Georgian Med News*. 2018 Dec;(285):119-124.
- P. J. Wiffen, B. Wee, S. Derry, R. F. Bell, and R. A. Moore, "Opioids for cancer pain - an overview of Cochrane reviews," *Cochrane Database of Systematic Reviews*, vol. 7, Article ID CD012592, 2017.
- S. K. Wattanapitayakul, L. Chularojmontri, A. Herunsalee, S. Charuchongkolwongse, S. Niumsakul, and J. A. Bauer, "Screening of antioxidants from medicinal plants for cardioprotective effect against doxorubicin toxicity," *Basic Clinical Pharmacology Toxicology*, 2005; 96(1):80-87.
- Tavberidze, V. (2017). Cancer control measures: raising awareness in Georgia, *Georgia Today*, 27.12.2017.
- S. Gupta, F. Afaq, and H. Mukhtar, "Selective growth-inhibitory, cell-cycle deregulatory and apoptotic response of apigenin in normal versus human prostate carcinoma cells," *Biochemical and Biophysical Research Communications*; 2001; 287(4):914-920.
- V. Sharma, D. Kumar, K. Dev, A. Sourirajan. Anticancer activity of essential oils: Cell cycle perspective. *South African Journal of Botany*. June 2023; 157:641.
- Чхиквишвили И.Д., Гогия Н.Н., Шалашвили А.Г. Состав комплекса полиметоксилированных флавонов кожуры плодов мандарина Уншиу. *Прикладная биохимия и микробиология*, 1993; 29(4):604-609.
- Чхиквишвили И.Д., Куркин В.А., Первых Л.Н. Флавоноиды кожуры плодов Citrus unshiu. *ХПС*, 1994; 30:6.
- Hao Fan, Qingli Wu James E. Simon, Shyi-Neng Lou, Chi-Tang Ho. Authenticity analysis of citrus essential oils by HPLC-UV-MS on oxygenated heterocyclic components. *Journal of Food and Drug Analysis*. 2015; 23:30-39.
- Nino G. Dabrundashvili, Eka B. Kvaratskhelia, Maia Gagua, Ekaterine Maisuradze, Irakli Chkhikvishvili, Elene I. Zhuravliova, David G. Mikeladze. Nobiletin transiently increases the

- production of Nitric Oxide and changes the activity of Succinate Dehydrogenase in human blood lymphocytes. Journal of Food Biochemistry 2011; 35:638-649.
14. Yun-Yi Chen, Jiao-Jiao Liang, Deng-Liang Wang, Jie-Biao Chen, JinPing Cao, Yue Wang & Chong-De Sun (2022): Nobiletin as a chemopreventive natural product against cancer, a comprehensive review, Critical Reviews in Food Science and Nutrition, DOI: 10.1080/10408398.2022.2030297
 15. El-Shaimaa A. Arafa, Noura T. Shurrab, and Manal A. Buabeid. Therapeutic Implications of a Polymethoxylated Flavone, Tangeretin, in the Management of Cancer via Modulation of Different Molecular Pathways Advances in Pharmacological and Pharmaceutical Sciences Volume 2021, Article ID 4709818, 15 pages <https://doi.org/10.1155/2021/4709818>
 16. Andrzej L. Dawidowicz, Małgorzata Olszowy. Does antioxidant properties of the main component of essential oil reflect its antioxidant properties? The comparison of antioxidant properties of essential oils and their main components. Natural Product Research, 2014; 28(22):1952-1963.

დავით ჩხიკვიშვილი, ირაკლი ჩხიკვიშვილი, ნუნუ გოგია, მანანა ესაიაშვილი
ციტრუსის ეთერზეთების ანტიკანცეროგენული პოლიმეთოქსილირებული ფლავონების დაყოფა
მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით
 თსსუ, ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი

რეზიუმე

ციტრუსების ეთერზეთები მდიდარია სხვადასხვა ნაერთებით, მათ შორის არის პოლიმეთოქსილირებული ფლავონები. მანდარინის ეთერზეთში პოლიმეთოქსილირებული ფლავონის ტანგერეტინის ყველაზე დიდი რაოდენობაა, ფორთოხალში თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი ნობილეტინი, ტეტრა-0-მეთილსკუტელარინი, ჰეპტამეტოქსიფლავონი და ტანგერეტინი. ლიმონი და გრეიფრუტი უფრო ღარიბია პოლიმეთოქსილირებული ფლავონების რაოდენობით, თუმცა მათში მეტია ჰიდროქსილირებული პოლიფენოლების რაოდენობა. შესაბამისად, მათი ანტიოქსიდანტური აქტივობა უფრო მაღალია, ვიდრე ფორთოხლის და მანდარინის ეთერზეთების.



თინათინ გორგილაძე^{1,2}, ეკატერინე მუჯირი²
არაფორმირებულ მუდმივ კბილებში ტრავმული პულპიტების დროს ბიოაქტიური
მასალის „ბიოდენტინის“ გამოყენება

¹ბათუმის შოთა-რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

²სტომატოლოგიური კლინიკა „სმაილ-დენტი“

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.09>

TINATIN GORGILADZE^{1,2}, EKATERINE MUJIRI²

CLINICAL EXPERIENCE OF USING BIOACTIVE MATERIAL “BIODENTINE” IN THE TREATMENT OF TRAUMATIC PULPITIS IN YOUNG PERMANENT TEETH

¹Batumi Shota Rustaveli State University; ²"Smile-Dent" dental clinic

SUMMARY

Permanent tooth injuries account for 90% of children's injuries. The central incisor teeth are most often damaged. Trauma to the tooth can cause pulp necrosis, retardation of tooth growth, and root formation. "Biodentin" is a bioactive material; its direct contact with the pulp contributes to the formation of tertiary dentin and maintains the vitality of the pulp. These qualities of the material made it possible to use "Biodentin" for the treatment of central unformed incisors during injuries. 24 months after the treatment, the anatomy and function of the tooth are restored.

Keywords: apexogenesis, bioactive materials, immature cortical nyami, partial pulpotomy

შესავალი. მოზარდებსა და ბავშვებში საკმაოდ ხშირად გვხვდება კბილების ტრავმული დაზიანებები, 5 წლის ბავშვებში კბილის ტრავმები საშუალოდ შეადგენს 31-40%-ს, ხოლო გოგონებში - 16-30%-ს, 12 წლის ასაკობრივ ჯგუფში ტრავმების გავრცელება იკლებს და ბიჭებში 12-33%-ს შეადგენს, ხოლო გოგონებში - 4-19%-ს [2]. მუდმივი კბილების დაზიანება შეადგენს ბავშვთა ტრავმების 90%-ს, მათ შორის ყველაზე მეტად ცენტრალური საჭრელი ზიანდება. კბილების მოტეხილობის მიზეზი ხშირად სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ტრავმებია, მაგალითად, თამაშის, სპორტული შეჯიბრებების, საავტომობილო ავარიების დროს [4,7].

კბილის ტრავმის დროს, როცა პულპის კამერა არ არის გახსნილი, პულპაში ირღვევა მიკროცირკულაცია, რომლის ხარისხის დადგენა რთულია. იშემია, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, აპიკალური სისხლძარღვების დაზიანება შესაძლოა პულპის ნეკროზის მიზეზი გახდეს [1]. Cvek-ის მიერ თანავტორებთან ერთად კლინიკური და ჰისტოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ პულპის კამერის გახსნის დროს ხდება ტრავმული კბილების ბაქტერიული კონტამინაცია. ანთებითი პროცესის სიღრმე გამოივლელბულ პულპაში ერთი კვირის შემდეგაც 2მმ-ზე ღრმად არ წასულა. ჯანსაღი პულპა აღმოჩენილ იქნა ტრავმული ზედაპირიდან რამდენიმე მმ-ით სიღრმეში [5]. კვლევის ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პულპის ცხოველმყოფელობის შესანარჩუნებლად საკმარისია მხოლოდ დაზიანებული პულპის ამპუტაცია. ეს იძლევა საშუალებას, მოვახდინოთ მხოლოდ ინფიცირებული გვირგვინოვანი პულპის ამპუტაცია, ვინარჩუნებთ პულპის ძირითად ნაწილს, რომელსაც მაღალი რეგენერაციის უნარი აქვს.

პულპის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დენტინის წარმოქმნაა, რომელიც გრძელდება კბილის ამოჭრიდან ორი წლის განმავლობაში. ფესვის ჩამოყალიბების პროცესში პულპის ნეკროზის შემთხვევაში დენტინი ვეღარ ასწრებს ზრდას და ფესვის კედლები რჩება თხელი, მსხვერვალი და მყიფე, შესაბამისად კბილი ვეღარ უძლებს დატვირთვას.

ჩამოყალიბებელი მუდმივი კბილების მკურნალობის პროგნოზი გაცილებით გაუმჯობესდა ბოლო ათწლეულია, რაც განაპირობა ბაზარზე იმ პრეპარატების გამოჩენამ, რომლებიც ასტიმულირებს პულპის წარმოქმნას. ერთ-ერთი პირველი იყო კალციუმის ჰიდროქსიდის შემცველი პრეპარატები, ხოლო 1993 წელს ამერიკელი მეცნიერების მიერ შეიქმნა MTA (მინერალტროქსიდაგრევატი). ეს არის მასალა, რომელსაც გააჩნია მკვეთრად გამოხატული აღდგენითი თვისებები, ბიომეთავსებადია. MTA-ს გამოყენებით ტრავმული პულპიტის მკურნალობის შემდეგ ჰისტოლოგიური კვლევისას პულპაში არ აღინიშნებოდა ანთებითი ცვლილებები. MTA-ს გამოყენების დროს, კალციუმის ჰიდროქსიდისგან განსხვავებით, პულპაში ნეკროზული ცვლილებების განვითარების ალბათობა ნაკლებია, წარმოიქმნება გაცილებით სქელი დენტინის შრე.

თანამედროვე სტომატოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ბიოაქტიური პრეპარატი, როგორცაა „ბიოდენტინი“ (“Biodentine™” Septodont), როგორც დენტინის შემცველი, რომელსაც აქვს მსგავსი თვისებები. მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც კბილის გვირგვინოვან ასევე არხოვან ნაწილში. კლინიკური და ლაბორატორიული კვლევები გვიჩვენებს, რომ ბიოდენტინი არის ძალიან კარგი ბიომეთავსებადი მასალა, ასევე გააჩნია კარგი პერმეტიზაციის უნარი. ამ თვისებების გამო მისი გამოყენება შეიძლება, როგორც დროებითი ბუნებრივი თვით. ის ასტიმულირებს მესამეული დენტინის წარმოქმნას და ქმნის საუკეთესო პირობებს დენტინოგენეზისთვის.

კვლევის ობიექტი და მეთოდები: ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა არაფორმირებულ კბილებში ბიოდენტინის პრეპარატების ეფექტურობის კლინიკური შეფასება, ცენტრალური კბილების ტრავმული დაზიანებისას. კვლევაში მონაწილეობდა 8 წლიდან 9 წლამდე ასაკის 7 პაციენტი, რომლებსაც აღინიშნებოდა ცენტრალური კბილების ტრავმა, რომელთა ფესვებიც იყო არაფორმირებული. 7 პაციენტიდან 2 იყო გოგონა და 5 ვაჟი. პაციენტები მოგვმართავდნენ 1.1 კბილების ტრავმით. ოთხ შემთხვევაში პულპის კამერა არ იყო გახსნილი, ხოლო სამი შემთხვევის დროს პულპა იყო გახსნილი. პაციენტები უჩიოდნენ ტკივილს ტემპერატურულ გამღიზიანებელზე, თვითნებითი ტკივილები არ აღინიშნებოდათ, პერკუსია იყო უარყოფითი. რენტგენოლოგიურად არ აღინიშნებოდა ცვლილებები პერიაპიკალურ ქსოვილში. ადგილობრივი ანესთეზისა და კბილის იზოლაციის შემდეგ, სტერილური ბორით კბილის პრეპარირების შემდეგ 4 შემთხვევაში იმ

კბილებში, რომელშიც პულპის კამერა არ იყო გახსნილი, პრეპარირებული ღრუს ფსკერზე მოვათავსეთ ბიოდენტივის ნახვევი, მოვახდინეთ იონომერული ცემენტით იზოლაცია და კბილის გვირგვინოვანი ნაწილი აღვადგინეთ სხივგამყარებადი კომპოზიტით “Estelite Sigma Quick”. იმ შემთხვევებში, სადაც კამერა გახსნილი იყო, მოვახდინეთ პულპის ამპუტაცია სტერილური ბორის საშუალებით. ჰემოსტაზი დადგა 1 წუთში, რაც მიგვანიშნებს, რომ ანთებითი პულპა ამპუტირებულია. პრეპარირებული ღრუს ფსკერზე მოვათავსეთ „ბიოდენტივის ნახვევი“, შემდეგ იონომერული ცემენტი და ბოლოს გვირგვინის რესტავრაცია სხივგამყარებადი კომპოზიტით “Estelite Sigma Quik”.

მკურნალობის ეფექტურობას ვაფასებდით პაციენტის დათვალეფრებით 1 კვირის, 3, 6, 12, 18 და 24 თვის შემდეგ რენტგენოლოგიური კონტროლის საშუალებით. საკონტროლო ვიზიტებზე პაციენტებს ჩივილები არ აღენიშნებოდათ, რენტგენოლოგიური კვლევისას პათოლოგიური ცვლილებები არ ვლინდებოდა, თორმეტი თვის შემდეგ ფესვის სიგრძე იზრდებოდა და კედლები იყო გასქელებული. 18 თვის შემდეგ ფესვმა ზრდა დაასრულა და აპექსი იყო შევიწროებული, ხოლო 24 თვის შემდეგ აპექსი ჩამოყალიბდა.

კლინიკური შემთხვევა: მოგვმართა 7 წლის პაციენტმა 1.1 და 2.1 კბილების ტრავმული დაზიანებით (სურ.1). ტრავმა მიიღო ორი დღის წინ. ექიმისთვის არ მიუმართავს. უჩივის მკვეთრად გამოხატულ ტკივილებს ტემპერატურულ, მექანიკურ, ტაქტილურ გამღიზიანებლებზე. ობიექტურად აღინიშნება 1.1 და 2.1 კბილების გვირგვინოვანი ნაწილის დეფექტი, რომელიც შეესაბამება ბლეკის IV კლასს.



სურ. 1



სურ. 2


რენტგენოლოგიურად ფესვის მოტეხილობა არ აღინიშნებოდა, ასევე არ ვლინდებოდა ცვლილებები პერიაპიკალურ ქსოვილში (სურ. 2). ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ, რომლისთვისაც გამოვიყენეთ არტიკაინი ეპინეფრინთან ერთად 1:200000, კბილის იზოლაციის და სტერილური ბორით კბილის პრეპარირების შემდეგ, პულპის კამერა არ გახსნილა. პრეპარირებული ღრუს ფსკერზე მოვათავსეთ ბიოდენტივის ნახვევი, მოვახდინეთ იონომერული ცემენტით იზოლაცია და კბილის გვირგვინოვანი ნაწილი აღვადგინეთ სხივგამყარებადი კომპოზიტით “Estelite Sigma Quick” (სურ. 3, 4).



კბილის გვირგვინოვანი ნაწილის აღდგენის პროცესი (სურ. 3)



აღდგენილი (სურ. 4)



რენტგენოგრაფია 12 თვის შემდეგ
(სურ. 5)

18 თვის შემდეგ
(სურ. 6)

24 თვის შემდეგ
(სურ. 7)

კვლევის შედეგები: ბიოდენტინის გამოყენება ცენტრალური კბილების ტრავმების დროს იძლევა შემდეგ შედეგებს :

1. პულპის ცხოველმყოფელობის შენარჩუნება;
2. კბილის ფესვის ზრდა, რომელიც დასტურდება რენტგენოლოგიურად (სურ. 5, 6, 7);
3. კბილის ფესვის კედლების გასქელება;
4. აპექსის ჩამოყალიბება მკურნალობიდან 24 თვეში (სურ. 7);

დისკუსია: ჩვენი კვლევის შედეგებს ვაფასებდით პაციენტების ჩივილებითა და კვლევის ობიექტური მეთოდებით (პერკუსია, რენტგენოგრაფია). შედეგები, რომელიც მივიღეთ ადასტურებს ბიოდენტინის უნიკალურ თვისებებს, გაზარდოს პულპაში ზრდის ფაქტორები, რაც განაპირობებს მესამეული დენტინის წარმოქმნას, ეს ხელს უწყობს კბილის ფესვის ჩამოყალიბებასა და მისი ზრდის დასრულებას. რაც დასტურდება 12, 18, 24 თვის შემდეგ ჩვენს მიერ მიღებული პაციენტების მკურნალობის შედეგებით.

შედეგები: კბილის პულპიტების დროს „ბიოდენტინის“ გამოყენებამ აჩვენა, რომ პრეპარატს აქვს გამოხატული თვისებები, რომლებიც ხასიათდება შემდეგი თვისებებით, არის ბიომეთაფსებადი, ხასიათდება დაბალი ციტოტოქსიურობით, მარტივად მყარდება ტენიან გარემოში, აქვს კარგი ადჰეზიის უნარი, არის რენტგენოკონრასტული [6]. პრეპარატის ეს თვისებები იძლევა საშუალებას, რომ გამოვიყენოთ არაფორმირებული ფესვების მქონე, მუდმივი კბილების ტრავმების სამკურნალოდ.

საკონტროლო ვიზიტებზე პაციენტებს არ აღენიშნებოდათ ჩივილები ტემპერატურულ, მექანიკურ და ტაქტილურ გამღიზიანებელზე, აგრეთვე არ უჩიოდნენ თვითნებითი ხასიათის ტკივილებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა კლინიკურ შემთხვევაში მოხდა კბილის ფესვის ჩამოყალიბება - აპექსოგენეზი, რაც დასტურდება კლინიკური და რენტგენოლოგიური კონტროლით დინამიკაში.

პრეპარატ „ბიოდენტინის“ გამოყენების დროს, მკურნალობის დადებითი დინამიკა აღინიშნებოდა მკურნალობის დაწყებისთანავე. მისი წყალობით მოხერხდა კბილის ანატომიური მთლიანობისა და ფუნქციის აღდგენა პულპის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებით. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „ბიოდენტინი“ აქტიურად შეგვიძლია გამოვიყენოთ არაფორმირებული ფესვების მქონე, მუდმივი კბილების ტრავმული პულპიტების სამკურნალოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Винниченко Ю.А. Влияние уровня ампутации пульпы на процесс формирования корней постоянных зубов, подвергшихся эндодонтическому лечению // Клиническая стоматология. 2000; 3:40-42.

2. Вэлбери Р.Р., Даггал М.С., Хози М.Т. Детская стоматология: руководство / под ред. Л.П. Кисельниковой. М.: ГЭОТАР-Медиа, 2013.
3. M. Aeinehchi, B. Eslami, M. Ghanbariha, A.S. Saffar. Mineral trioxide aggregate (MTA) and calcium hydroxide as pulp capping agents in human teeth: a preliminary report. Int Endod J. 2002; 36(3):225-31
4. Bruns T., Perinpanayagam H. Dental Trauma that require fixation in a children's hospital. Dental Traumatol. 2007; 24 (1):59-64.
5. M. Cvek, P.E. Cleaton-Jones, J.C. Austin, J.O. Andreasen. Pulp reaction to exposure after experimental crown fractures or grinding in adult monkeys. J Endod. 1982; 8(9):391-397.
6. M.S. Dominguez, D.E. Witherspoon, J.L. Gutmann, L.A. Opperman. Histological and scanning electron microscopy assessment of various vital pulp-therapy materials. J Endod. 2003; 29(5):324-333.
7. Gabris K., Tarjan I., Rozsa N. Dental trauma in children presenting for treatment at the Department of Dentistry for Children and Orthodontics, Budapest, 1985-1999. Dent Traumatol. 2001; 17(3):103-8.
8. M.G. Gandolfi, G. Ciapetti, P. Taddei, F. Perut, A. Tinti, M.V. Cardoso, B. Van Meerbeek, C. Prati. Apatite formation on bioactive calcium-silicate cements for dentistry affects surface topography and human marrow stromal cells proliferation. Dent Mater. 2010; 26(10):974-992.
9. Grech L., Mallia B., Camilleri J. Investigation of the physical properties of tricalcium silicate cement-based root-end filling materials. Dent Mater. 2013; 29(2):e20-e28.
10. A. Nowicka, M. Lipski, M. Parafiniuk, K. Sporniak-Tutak, D. Lichota, et al. Response of human dental pulp capped with biodentine and mineral trioxide aggregate. J Endod. 2013; 39(6):743-7.
11. A.N. Sawyer, S.Y. Nikonov, A.K. Pancio, L.N. Niu, K.A. Agee, R.J. Loushine et al. Effects of calcium silicate-based materials on the flexural properties of dentin. J Endod. 2012; 38(5):680-683.
12. Torabinejad M., Parirokh M. Mineral trioxide aggregate: a comprehensive literature review - part II: leakage and biocompatibility investigations. J Endod. 2010; 36(2):190-202.

თინათინ გორგილაძე^{1,2}, ეკატერინე მუჯირი²

არაფორმირებულ მუდმივ კბილებში ტრავმული პულპიტების დროს ბიოაქტიური მასალის „ბიოდენტინის“ გამოყენება

¹ბათუმის შოთა-რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

²სტომატოლოგიური კლინიკა „სმაილ-დენტი“

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა არაფორმირებულ მუდმივ კბილებში ტრავმული პულპიტის დროს ბიოაქტიური მასალის „ბიოდენტინის“ გამოყენება. პრეპარატის ეფექტურობის დადგენა მკურნალობიდან 24 თვის შემდეგ. მუდმივი კბილების დაზიანებები ბავშვთა ტრავმების 90%-ს შეადგენს, ყველაზე ხშირად ზიანდება ცენტრალური საჭრელები კბილები.

კბილის ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს პულპის ნეკროზი, კბილის ზრდისა და ფესვის ფორმირების შეფერხება. "ბიოდენტინი" - ბიოაქტიური მასალა, მისი პულპასთან უშუალო კონტაქტი ხელს უწყობს მესამეული დენტინის წარმოქმნას და პულპის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. ის კალციუმის სილიკატის შემცველი ჰიდროსკოპული მასალაა, რომელიც ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ბიოშეთავსებადია, ტენიან გარემოში გამყარების უნარით ხასიათდება, აქვს კარგი ქიმიური კავშირი კბილის ქსოვილთან, ასევე პულპაში ზრდის ფაქტორების გააქტიურების უნარი. მასალის ამ თვისებებმა შესაძლებელი გახადა "ბიოდენტინის" გამოყენება ცენტრალური, ჩამოუყალიბებელი, საჭრელი კბილების სამკურნალოდ ტრავმების დროს. მკურნალობიდან 24 თვის შემდეგ კბილის ანატომია და ფუნქცია აღდგენილია.



ნიკოლოზ ბუაძე, ავთანდილ კუტუბიძე, მერაბ ბუაძე

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილის არავარიკოზული სისხლდენების ენდოსკოპიური მეთოდებით მკურნალობა ბავშვებში

ოსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური კლინიკა

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.10>

NIKOLOZ BUADZE, AVTANDIL KUTUBIDZE, MERAB BUADZE

ENDOSCOPIC TREATMENT OF NON-VARICOSE BLEEDING FROM THE UPPER GASTROINTESTINAL TRACT IN CHILDREN

Tbilisi State Medical University, G. Zhvania Pediatric Academic Clinic

SUMMARY

Pediatric gastrointestinal (GI) bleeding is a concerning medical condition that can lead to significant morbidity and even mortality if not promptly diagnosed and treated. In children, non-variceal GI bleeding is one of the most common causes of this condition. This article discusses the endoscopic treatment options and various classification systems used to assess and manage non-variceal GI bleeding in pediatric patients. Additionally, it explores specific conditions associated with pediatric GI bleeding, such as peptic ulcer disease (PUD), Mallory-Weiss syndrome, GERD and Dieulafoy lesion.

Keywords: Non varicose pediatric GI bleeding, Endoscopy, Forrest classification, Sheffield classification, PUD, Mallory Weiss syndrome, Dieulafoy lesion.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილიდან ქირურგიული დაავადებებით გამოწვეული სისხლდენები მოიცავს სხვადასხვა პათოლოგიებს, რომლებიც გასხვავდებიან ეტიოპათოგენებით და მიმდინარეობით. აღნიშნულ დაავადებებში განვიხილავთ კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავიდან წყლულოვანი ეტიოლოგიის სისხლდენებს, როგორც ჰელიკობაქტერიული გენეზის, ასევე ანთების საწინააღმდეგო არაჰორმონალური მედიკამენტების მიღების შედეგად განვითარებულ მწვავე სისხლდენებს, მელორი-ვეისის სინდრომს, დელაფუას სინდრომს, გასტრო-ემოფაგალური რეფლუქსური დაავადების ფონზე განვითარებულ წყლულოვან ემოფაგიტს და საყლაპავის ჰიატალურ თიაქრებს. ხშირად სისხლდენა პროფუზულია, უქმნის ბავშვის სიცოცხლეს რეალურ საშიშროებას და საჭიროებს სასწრაფო სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას, რომელიც მოიცავს რენიმიციულ ღონისძიებებს, ენდოსკოპიური ჰემოსტატიკური სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას [1,2].

გასტროდუოდენალური სისხლდენის უხშირეს მიზეზს წარმოადგენს 12-გოჯა ნაწლავის ბოლქვის უკანა კედლის წყლულებიდან სისხლდენა. უფრო ნაკლებად წინა კედლის წყლულებიდან. შედარებით იშვიათად კუჭის პილორულ ნაწილში წყლულოვანი დეფექტების ლოკალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს წყლულოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მიმდინარეობაში. პოსტულბალური, ანუ 12-გოჯა ნაწლავის დისტალური წყლულები ხასიათდებიან უფრო ხანგრძლივი მკურნალობისა და ხშირი რეციდივებით, ვიდრე პროქსიმალურად მდებარე დეფექტები.

კვლევის მიზანი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილიდან არავარიკოზული სისხლდენების (ბაქტერიული და მწვავე წყლულები, გერდი, მელორი-ვეისის, დელაფუას სინდრომები) მინიზაზიური მკურნალობის სხვადასხვა ენდოსკოპიური მეთოდების ეფექტურობის შედარება კლინიკური და ობიექტური პარამეტრებით.

კვლევის მასალები: წარმოადგენს 4 თვიდან 18 წლამდე ასაკის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სისხლდენით მიმდინარე ქირურგიული დაავადებების მქონე პაციენტები, შემდეგი დაავადებებით:

- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ჰელიკობაქტერიული ეტიოლოგიის წყლულებიდან სისხლდენები - 40 პაციენტი;
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის მედიკამენტოზური და სხვა ეტიოლოგიის შედეგად მწვავედ განვითარებული წყლულებიდან სისხლდენები - 20 პაციენტი;
- გასტროემოფაგალური რეფლუქსური დაავადების (გერდ) ფონზე განვითარებული წყლულოვანი ემოფაგიტები პროლაფსით და სისხლდენებით - 10 პაციენტი;

- დიელაფუას სინდრომი - 5 პაციენტი;
- მელორი ვეისის სინდრომის ფონზე განვითარებული სისხლდენები - 10 პაციენტი.

კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავიდან არავარიკოზული სისხლდენა. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება წარმოადგენს თანამედროვე ბავშვთა ქირურგიული გასტროენტეროლოგიის აქტუალურ პრობლემას. დაავადების გამოვლინება იწყება 4-5 წლის ასაკიდან და პიკს აღწევს 12-15 წლის ასაკში. აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში დაავადების მაღალი სიხშირე განპირობებულია სქესობრივი მომწიფების პერიოდში ჰორმონალური ცვლილებებით.

დაავადების მიმდინარეობის პათოგენეზში წამყვანი ადგილი უკავია: წყლულოვანი დაავადებით დატვირთულ მემკვიდრულ ფაქტორს, სქესს (ბიჭებში უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებში), კვების რეჟიმს. აღნიშნულის გამო კუჭსა და 12-გოჯას ლორწოვანში ვითარდება ტროფიკული დარღვევები. მათულობს კუჭის წვენის მუავიანობა - შეპტიკური ფაქტორი, იზრდება გასტრინის (კუჭის პილორული ნაწილის ჰორმონის) დონე, რომელიც იწვევს სეკრეტორულ და მუავანარმოქმნელი ფუნქციის გაზრდას. შვარცის დევიზი „არ არის სიმუავე - არ არის წყლული“ ამ ცნობილ გამოთქმას დაემატა ცნობილი მეცნიერის დევიტ გრაჰამის გამონათქვამი „არ არის მუავა - არ არის ჰელიკობაქტერია, არ არის წყლული“.

კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების პათოგენეზის საკითხებმა მიიპყრო ყურადღება მას შემდეგ, რაც 1983 წელს ავსტრალიელმა მეცნიერებმა მარშალმა და ვარენმა პირველად გამოყვეს კუჭის პილორული ნაწილის ბიოფსიური მასალიდან სპირალური ფორმის ჰელიკობაქტერია, რომელიც წყლულოვანი დაავადების დროს ბავშვების 95%-ში გვხვდება.



სურათი 1. ა - კუჭის წყლული, ბ - 12 გოჯას წყლული

დაავადება მიმდინარეობს აგრესიულად და მცირე დროის განმავლობაში შესაძლებელია განვითარდეს გართულებები (თორმეტგოჯა ნაწლავის ბოლქვის სტენოზი, სისხლდენა, პერფორაცია, პენეტრაცია), რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივ სტაციონარულ მკურნალობას და ხშირ შემთხვევებში ქირურგიულ ჩარევას.

გასტროდუოდენალური სისხლდენის გარეგანი ნიშნებია: სისხლიანი ღებინება, მელენა (კუპრისფერი განავალი). სისხლძარღვოვანი კოლაფსის განვითარებისათვის დამახასიათებელია: საერთო სისუსტე, კანისა და ლორწოვანი გარსის სიფერმკრთაღე, წნევის დაქვეითება, თავბრუსხვევა, ზოგჯერ გონების დაკარგვა.

დაკარგული სისხლდენის რაოდენობა 7 წლამდე ასაკის ბავშვებში 100 მლ-მდე, ხოლო მოზრდილ პაციენტებში 200 მლ-მდეა, არ მიმდინარეობს ღრმა პათოლოგიური ტკივილებით, ხოლო როცა დანაკარგი 300-დან 500 მლ-ია, მკვეთრად გამოიხატება ჰემოდინამიკური დარღვევები და წარმოადგენს საშიშროებას პაციენტისათვის.

ნაღებინები მასის შეფერილობა შეიძლება იყოს სხვადასხვა, რაც დაკავშირებულია სისხლდენის სიმძიმეზე და სიჩქარეზე. პროფუზური ჰემორაგიებისას ღებინება მალე ვითარდება და ამონადები მასა შეიცავს შეუცვლელ სისხლს. კუჭიდან მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის სისხლდენის დროს კი ნაღებინები მასა მოშავო-ყავისფერია, რადგან კუჭში საშუალო რაოდენობით ჩაღვრილ სისხლში ჰემოგლობინი მარილმუავას მოქმედებით გარდაიქმნება მარილმუავა ჰემატინად, რომელსაც აქვს აღნიშნული ფერი. სისხლიანი ღებინება აღნიშნებათ ავადმყოფების მხოლოდ ერთ მესამედს. 12-გოჯა ნაწლავის ბოლქვის დისტალური და პოსტულბალური წყლულებიდან სისხლდენის დროს სისხლიან ღებინებას შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს.

დაავადების დანყებიდან პირველ საათებში, დეფეკაცია შეიძლება იყოს ნორმალური ფერის და კონსისტენციის, ამიტომ ნაჩვენებია ჰოსპიტალიზაციის პირველი საათებიდან თითოთ

მრავალჯერადი რექტალური გამოკვლევა. შავი ფერის განავლოვანი მასების აღმოჩენისთანავე დასტურდება გასტროდუოდენალური სისხლდენის არსებობა.

ერთჯერადი სისხლდენის შემდეგ მელენა შეიძლება გაგრძელდეს 3-5 დღე. ხოლო ფარულ სისხლდენაზე გრეგერსენის რეაქცია დადებითია - 7 დღე და მეტი.

აღსანიშნავია, რომ მელენის დროს სისხლი არ შეინიშნება ნაწლავებში. ხდება სისხლის დაშლა. დაშლის პროდუქტები ინვევენ ტოქსიკურ ზემოქმედებას ორგანიზმზე, ტემპერატურის მომატებას, თავის ტკივილს, მუცლის შებერვას, საერთო სისუსტეს, ჰიპოქსიას და ჰიპოვოლემიას.

სისხლის ანალიზი დაავადების დანყებიდან პირველ საათებში შეიძლება იყოს ნაკლებად ინფორმატიული, რადგან ჰემოგლობინისა და ერითროციტების რაოდენობა დაავადების პირველ ხანებში არ გამოხატავს სისხლდენის სიმძიმეს. ჰემოგლობინის და ერითროციტების დაკლება ვითარდება 12-24 საათის შემდეგ. როცა ხდება სისხლის გათხევადება ქსოვილოვანი სითხით, ამიტომ ნაჩვენებია მათი დინამიკაში გამოკვლევა. სისხლდენის დროს ვითარდება პოსტჰემორაგიული ლეიკოციტოზი, ფორმულის მარცხნივ გადახრით, ედს-ის მომატებით. თრომბოციტების განსაზღვრას აქვს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა, რათა მოხდეს დიფერენცირება წყლულოვანი სისხლდენებისა თრომბოციტოზული სინდრომისაგან და ჰემატოლოგიური დაავადებების ფონზე გამონეული ანემიისაგან. გასტროდუოდენალური სისხლდენის დროს ნაჩვენებია კოაგულოგრამის გაკეთება (სისხლის შედედების დრო, პროთრომბინის ინდექსი, ჰეპარინის დონე, ფიბრინოლიზური აქტივობა), თრომბოელასტოგრამა, თრომბოციტებისა და სისხლძარღვოვანი ჰემოსტაზის გამოკვლევა.

გასტროდუოდენალური სისხლდენის უხშირეს მიზეზს წარმოადგენს 12-გოჯა ნაწლავის ბოლქვის უკანა კედლის წყლულებიდან სისხლდენა, უფრო ნაკლებად წინა კედლის წყლულებიდან. შედარებით იშვიათად კუჭის პილორულ ნაწილში წყლულოვანი დეფექტების ლოკალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს წყლულოვანი დაავადებისა და მისი გართულებების მიმდინარეობაში. პოსტულბალური, ანუ 12-გოჯა ნაწლავის პოსტულბალური-დისტალური წყლულები ხასიათდებიან უფრო ხანგრძლივი მკურნალობისა და ხშირი რეციდივებით, ვიდრე პროქსიმალურად მდებარე დეფექტები.

სასწრაფო ენდოსკოპიის დროს სისხლდენის წყაროს დადგენისას ასევე ფასდება გასტროდუოდენალური მიდამოს მორფოფუნქციონალური მდგომარეობა, პილორული სფინქტერის, 12-გოჯა ნაწლავის ბოლქვისა და ბულობოდუოდენალური გასასვლელი. ითვლება, რომ 12-გოჯა ნაწლავის ბოლქვის გამოხატული შეხორცებითი დეფორმაციის, მკვეთრი დიფუზური ჰიპერემიის, შეშუპების ფონზე განვითარებული წყლულოვანი დეფექტი წარმოადგენს პროგნოზულად არასასურველ ნიშანს, რომელსაც აქვს მიდრეკილება მორეციდივე სისხლდენებისადმი.

მწვავედ განვითარებული გასტროდუოდენალური სისხლდენა, მწვავე ეროზიები და წყლულები, რომლებიც ვითარდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსის დაზიანებისას, უმეტესად გვხვდება გასტროდუოდენალურ მიდამოში და წარმოადგენს მეორად გართულებას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა: ც.ნ.ს.-ის და თავის ქალის მძიმე ტრავმები (კუშინგის წყლულები), სხეულის თერმიული დამწვრობა (კურლინგის წყლულები) ანთებისსაწინააღმდეგო არაჰორმონალური მედიკამენტების მიღების შედეგად განვითარებული წყლულები, მძიმე ქირურგიული ოპერაციის შემდგომ განვითარებული სტრესული წყლულები.

ზემოთ მოყვანილი არ ასახავს სრულად წყლულის წარმოქმნის რთულ პათოგენეზურ მექანიზმს, კერძოდ ჰორმონების, მედიატორების და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ზემოქმედებას აღნიშნულ პროცესზე, მაგრამ უკვე წარმოდგენილი სტრესული წყლულის წარმოქმნის პათოგენეზური რგოლების გათვალისწინება საშუალებას იძლევა ჩატარდეს სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილებიდან სისხლდენის შემთხვევაში, ფიბროენდოსკოპიას ალტერნატივა არ აქვს, სრულდება როგორც დიაგნოსტიკური, ასევე სამკურნალო მიზნებით. ინტერვენციული ენდოსკოპია უნდა ჩატარდეს ქირურგი-ენდოსკოპისტების მიერ, რომლებსაც აქვთ სისხლდენის შემაჩერებელი სხვადასხვა მეთოდების შესრულების გამოცდილება. გადაუდებელი ენდოსკოპია უნდა ჩატარდეს ჰემოსტაზის კორექციების ფონზე.

ჰემოსტატიკური ენდოსკოპიური მიდგომები კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენის დროს რჩება რთულ ჩარევად, გამოცდილი ენდოსკოპისტებისთვისაც. დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ 16 სხვადასხვა პედიატრიულ ცენტრში მხოლოდ 19% აცხადებს, რომ ყველა მათი კონსულტანტი ფლობდა ყველა ენდოსკოპიური ჰემოსტაზის ტექნიკას. მხოლოდ ცენტრების ნახევარს ჰქონდა 24 საათიანი დახმარების სერვისი, საიდანაც 69% შეასრულეს ბავშვთა ქირურგებმა [1,6].

მასალა და მეთოდები, დიკუსია. გასტროდუოდენალური სისხლდენით ავადმყოფთა მკურნალობა ტარდებოდა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების ცენტრალური და პერიფერიული ჰემოდინამიკური მაჩვენებლების კონტროლით.

მედიკამენტოზური მკურნალობა მიმართული უნდა იყოს დაკარგული მოცირკულირე სისხლის შევსებისაკენ, ინფუზური და ჰემოსტატიკური თერაპიის მეშვეობით (ამინოკაპრონის მუჟავა, ალბუმინი, კრიოპლაზმა, და სხვა).

შოკის შემთხვევაში ინტრავენურად ესხმება თანამოსახელე ჯგუფის ერთროციტალური მასა, რომლის უპირატესობას წარმოადგენს მისი უნივერსალობა-ABO სისტემის მიხედვით დაბალი რეაქტოგენურობა.

უკანასკნელ ხანს მედიკამენტებიდან ფართოდ გამოიყენება პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორების ინექციური ფორმები. როგორცაა პანტოპრაზოლი, ესომეპრაზოლი, რომლებიც ამცირებენ მარილმუჟავას გამოყოფას და ინვევენ წყლულოვანი დეფექტების სწრაფ შეხორცებას. ინფუზიამათით პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორის ინტრავენური ინფუზია 1-2მგ/კგ წონაზე ჩაუტარდა გასტროდუოდენალური სისხლდენით ჰოსპიტალიზირებულ ყველა პაციენტს. აღნიშნული ინფუზიით ხდება კუჭის შეცვლა pH-2 დან - pH-6 მდე. კუჭის მუჟავიანობის შეცვლა განპირობებულია პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორის მოქმედების მექანიზმით, რადგან განსხვავებით ჰისტამინის H2 რეცეპტორების ბლოკატორებისგან ხდება ინჰიბიცია არამარტო ჰისტამინის, არამედ გასტრინისა და აცეტილქოლინის, რომლებიც წარმოადგენენ კუჭის მუჟავიანობის წარმოქმნელ და მასტიმულირებელ ჰორმონებსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

მწვავედ განვითარებული კუშინგის, კურლინგის, მძიმე ოპერაციის შემდგომი მედიკამენტოზური წარმოშობის წყლულების პროფილაქტიკის მიზნით რეკომენდებულია ძირითადი დაავადების კომპლექსურ მკურნალობაში დაენიშნოს კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსის და ანტაციდური პრეპარატების ხანგრძლივი კურსი პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორით [2].

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ჰელიკობაქტერიული ეტიოლოგიის წყლულებიდან სისხლდენებით 40 პაციენტი, ყველა პაციენტი კლინიკაში შემოსვლისას უფიქსირდებოდა გასტროდუოდენალური სისხლდენის გარეგანი ნიშნები: სისხლიანი ღებინება, მელენა (კუპრისფერი განავალი). სისხლძარღვოვანი კოლაფსის განვითარებისათვის დამახასიათებელი: საერთო სისუსტე, კანისა და ლორწოვანი გარსის სიფერმკრთალე, წნევის დაქვეითება, თავბრუსხვევა, ზოგჯერ გონების დაკარგვა.

ნაღებინები მასის შეფერილობა შეიძლება იყოს სხვადასხვა, რაც დაკავშირებულია სისხლდენის სიმძიმეზე და სიჩქარეზე. პროფუზური ჰემორაგიებისას ღებინება მალე ვითარდება და ამონაღები მასა შეიცავს შეუცვლელ სისხლს. კუჭიდან მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის სისხლდენის დროს კი ნაღებინები მასა მოშავო-ყავისფერია, რადგან კუჭში საშუალო რაოდენობით ჩაღვრილ სისხლში ჰემოგლობინი მარილმუჟავას მოქმედებით გარდაიქმნება მარილმუჟავა ჰემატინად, რომელსაც აქვს აღნიშნული ფერი. სისხლიანი ღებინება აღნიშნებათ ავადმყოფების მხოლოდ ერთ მესამედს. 12-გოჯა ნაწლავის ბოლქვის დისტალური და პოსტბულბალური წყლულებიდან სისხლდენის დროს სისხლიანი ღებინებას შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს. ყველა პაციენტი აღნიშნებოდა მელენა.

დაავადების დაწყებიდან ჰემოგლობინის და ერთროციტების დაკლება ვითარდება 12-24 საათის შემდეგ, როცა ხდება სისხლის გათხევადება ქსოვილოვანი სითხით, ამიტომ ნაჩვენებია მათი დინამიკაში გამოკვლევა. სისხლდენის დროს ვითარდება პოსტჰემორაგიული ლეიკოციტოზი, ფორმულის მარცხნივ გადახრით, ედს-ის მომატებით. თრომბოციტების განსაზღვრას აქვს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა, რათა მოხდეს დიფერენცირება წყლულოვანი სისხლდენებისა, თრომბოჰემორაგიული სინდრომისაგან და ჰემატოლოგიური დაავადებების ფონზე გამონვეული

ანემიისაგან. გასტროდუოდენალური სისხლდენის დროს ნაჩვენებია კოაგულოგრამის გაკეთება (სისხლის შედედების დრო, პროთრომბინის ინდექსი, ჰეპარინის დონე, ფიბრინოლიზური აქტივობა), თრომბოელასტოგრამა, თრომბოციტებისა და სისხლძარღვოვანი ჰემოსტაზის გამოკვლევა.

ავადმყოფებს ჩაუტარდათ ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, რომლის მიზანია დადგინდეს: სისხლდენის ინტენსიობა, წყარო, მდებარეობა, წყლულის სიღრმე და ზომები, შეფასდეს ენდოსკოპიური ადგილობრივი ჰემოსტაზის საიმედოობა კომპლექსურ ჰემოსტატიკურ მკურნალობასთან ერთად. აქედან გამომდინარე ფიბროენდოსკოპიას აკისრია წამყვანი როლი მკურნალობის ტაქტიკის არჩევის საკითხში. სამკურნალო ენდოსკოპიური ჰემოსტაზური ღონისძიებების თანმიმდევრობა დაკავშირებულია სისხლდენის ეტიოლოგიასთან და ინტენსივობასთან, საშუალო სიმძიმის სისხლდენის დროს, როცა სისხლდენა არააქტიურია, ან შეჩერებულია ვარდისფერი თრომბით.

სისხლდენების დროს ენდოსკოპიური ინტერვენციის აუცილებლობის დასადგენად გამოვიყენეთ „შეფილდის ქულათა სისტემა“ [1,6], რომელიც ფასდება მაქსიმალური 24 ქულით.

შეფილდის ქულების სისტემა: საერთო ქულა: 24

ანამნეზის შეკრება: მნიშვნელოვანი წინასწარ არსებული მდგომარეობა: 1 ქულა. მელენას არსებობა: 1 ქულა. ანამნეზით სისხლიანი ღებინების ეპიზოდები: 1 ქულა.

კლინიკური შეფასება: გულისცემა > 20 (ასაკის საშუალო ნორმიდან): 1 ქულა. გახანგრძლივებული CRT (კაპილარული ავსების დრო): 4 ქულა.

ლაბორატორიული მონაცემები: ჰემოგლობინი შემცირება > 20 ერთეულით მეტი: 3 ქულა.

მენეჯმენტი და რეანიმაცია: სითხის ბოლუსის საჭიროება: 3 ქულა. სისხლის გადასხმის საჭიროება (Hb < 80 გ/ლ): 6 ქულა. სისხლის სხვა პროდუქტების საჭიროება: 4 ქულა.

8 ქულაზე მეტი ითვლება ინტერვენციის ჩვენებად. „შეფილდის ქულათა სისტემას“ ჰქონდა დადებითი პროგნოზირებადი მნიშვნელობა 91.18%, სისტემა სასარგებლოა იმის დასადგენად, თუ რომელ პაციენტს სჭირდება ენდოსკოპიური ჰემოსტატიკური მკურნალობა [3,4].

ჩვენს მიერ შემუშავებული და დანერგულია წყლულოვანი ეტიოლოგიის სისხლდენის ენდოსკოპიური ჰემოსტაზის მართვის კომპლექსური მეთოდები:

1. ენდოსკოპიური ნემს-ინექტორის საშუალებით 1მლ. ადრენალინის განზავებული 20 მლ. ფიზიოლოგიურში პერიულცერალურად 4-5 წერტილში ლორწვევა შრეში შეყვანა (ამ შემთხვევაში უკუნაჩვენებია ფტოროტანით ან ნარკოტანით ინჰალაციური ანესთეზია).
2. სპირტი 70% 1 მლ. განზავებული ფიზიოლოგიურში - ლორწვევა შრეში შეყვანა.
3. ელექტროკოაგულაცია კონტაქტური, ელექტროჰიდროკოაგულაცია - სისხლმდენი წყლულოვანი დეფექტის ირგვლივ.
4. კაპიროლის ან ვაგოტილის 2 მლ. განზავებული 1 მლ. ფიზიოლოგიურ ხსნარში, სპეციალური ენდოსკოპიური კათეტერით აპლიკაცია წყლულოვან დეფექტზე.
5. ენდოსკოპიური კლიპირებები. აქტიური სისხლდენების დროს (ფორესტი 1-ა ან 1-ბ ფორმების დროს).



სურათი 2. ფორესტის კლასიფიკაცია სისხლდენის შესაფასებლად

ბოლო წლებში ენდოსკოპიის არსენალს დაემატა ეფექტური ჰემოსტატიკური ფხვნილები. აღნიშნული ნივთიერებები გამოიყენება აქტიური სისხლდენების დროს. ენდოსკოპიური კათეტერიტ ხდება ფხვნილის შეფრქვევა სისხლდენის წყაროზე. შეფრქვეული ფხვნილის მიერ ხდება სისხლის თხიერი ნაწილის შენოვა. ლოკალურად თრომბოციტები აქტივირდება, წარმოიქმნება მყარი მექანიკური ბარიერი გელის სახით, რაც იწვევს ჰემოსტაზს. დღესდღეობით არსებობს ორი კომერციული ჰემოსტატიკური საშუალება „ჰემოსპრეი“ და „ენდოქლოტი“. მათი უპირატესობაა ის, რომ არ არის საჭირო დამიზნებით იყოს შეფრქვეული სისხლდენის წყაროზე, რაც ამარტივებს მის გამოყენებას რთული ანატომიური ლოკალიზაციის ან კუჭის კარდიალური ნაწილის ინვერსიულად დათვალიერების დროს, როდესაც ძნელია სისხლმდენი წყაროს კლიპირება ან კოაგულაცია. მარტივი გამოყენების გამო შესაძლებელია შესრულდეს გამოუცდელი სპეციალისტის მიერ. ამ მეთოდის გამოყენებისას არ ხდება პირდაპირი კონტაქტი სისხლმდენ ქსოვილთან, იცავს ქსოვილს მექანიკური შეხებისგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისხლდენის ინტენსიობის მომატება ან კედლის პერფორაცია, რაც იშვიათ შემთხვევებში შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა მექანიკური ჰემოსტატიკური საშუალებების დროს.


ენდოქლოტი - არატოქსიური, ჰემოსტატიკური, მისაფრქვევი პოლიმერული ნაწილაკები მიღებულია მცენარეული სახამებლისგან, ბიოშეთავსებადია და აპიროგენული. პრეპარატის მოლეკულური სტრუქტურა საშუალებას იძლევა სწრაფად შეინოვოს სისხლი, ხდება თრომბოციტების, ერითროციტების, კოაგულაციური ცილების (თრომბინი, ფიბრინოგენი) კონცენტრაციის მომატება, აჩქარებს სისხლის შედედების ფიზიოლოგიურ რეაქციას, წარმოქმნილი გელი ხდება სისხლის გამოდინების ბარიერი. რამოდინიმე დღეში წარმოქმნილი აპკი გამოიყოფა კუჭ-ნაწლავის ტრაქტით.

ჩვენი მიზანი იყო ენდოქლოტის გამოყენება სხვადასხვა ხარისხის სისხლდენების დროს (ფორესტის კლასიფიკაციით), გასტროდუოდენალური არაჰემორაგიული სისხლდენებით 10 პაციენტზე.

სრული შედეგი მიღწეულ იქნა 6 პაციენტზე წყლულოვანი ეტიოლოგიის სისხლდენით ფორესტის კლასიფიკაციით 1-B, 2-A, 2-B სტადიების დროს გამოყენებული მონოთერაპიის სახით. ასევე მელორი ვეისის სინდრომის დროს 2 პაციენტზე. 2 პაციენტზე, რომლებსაც აღენიშნებოდათ 1-A (ძლიერი სისხლდენა ფხვნილის აპლიკაციას წინ უსწრებდა ლორწოქვეშა ეპინეფრინის ინექციები, შემდეგ ენდოქლოტით აპლიკაცია და ენდოკლიპირება).

პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორის ინფუზია გრძელდებოდა ვიდრე ფეკალური მასები არ შეიცვლიდნენ ფერს. შემდეგ მკურნალობა გრძელდებოდა აბების სახით, მინიმუმ 5-6 კვირა.

გასტრო-ეზოფაგალური რეფლუქსური დაავადების ფონზე განვითარებული წყლულოვანი ეზოფაგაგიტებიდან სისხლდენები, მათ შორის საყლაპავის ჰიატალური თიაქრის დროს - 10 პაციენტი. წყლულოვანი დეფექტების ხარისხის დასადგენად ვიყენებდით ლოს-ანჟელესის კლასიფიკაციას.



სურათი 3. საყლაპავის თიაქარი-პროლაფსით, გასტროეზოფაგალური რეფლუქსური დაავადება, ლოს-ანჟელესის კლასიფიკაციით; სტადია A - ეროზიულ-წყლულოვანი სიგრძივი დეფექტები ზომით 5 მმ მდე. სტადია B - ეროზიულ-წყლულოვანი სიგრძივი დეფექტები ზომით 5 მმ მეტი. სტადია C - სანათურის ცირკულარული დეფორმაცია 75% მდე

სისხლდენის მიზეზი შეიძლება აიხსნას კარდიალური სფინქტერის უკმარისობის ფონზე გამოწვეული კუჭის მუჯავე შიგთავსის რეფლუქსით საყლაპავ მილში და მისი კარდიალური ნაწილის ლორწოვანზე სხვადასხვა ზომის სიგრძივი პეპტიური წყლულების წარმოქმნით. ყველა პაციენტს

ჩატარდა ენდოსკოპიური ჰემოსტატიკური აპლიკაცია ენდოქლოტით - 12 პაციენტს, მიღებული იქნა სრული ჰემოსტაზი. 3 პაციენტს - კაპიროლის ხსნარით.


ღიაგნოზის დაზუსტებისთანავე დაიწყო კონსერვატიული მკურნალობა პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორის ინტრავენური ინფუზიით და ენდოსკოპიური ჰემოსტატიკური მანიპულაციების გამოყენებით. შემდგომი მკურნალობა გრძელდებოდა პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორის ტაბლეთრებული სახით, ხოლო სტადია - C , როდესაც სანათური შევიწროებულია 70%-ით, ჩატარდა მრავალჯერადი ენდოსკოპიური ბალონური დილატაციები.

მელორი ვეისის სინდრომი. მელორი-ვეისის სინდრომი მწვავედ განვითარებული გასტროდუოდენალური სისხლდენაა, რომელიც ხასიათდება ლორწოვანი გარსის სიგრძივი ნახეთქებით კუჭის კარდიალურ და სუბკარდიალურ ნაწილში. შეუჩერებადი და ძლიერი ღებინებების და შეტევითი ხველის დროს, კუჭში და საყლაპავის ქვედა მესამედში მკვეთრად იცვლება წნევა. კუჭში წნევის სწრაფი მომატების ფონზე წარმოიქმნება პერისტალტიკური ტალღები. პილორული სფინქტერი დახურულია, ხოლო კარდიალური - დილატირებული, რის გამოც კუჭის შიგთავსი ამოდის. კარდიალურ სფინქტერში კუჭის კარდიალური ნაწილი იჭიმება და ხდება მისი პროლაფსი საყლაპავში, წარმოიქმნება ლორწოვანზე სიგრძივი ნახეთქები.

ჰემატომეზესი - წარმოადგენს ნამყვან სიმპტომს, ღიაგნოზი არ არის დამოკიდებული სისხლის რაოდენობაზე, რადგან შესაძლოა აღენიშნებოდეს სისხლის რამოდენიმე წვეთი ან სისხლი იყოს უხვი რაოდენობით. მელენა - ფიქსირდება 15% პაციენტებში, რომელთაც დაუდგინდათ მელორი-ვეისის სინდრომის არსებობა.

მელორი-ვეისის სინდრომის ღიაგნოსტიკა ძირითადად ხდება ფიბროგასტროდუოდენოსკოპიით, რომლის დროსაც კუჭის კარდიალურ ნაწილში ლორწოვანზე ჩანს ერთეული ან მრავლობითი ნახეთქები. ნახეთქების მიმართულება სიგრძივია, სისხლდენა ზომიერი, შეიძლება ინტენსიურიც. ლორწოვანის ნახეთქების კედლები მკვეთრად შეშუპებულია, ზოგ ადგილას მიფარებულია ახალი კოლტით ან ფიბრინით. უმეტეს შემთხვევაში ნახეთქები ლოკალიზდებიან კუჭის კარდიალური ნაწილის უკანა კედელზე, მცირე სიმრუდისკენ ახლოს. ზომების მიხედვით ნახეთქი შეიძლება იყოს მცირე ზომის (1 სმ-მდე), საშუალო (1-დან 2 სმ-მდე) და დიდი ზომის (2 სმ და მეტი). ენდოსკოპია უნდა ჩატარდეს სისხლდენის პირველი ეპიზოდიდან 12-24 სთ-ში, აღნიშნულ პერიოდში ვიზუალურად ნახეთქი ახალია, ლორწოვანს აქვს მონითალო-მოყავისფრო ფერი. 48-72სთ-ში ნახეთქი შესაძლოა დაფარული იყოს ერითრომატოზული გარსით. 96-სთ-ში ნახეთქი კარგად არის შეხორცებული და მათი გარჩევა ჭირს. იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლდენის გამო ჰემოდინამიკა დარღვეულია, ენდოსკოპიურ კვლევამდე უნდა მოხდეს პაციენტის სტაბილიზაცია.

იმ შემთხვევაში, თუკი სისხლდენა აქტიურია და არ ემორჩილება კონსერვატიულ მკურნალობას, საჭიროა ენდოსკოპიური ჩარევა: შესაძლოა დაედოს საყლაპავში ენდოსკოპიური კლიპები, ასევე სისხლდენის კონტროლისთვის შესაძლოა გამოყენებული იქნეს ენდოსკოპიური ინექციები. ინექცია კეთდება სისხლდენის ადგილიდან დაახლოებით 5მმ მოშორებით, შესაძლოა გამოყენებული იქნეს ინექცია განზავებული ეპინეფრინის ხსნარით, 30%-იანი ეთილის სპირტით, ნატრიუმის ტეტრადეცილის სულფატით. ასევე არჩევითი ენდოსკოპიური პროცედურაა კოაგულაციური თერაპია.




სურათი 4. მელორი ვეისის სინდრომი პაციენტი 12 წლის. ღრმა სიგრძივი ნახეთქები საყლაპავისა და კუჭის კარდიალურ ნაწილში

ჩვენი მასალა და მეთოდები. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მელორი-ვეისის სინდრომის ფონზე განვითარებული სისხლდენებით 15 პაციენტი, ყველა მათგანს სისხლდენამდე

აღნიშნებოდა ძლიერი ხასიათის მრავლობითი ღებინებები, რასაც მოყვა სისხლიანი ღებინება, სისხლის რაოდენობა მერყეობდა სხვადასხვა პაციენტებში რამოდენიმე წვეთიდან სისხლის ჭარბ რაოდენობამდე (ჰემატომეზისი). იმ პაციენტებში, რომელთაც აღნიშნებოდათ სისხლიანი ღებინება უხვი მასებით და მეღვინა, ჰემოგლობინის და ჰემატოკრიტის ვარდნა დაწყებული კონსერვატიული თერაპიის ფონზე, ჩატარდა ენდოსკოპიური კვლევა. 5 პაციენტს აღნიშნებოდა მეღვინა. ენდოსკოპიური სისხლდენის შეჩერება საჭირო გახდა 10 პაციენტთან, იმ პაციენტებს, რომელთაც აღნიშნებოდათ ღრმა ნახეთქი (4 პაციენტი), ჩატარდა ენდოსკოპიური ინექცია 30% ეთილის სპირტით. დამატებით ენდოსკოპიურად ჩატარდა აპლიკაცია კაპიროლით, რის შემდეგ მიღწეული იქნა სრული ჰემოსტაზი, განმეორებითი სისხლდენა არცერთ პაციენტს არ ჰქონია.

დიელაფუას დაზიანება (სინდრომი) წარმოადგენს სისხლძარღვოვან პათოლოგიას, ბავშვებში იშვიათია. პირველად აღწერილია ფრანგი ქირურგის დიელაფუას მიერ 1898 წელს, როგორც იშვიათი სისხლდენის მიზეზი. ხდება კუჭის ლორწოქვეშა არტერიის (ზომით 1-5 მმ) გაურკვეველი მიზეზით დაზიანება, იკლავება, მატულობს დიამეტრში, ზოგჯერ 10-ჯერ აღემატება ლორწოქვეშა ნორმალური არტერიის დიამეტრს, ზომაში მომატების გამო ამოიწვეს ლორწოვანი გარსისკენ და შესაძლებელია გამოიწვიოს მძიმე სისხლდენა [5,6,7].

პათოლოგია არ არის დაკავშირებული წყლულოვან დაავადებასთან და მის ეთიოპათოგენეზთან. უხშირესად ვითარდება ფუნდალურ და კარდიალურ ნაწილში. ლიტერატურული მონაცემებით მოზრდილებში არავარიკოზული სისხლდენების 6% გამოწვეულია დიელაფუას დაზიანებით.



სურათი 5. დიელაფუას დაზიანება, წარმოდგენილია კუჭის სხვადასხვა ნაწილებში განვითარების სიხშირე პროცენტებში. სისხლდენის ინტენსიობა ფორესტის კლასიფიკაციით 1A (არტერიული სისხლდენა), ზედა სურათზე სისხლდენის შეჩერების შემდეგ დეფექტი სისხლძარღვზე

ჩვენი მასალის მიხედვით, აღნიშნული დიაგნოზით გვყავდა 3 პაციენტი, ასაკი 3-დან 5 წლამდე, ყველა პაციენტს აღნიშნებოდა უეცრად დაწყებული გასტროდუოდენალური სისხლდენა, მასიური სისხლიანი ღებინებით, მეღვინა, მკვეთრად პროგრესირებადი ჰემორაგიული ანემიის სურათი, ჰემოგლობინი 7გრ/დლ ფარგლებში, ყველა პაციენტი საჭიროებდა ერთროციტული მასის ინფუზიებს კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში. ყველა პაციენტთან ჩატარებული იქნა სედაციის ქვეშ, სასწრაფო ჩვენებით, ემოფაგოგასტროსკოპია, სისხლმდენი არტერიის კლიპირებით.



სურათი 6. დიელაფუას სისხლდენის შეჩერება ენდოსკოპიური კლიპირებით

დიელაფუას დაზიანება არის უეცარი მასიური კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენის იშვიათი მიზეზი ბავშვებში. უეცრად დაწყებული პროგრესირებადი ანემიის შემთხვევაში უნდა

ჩათვალოს დიფერენციალურ დიაგნოზში მასიური ჰემატემების გამო. დღესდღეობით ენდოსკოპიის მიღწევებით, როგორც დიაგნოსტიკური, ასევე სამკურნალო ინტერვენციებიდან, დიელაფუს დაზიანების შემთხვევაში აუცილებლად მიგვაჩნია სისხლძარღვის მხოლოდ ენდოსკოპიური ჰემოკლიპირება.

დასკვნა: არავარიკოზული კუჭ-ნაწლავის სისხლდენა მნიშვნელოვანი პრობლემაა პედიატრიულ პოპულაციაში და ენდოსკოპია გადამწყვეტ როლს ასრულებს, როგორც დიაგნოზის დასმაში, ასევე მკურნალობის ტაქტიკაში. ისეთი კლასიფიკაციის სისტემების გამოყენება, როგორცაა ფორესტისა და შეფილდის კლასიფიკაციები, ხელს უწყობს სისხლდენის სიმძიმის შეფასებას და მართვის შესაბამისი სტრატეგიების წარმართვას. კლინიკის გამოცდილებით დანერგვით ენდოსკოპიური ჰემოსტატიკური მკურნალობის მიდგომამ გააუმჯობესა შედეგები, პედიატრიულ პაციენტებში, კუჭ-ნაწლავის ზედა ტრაქტის სისხლდენით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mike Thomson, Dalia Belsha. Endoscopic management of acute gastrointestinal bleeding in children, Journal of Pediatric Surgery, 2016, 206-210.
2. Susan Owensby, Kellee Taylor, Thad Wilkins. Diagnosis and Management of Upper Gastrointestinal Bleeding in Children. JABFM. 2015; 28(1):134-145.
3. Berkowitz JC, Bhusal S, Desai D, Cerulli MA, Inamdar S. Downhill Esophageal Varices Associated With Central Venous Catheter-Related Thrombosis Managed With Endoscopic and Surgical Therapy. ACG Case Rep J. 2016 Aug 17;3(4):e102. doi: 10.14309/crj.2016.75.
4. Cappell MS, Friedel D. Acute nonvariceal upper gastrointestinal bleeding: endoscopic diagnosis and therapy. Med Clin North Am. 2008 May;92(3):511-50, vii-viii. doi: 10.1016/j.mcna.2008.01.001.
5. Lirio RA, Management of Upper Gastrointestinal Bleeding in Children: Variceal and Nonvariceal. Gastrointest Endosc Clin N Am. 2016; 26(1):63-73.
6. Afzal NA., Lloyd C., Narula P. Variation in upper GI bleeding service provision for children in the United Kingdom – a nation-wide survey, Archives of Disease in Childhood, 04/2016, Volume 101, Issue Suppl 1.
7. Takaki Emura, Kenji Hosoda, Shota Harai, Noboru Oyachi, Takeyuki Suzuki, Ken Takada, Koji Kobayashi, Hisatake Ikeda. “Dieulafoy lesion in a two-year-old boy: a case report”; Journal of Medical Case Reports. 2016; 10:293.

ნიკოლოზ ბუაძე, ავთანდილ კუტუბიძე, მერაბ ბუაძე

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილის არავარიკოზული სისხლდენების ენდოსკოპიური მეთოდებით მკურნალობა ბავშვებში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, გ. უვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური კლინიკა

რეზიუმე

არავარიკოზული კუჭ-ნაწლავის სისხლდენა მნიშვნელოვანი პრობლემაა პედიატრიულ პოპულაციაში და ენდოსკოპია გადამწყვეტ როლს ასრულებს, როგორც დიაგნოზის დასმაში, ასევე მკურნალობის ტაქტიკაში. ისეთი კლასიფიკაციის სისტემების გამოყენება, როგორცაა ფორესტისა და შეფილდის კლასიფიკაციები, ხელს უწყობს სისხლდენის სიმძიმის შეფასებას და მართვის შესაბამისი სტრატეგიების წარმართვას. კლინიკის გამოცდილებით დანერგვით ენდოსკოპიური ჰემოსტატიკური მკურნალობის მიდგომამ გააუმჯობესა შედეგები პედიატრიულ პაციენტებში, კუჭ-ნაწლავის ზედა ტრაქტის სისხლდენით.



მარიამ გოგოტიშვილი, თინათინ გორგილაძე, მზია ბაკრაძე, ფრიდონ ჯაფარიძე
რბილი ქსოვილების მოცულობის როლი პერი-იმპლანტიტების განვითარებაში
 ბათუმის შოთა-რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.11>

MARIAM GOGOTISHVILI, TINATIN GORGILADZE, MZIA BAKRADZE, FRIDON JAPARIDZE
THE ROLE OF SOFT TISSUE VOLUME IN THE DEVELOPMENT OF PERI-IMPLANTITIS
 Batumi Shota Rustaveli State University

SUMMARY

The role of aesthetics and naturalness of periodontal soft tissues in the presence of orthopedic constructions is a difficult clinical task. A study was conducted on 46 clinical cases where two-stage implantation was done. In 25 clinical cases, the keratinized gum thickness with the implant was $2\text{ mm} >$, and in 21 - $2\text{ mm} <$. According to the conducted study, in all dental implant cases where the keratinized gingiva was $2\text{ mm} <$ we obtained higher periodontological indicators, compared to the clinical cases where the gingiva was $2\text{ mm} >$. The bone cannot ensure good adaptation of the implant and attachment to the soft tissues. As a result of research, we can say that in dental implant the risk of inflammation of surrounding tissues is less if keratinized layer thickness $> 2\text{ mm}$. BL indices of loss are high in all examined clinical cases where the thickness of the keratinized layer is $< 2\text{ mm}$.

Keywords: periodontal soft tissues, orthopedic constructions, keratinized layer

აქტუალობა: პაროდონტის რბილი ქსოვილების მაქსიმალური ესთეტიკის შენარჩუნება იმპლანტების ირგვლივ კლინიკისტებისთვის აქტუალური ამოცანაა. იმპლანტის ირგვლივ პაროდონტის ქსოვილების გრძელვადიანი სტაბილიზაცია ისეთივე მნიშვნელოვანი მომენტია, როგორც დენტალური იმპლანტის გრძელვადიანი ფუნქციონირება, ასევე მათი ესთეტიური პარამეტრების შენარჩუნება.

იმპლანტაციის ჩატარების დროს მნიშვნელოვანია მის ირგვლივ ქსოვილების მინიმალური დანაკარგი იყოს, რათა ესთეტიური ეფექტი დარჩეს მაღალი, რომელზეც მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: თავისუფალი ღრძილის ღვრილების ზომა და ფორმა, მიმაგრებული კერატინიზირებული ღრძილის ფორმა და ზომა, როგორც ვესტიბულური, ასევე ორალური მხრიდან [1].

დღემდე არ არსებობს ერთგვარი მოსაზრება დენტალური იმპლანტის ირგვლივ კერატინიზირებული ღრძილის მოცულობის შესახებ. Schroeder-ის მონაცემებით დენტალური იმპლანტები მოძრავ ლორწოვან გარსთან ხშირად კარგავენ EA ეპითელურ მიმაგრებას, რაც ხელს უწყობს პერი-იმპლანტიტის განვითარებას. სხვა ავტორები პირიქით ფიქრობენ, რომ კერატინიზირებული ღრძილი არ ახდენს ზეგავლენას პერი-იმპლანტიტისა და რეცესიის განვითარებაზე [2].

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენდა კერატინიზირებული ღრძილის მიმაგრების მნიშვნელობის განსაზღვრა პერი-იმპლანტიტების განვითარებაზე.

მასალა და მეთოდები: გამოვიკვლიეთ 42 პაციენტი (46 დენტალური იმპლანტიტით), რომელთაც დენტალური იმპლანტაცია ჩატარებული ჰქონდათ 2-3 წლის წინ. კვლევაში ჩართული პაციენტების ასაკი მერყეობდა 35 წლიდან - 45 წლამდე, რომელთაც ჰქონდათ ერთეული ხელოვნური გვირგვინები ერთეულ იმპლანტებზე. ყველა მათგანს ჰქონდა ჩატარებული რენტგენოლოგიური კვლევა იმპლანტაციის ჩატარების დღეს. იმპლანტაცია უტარდებოდათ კბილის ექსტრაქციის შემდეგ 5 თვის ვადაზე (პერიოდონტიტის დიაგნოზით). სქესის მიხედვით გვყავდა 28 ქალი და 14 მამაკაცი. თანდართული ფონური დაავადებებისა და მდგომარეობების მიხედვით გვყავდა პაციენტები შაქრიანი დიაბეტით, ჰორმონალური დისბალანსით, ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტით. ყველა მათგანს ჩაუტარდა ორ ეტაპიანი იმპლანტაცია. არცერთი შემთხვევა არ გვქონდა, სადაც პაციენტს დასჭირვებოდა ძვლის დამატება.

რბილი ქსოვილების შეფასება ხდებოდა შემდეგი პარამეტრებით: ჰიგიენური ინდექსი, BOP, Ppd (სურ. 1.), ღრძილის სისქე, კერატინიზირებული ღრძილის სიგანე, იმპლანტის რყევა, რეცესია იმპლანტის ირგვლივ, ასევე ყურადღებას ვაქცევდით იმპლანტის პოზიციას კბილთა რკალში.

სურ. 1. პაროდონტული ჯიბის სიღრმის განსაზღვრა იმპლანტთან Ppd.





კერატინიზირებული ღრძილის ზომას იმპლანტის არეში ვზომავდით პაროდონტოლოგიური ზონდით 1 მმ-ის დაშორებით - ღრძილის კიდიდან მუკოგინგივალურ ხაზამდე, რომელსაც ვსაზღვრავდით „ლილვაკის“ მეთოდით (სურ. 2.). კერძოდ, ამ მეთოდის ჩატარებისას თითოთ ან პაროდონტული ზონდით ზეწოლას ვახდენთ მოძრავ ლორწოვან გარსზე კორონალური მიმართულებით, სანამ მიმაგრებული კერატინიზირებული ღრძილის წინააღმდეგობას არ შევიგრძნობთ.

სურ. 2. ლილვაკის მეთოდი



ღრძილის სისქეს ვსაზღვრავდით ასევე პაროდონტული ზონდით. BOP-ს და Ppd-ს ვატარებდით საყოველთაოდ მიღებული მეთოდით თითოეულ კბილთან ექვს წერტილში [4].

ალვეოლურ ძვალს ვაფასებდით რენტგენოლოგიური კვლევით პაციენტებთან პირველ ვიზიტზე და იმპლანტაციის შემდეგ იმავე დღეს (სურ. 3, 4).

სურ. 3. რენტგენოლოგიური კვლევა	სურ. 4. რენტგენოლოგიური კვლევის შედეგების სქემა	
		<p>1- BL-ის დანაკარგი; 2 - იმპლანტის ზედაპირის შეხების ადგილი ძვალთან; 3 - იმპლანტის გვირგვინოვანი ნაწილის სიგრძე; 4 - გვირგვინოვანი ნაწილის კონტაქტი ძვალთან; 5 - იმპლანტის სიგრძე.</p>

ვაფასებდით ასევე ანტაგონისტი კბილების მდგომარეობას, ყურადღებას ვაქცევდით რესტავრირებული კბილებისა და მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციების არსებობას პირის ღრუში.

შედეგები: შეფასდა მაგარი და რბილი ქსოვილების მდგომარეობა 46 დენტალური იმპლანტის ირგვლივ. აქედან 25 კლინიკურ შემთხვევაში კერატინიზირებული ღრძილის სისქე იყო 22მმ-ზე >, ხოლო 21 კლინიკურ შემთხვევაში 22 მმ-ზე <. ყველა დენტალური იმპლანტი იყო ოსტეოინტეგრირებული. როგორც ცხრილშია ნაჩვენები Bop-ის, MPI-ის, Ppd-სა და BL-ის მაჩვენებლები იყო მომატებული იქ, სადაც ღრძილის სისქე იყო 2-მმზე <. სადაც კერატინიზირებული ღრძილის სისქე იყო 22მმ-ზე > ანალოგიური პარამეტრები უკეთესი შედეგით მივიღეთ.

ცხრილი 1. პაროდონტოლოგიური მაჩვენებლების მონაცემები იმპლანტის ირგვლივ კერატინიზირებული ღრძილის სისქის მიხედვით

პაროდონტოლოგიური მაჩვენებლები	კერატინიზირებული ღრძილის სისქე 2 მმ-ზე >	კერატინიზირებული ღრძილის სისქე 2 მმ-ზე <
ჰიგ. ინდექსი (MPI)	1,6	2,2
BOP	1,9	2,8
კერატინიზირებული ღრძილის სისქე	3,5±0,5	1,9±0,5
Ppd (მმ)	3,2±0,5	5,1±0,5
BL (მმ)	1,7±0,5	3,3 ±0,5

განხილვა: ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყველა დენტალური იმპლანტაციის შემთხვევაში, სადაც კერატინიზირებული ღრძილი იყო 2მმ-ზე < პაროდონტოლოგიური მაჩვენებლები მივიღეთ უფრო მაღალი, შედარებით მეორე კლინიკური შემთხვევისა, სადაც ღრძილი იყო 2 მმ-ზე >. ვინაო კერატინიზირებული ღრძილი ვერ უზრუნველყოფს იმპლანტის კარგ ადაპტაციას და მიმაგრებას რბილ ქსოვილებთან. უკანასკნელი ხელს უწყობს ნადების აბსორბციას და პერი-იმპლანტიტის განვითარებას. ეს უკავშირდება იმ ფაქტს, რომ იმპლანტისა და კბილის ირგვლივ არსებული პაროდონტის ქსოვილები განსხვავდება ბაქტერიული ინფექციისადმი მედეგობით. იმპლანტის ირგვლივ ღრძილი შეიცავს მეტ კოლაგენს და ორჯერ ნაკლებ ფიბრობლასტებს, ვიდრე კბილის ირგვლივ ქსოვილი. იმპლანტის შემთხვევაში ყელის კოლაგენური ბოჭკოები განლაგებულია პარალელურად და არ უკავშირდება იმპლანტს. ფართე კერატინიზირებული ღრძილი აფორმირებს მტკიცე ფიბროზულ მანუეტს იმპლანტის ირგვლივ ყელის არეში, რაც ხელს უშლის ბაქტერიების შეჭრასა და ლორწოვანი გარსის ტრავმულ მობილობას.

დასკვნა: კვლევის შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ დენტალური იმპლანტის ირგვლივ ქსოვილების ანთების განვითარების რისკი ნაკლებია თუ კერატინიზირებული ღრძილის სისქე 2მმ-ზე >. სისხლდენის BOP-სა და ძვლის დანაკარგის BL - ის ინდექსები მაღალია ყველა გამოკვლეულ კლინიკურ შემთხვევაში, სადაც კერატინიზირებული ღრძილის სისქე 2მმ-ზე <-ია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bulkina N. V., Vedyayeva A. V., Savina E. A. Medical bulletin of the North Caucasus. 2012, no. 3. Available at: <http://cyberleninka.ru/article/n/komorbidnost-zabolev>
2. Risovanny S. I. Russian journal of dentistry. 2001, no. 5, pp. 13-18.
3. Ulitovskiy S. B. Parodontics. 2000, no. 3, pp. 34-36.
4. Grudyanov A. I. Parodontal diseases. Moscow: Med. Info. Agency, 2009, 336 p.
5. Available at: <http://cyberleninka.ru/article/n7rasprostranennost-za> (accessed February 12, 2017).
6. Ivanov V. S. Parodontal diseases. 2nd ed. Moscow: Meditsina, 2009, 272 p.
7. Rajkarnikar J., Thomas B., Rao S. Kathmandu Univ Med J. 2013, vol. 41 (1), pp. 22-26.

**მარიამ გოვოტიშვილი, თინათინ გორგილაძე, მზია ბაქრაძე, ფრიდონ ჯაფარიძე
რბილი ქსოვილების მოცულობის როლი პერი-იმპლანტიტების განვითარებაში
ბათუმის შოთა-რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

რეზიუმე

პაროდონტის რბილი ქსოვილების ესთეტიკისა და ბუნებრივობის როლი ორთოპედიული კონსტრუქციების არსებობის შემთხვევაში წარმოადგენს რთულ კლინიკურ ამოცანას. არარსებობს ერთიანი მოსაზრება დენტალური იმპლანტის ირგვლივ კერატინიზირებული ღრძილის მოცულობის სიდიდის შესახებ. ჩატარდა კვლევა 46 კლინიკურ შემთხვევაზე, სადაც გაკეთდა ორ ეტაპიანი იმპლანტაცია. ოცდახუთ კლინიკურ შემთხვევაში იმპლანტთან კერატინიზირებული ღრძილის სისქე იყო 2მმ-ზე >, ოცდაერთ შემთხვევაში კი - 22მმ-ზე <. სადაც კერატინიზირებული ღრძილი 2 მმ-ზე < იყო, ჰიგიენისა და სისხლდენის ინდექსები გაიზარდა, განსხვავებით მეორე კლინიკური შემთხვევისა, სადაც კერატინიზირებული ღრძილი 2 მმ-ზე > -ია. შესაბამისად, უკანასკნელ შემთხვევაში პერი-იმპლანტიტის განვითარების რისკი არის დაბალი.



*ნინო ლეკვეიშვილი¹, მარინა ყუფარაძე^{1,2}, ია ავალიანი^{1,2}, ანზორ მელია^{1,2}, ზაზა ბერიშვილი³,
გიგი გორგაძე², გიორგი ჟორჯოლიანი²*

**ვარიკოზული ვენების თრომბოზით და ტროფიკული წყლულებით გართულებული
გენეტიკური თრომბოფილია - კლინიკური შემთხვევის აღწერა**

¹ანზორ მელიას კარდიოლოგიური კლინიკა „გული“; ² თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ³ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.12>

*NINO LEKVEISHVILI^{1,2}, MARINA KUPARADZE^{1,2}, IA AVALIANI^{1,2}, ANZOR MELIA¹,
ZAZA BERISHVILI³, GIGI GORGADZE², GIORGI ZHORZHOLIANI²*

**GENETIC THROMBOPHILIA COMPLICATED BY VARICOSE VEIN THROMBOSIS AND
TROPHIC ULCERS – A CLINICAL CASE REPORT**

¹Cardiology clinic "Guli"; ²Tbilisi State Medical University; ³Grigol Robakidze University

SUMMARY

Genetic factor is the leading in the development of varicose veins, although certain risk factors, including: overweight, old age, female gender, sedentary lifestyle, lower limb trauma and others contribute to its formation.

Thrombophilia is a risk factor for the development of venous thrombosis and chronic recurrent trophic ulcer, although the relationship between them is not well understood. Hereditary thrombophilia is a rare disease characterized by severe complications. The correlation between thrombophilia, varicose veins, and chronic venous ulceration is quite strong.

This paper describes the case of a 43-year-old man who was treated in the intensive care unit of the clinic in July 2019 with the diagnosis: thromboembolism of the pulmonary artery, thrombophilia, phlebitis and thrombosis in the phase of recanalization, with chronic venous insufficiency of the lower limbs, with a long history of varicose veins of both limbs and with diabetes mellitus. Faced complaints were: easy fatigue, weakness, shortness of breath, heart palpitations, feeling of heaviness and pain in the lower limbs, swelling. In the anamnesis - several cases of exacerbation of superficial vein thrombophlebitis were present.

Despite the uncertain prognosis, remission was achieved on the background of intensive anticoagulation therapy. Considering recurrent thrombophlebitis, screening was prescribed.

The case is interesting from both a theoretical and a practical point of view, since the described severe process became manageable - the acute form was transformed into a chronic one with a long remission. At this stage, the disease is not progressing, there are no additional complications.

Keywords: Thrombophilia, Varicose veins, Thrombosis, Genetic factor, Anticoagulant therapy.

ლიტერატურის მიმოხილვა. ვარიკოზული ვენები დილატირებული, გრეხილი ვენებია, რომლებიც კარგად ვიზუალიზდება კილურის ზედაპირზე ინსტრუმენტული გამოკვლევის გარეშე - ინსპექციით. დაავადების მიზეზი ძირითადად ქვემო კილურების ვენების სარქველოვანი უკმარისობაა, რის გამოც ამ მიდამოში წნევა იზრდება, რომელიც იწვევს სანათურის დილატაციასა და ვარიკოზის ჩამოყალიბებას.

ქვედა კილურების ვენები აღჭურვილია სარქველებით, რომლებიც იხსნება და იხურება ერთი მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს სისხლის ნაკადის ცალმხრივ დინებას ქვედა კილურებიდან გულისკენ. ნორმალურად ფუნქციონირების შემთხვევაში სისხლის ნაკადის უკუსვლა არ ხდება.

როდესაც სარქველების მუშაობა ირღვევა, სისხლი გროვდება ქვედა კილურებში, არ ხდება მათი დაცლა, რაც განაპირობებს ინტრავენური წნევის მატებას. ამის გამო ვენის კედელი იბერება, სუსტდება, იკლაკნება და განიცდის დილატაციას. ვარიკოზული ვენები ძირითადად გვხვდება ქვედა კილურის ზედაპირულ ვენებში, თუმცა ზიანდება სხვა ვენებიც, როგორც არის ვულვის ვენები, თესლის გამომტანი სადინარის ვენები (ვარიკოცელე), სწორი ნაწლავის ვენები (ბუასილის კვანძები), საყლაპავის ვენები (საყლაპავშიდა ვარიკოზი).

ვარიკოზულ ვენებში სისხლის მიმოქცევა ღუნე და შენელებულია. ამან შეიძლება გამოიწვიოს სისხლის შედედება, ზედაპირული ვენების თრომბოზი ან თრომბოფილიტი. განსხვავებით ღრმა ვენების თრომბოზისაგან (DVT), ამ შემთხვევაში თრომბი წარმოიქმნება ქვემო კილურების ღრმა ვენებში. ვარიკოზულ ვენებთან დაკავშირებულ ზედაპირულ თრომბებს, როგორც წესი, ნაკლებად ახასიათებს ემბოლიის განვითარება ფილტვის არტერიაში, თუმცა, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თრომბის ლოკალიზაცია და ვარიკოზული ვენის დიამეტრი.

თრომბოფილით გამოწვეული ჰიპერკოაგულაცია მემკვიდრეობითი ან შეძენილი მდგომარეობაა, როდესაც ინდივიდი მიდრეკილია ვენური ან არტერიული თრომბოზებისაკენ. [2]. დერმატოლოგს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს პაციენტის ჰიპერკოაგულაციის დიაგნოსტიკაში, ასოცირებული კანის გამოვლინებების ამოცნობით, როგორცაა პურპურა, ვასკულოპათია (ატროფია, ბლანში), ანეტოდერმია, ქრონიკული ზედაპირული და ღრმა ვენური წყლულები. კანის გამოვლინებები ზოგადად არასპეციფიკურია, მაგრამ ცვლილებების იდენტიფიცირებით შეიძლება მოვახდინოთ თრომბოფილიის დროული დიაგნოსტიკა [11].

თრომბოფილია ვენური თრომბოზის და ქრონიკული მორეციდივე ტროფიკული წყლულის განვითარების რისკ-ფაქტორია, თუმცა, მათ შორის კავშირი კარგად არ არის შესწავლილი. ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ თრომბოფილიის პრევალენტობა ქრონიკული ვენური წყლულის მქონე პაციენტებში მაღალია. თრომბოფილიამ შეიძლება გამოიწვიოს მაკრო- ან მიკროსისხლძარღვთა თრომბოზი, რაც შეიძლება გახდეს ქრონიკული ვენური წყლულის განვითარების მიზეზი.

ვარიკოზული ვენების განვითარებაში წამყვანია გენეტიკური ფაქტორი. თუმცა მნიშვნელოვანია რისკ-ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ვარიკოზის ჩამოყალიბებას, მათ შორის: ჭარბი წონა, ხანდაზმული ასაკი, მდედრობითი სქესი, უმოძრაო ცხოვრების სტილი, ქვედა კილურების ტრავმა, ორსულობა, კონტრაცეპტივები, ჰორმონული პრეპარატები, ვენური დაავადების ოჯახური ანამნეზი, ქრონიკულად მომატებული ინტრააბდომინალური წნევა ქრონიკული ყაბზობის ან სიმსივნის გამო, ხანგრძლივი დგომითი ან ჯდომითი რეჟიმი.

ვარიკოზული ვენების სიმპტომები მოიცავს სიმძიმის, ტკივილის, ქავილის ან წვის შეგრძნებას, ქვედა კილურების შეშუპებას.

მემკვიდრეობითი თრომბოფილია იშვიათი დაავადებაა, მისთვის დამახასიათებელია მძიმე გართულებები, რომელიც ზოგჯერ ექიმთან პირველი ვიზიტისას არ ვლინდება [7].

ვარიკოზული ვენები ხშირად გამოვლენილი პრობლემაა, რომელიც გვხვდება ზრდასრული პოპულაციის 14%-ში ვარიკოზული ვენების და 59%-ში - მცირე ტელანგიოექტაზიების სახით.

სიმპტომები შეიძლება იყოს არასპეციფიკური. ტერმინი "ქრონიკული ვენური უკმარისობა (CVI)" განსაზღვრავს ვენური სისტემის ფუნქციურ ანომალიებს, რომლებიც მიმდინარეობს სიმპტომებით: შეშუპება, სიმძიმის შეგრძნება, ცვლილებები კანზე, ტროფიკული წყლულები. ვარიკოზული ვენები და ქრონიკული ვენური უკმარისობა შეიძლება გაერთიანდეს საერთო ტერმინით - "ქრონიკული ვენური დაავადება", რომელიც მოიცავს ვენური სისტემის მორფოლოგიური და ფუნქციური დარღვევების სრულ სპექტრს.

გავრცელებული კლასიფიკაცია ახარისხებს ქრონიკულ ვენურ დარღვევებს ანატომიური მდებარეობის, ეტიოლოგიის, პათოფიზიოლოგიური მექანიზმების, კლინიკური გამოვლინების მიხედვით (CEAP). ვენური დაავადების ეტიოლოგიასთან დაკავშირებით ფიგურირებს საკამათო თეორიები. არსებობს მანკიერი წრე სარქველებში ვენური კედლის სტრუქტურულ ცვლილებებსა და ჰემოდინამიკურ ფაქტორებს შორის, რაც იწვევს რეფლუქსს და ინტრავენურ ჰიპერტენზიას, ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ვენის ვარიკოზულ დილატაციას. ვარიკოზული ვენების მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რაც ადრეულ ეტაპზე, უმეტეს შემთხვევაში, დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა, თუმცა წლების შემდეგ რეციდივის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია [8].

ვარიკოზული ვენების მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რაც უმეტეს შემთხვევაში დაავადების ადრეულ ეტაპზე დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა, თუმცა წლების შემდეგ რეციდივის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. „ქრონიკული ვენური უკმარისობა“ საჭიროებს „ქრონიკულ მართვას“.

მკურნალობის მეთოდებია: კომპრესიული თერაპია - სამედიცინო კომპრესიული წინდების გამოყენებით, ვენური რეფლუქსის კორექცია ქირურგიული ან ენდოვენური პროცედურების საშუალებით, სკლეროთერაპია და კონსერვატიული მკურნალობა [9]. თრომბოფილია და ვარიკოზული ვენები - კორელაცია თრომბოფილიასა და ქრონიკულ ვენურ წყლულს შორის საკმაოდ ძლიერია, თუმცა გაუგებარია, რატომ ყალიბდება ქრონიკული ვენური წყლული ვარიკოზული ვენების მქონე ზოგიერთ პაციენტში, ზოგიერთში კი - არა. ვარიკოზული ვენების მქონე პაციენტებში ქრონიკული ვენური წყლულის პროგრესირებაზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ ვენური დაავადების წყლულად პროგრესირების ხელშეწყობა შეუძლია ცვლილებებს კანზე, რეფლუქსს ვენებში, გადატანილ თრომბოზს, მომატებულ სხეულის მასის ინდექსს, თამბაქოს მოხმარებას.

ლიტერატურაში ვერ იქნა მოძიებული კვლევა პაციენტებზე თრომბოფილიით, რომელიც დაადასტურებდა, არის თუ არა თანმხლები ვარიკოზული ვენების არსებობა ქრონიკული ვენური წყლულის განვითარების პოტენციური რისკ-ფაქტორი. თუ ასეთი ურთიერთკავშირი ნამდვილად არსებობს, ვარიკოზული ვენების მქონე პაციენტები, რომელთაც აქვთ თანმხლები თრომბოფილია, შეიძლება წარმოადგენდეს ჯგუფს, რომელსაც ვენური რეფლუქსისა და მისი შედეგების უფრო მაკარი კონტროლი ესაჭიროება [6].

თრომბოფილია და ზედაპირული ვენების თრომბოზი: ზედაპირული ვენური თრომბოზი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელიც გვხვდება მოსახლეობის 3-11% ში [10]. ადრე იგი განიხილებოდა როგორც მსუბუქი, ადვილად მართვადი დაავადება და მკურნალობა მიზნად ისახავდა სიმპტომების შემსუბუქებას, ძირითადად არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებით და სითბური კომპრესიებით, თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ არსებობს ძლიერი კორელაცია ზედაპირულ ვენურ თრომბოზებსა და თრომბოფილიას შორის. თრომბოფილიის დიაგნოსტიკა უფრო ხშირია იმ პაციენტებში, რომელთაც თრომბოზი უვითარდებათ ზედაპირული ვენების არავარიკოზულ სეგმენტებში [5].

ჯერ კიდევ 1918 წელს აღიარეს, რომ ჰეპარინის ანტიკოაგულაციური აქტივობა დამოკიდებული იყო პლაზმური კოფაქტორის არსებობაზე [3]. 1965 წელს ეგებერგმა აღწერა ოჯახი, რომლის წევრებსაც ჰქონდათ თრომბოზების კენ მიდრეკილება და რომელთაც აღმოაჩნდათ კოფაქტორის დეფიციტი, რითაც პირველად დადასტურდა, რომ სწორედ აღნიშნული გახლავთ თრომბოზის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი [1]. ვარიკოზულად შეცვლილი ვენების ზუსტი პათოფიზიოლოგია ჯერ კიდევ კამათის საგანია, თუმცა ცნობილია გენეტიკური მიდრეკილება დაავადების მიმართ. ასევე, ანგარიშგასაწევია მოშლილი ვენური სარქველები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს სისხლის ნაკადის უკუსვლის შეჩერებას.

პოტენციურ გართულებებს მიეკუთვნება ვენური ანთებები და ინფექციები, ტროფიკული წყლულები, თრომბოზები.

დიაგნოსტიკა ხდება ვენური დუპლექსულტრასონოგრაფიით - შეგვიძლია დავადგინოთ, რომელ ვენურ სარქველშია პათოლოგია. გამოვლინდება ჩართვის სანათურის დიამეტრი, რეფლუქსის ხარისხი, არაკომპეტენტური პერფორატიული ვენები, მათი მდებარეობა და ზომა, ღრმა ვენების თრომბოზი, ზედაპირული ვენების თრომბოზები. რეფლუქსის დონე განისაზღვრება რეტროგრადული ნაკადის ხანგრძლივობით - 350 მილიწამზე (0.35წმ) მეტი პერფორაციულ ვენებში, 500 მილიწამზე (0.5წმ) მეტი ზედაპირულ და ნვივის ღრმა ვენებში და 1000 მილიწამზე (1წმ) მეტი ბარძაყის ღრმა ვენებში.

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და ვენოგრაფია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვენური ულტრაბგერითი კვლევით სრული დიაგნოსტიკა ვერ ხერხდება.

მკურნალობა: მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება იყოს კონსერვატიული, ინტერვენციული ან ქირურგიული:

- კონსერვატიული მკურნალობა მოიცავს: 1. კომპრესიულ თერაპიას, 2. ცხოვრების სტილის ცვლილებებს: როგორცაა ხანგრძლივი ჯდომის ან დგომის თავიდან აცილება, წონაში კლება. 3. ვენოტონური პრეპარატების ხანგრძლივი მიღება.
- ინტერვენციული მკურნალობა მოიცავს: გარეგან ლაზერულ თერმულ აბლაციას, ენდოვენურ თერმოაბლაციას, ენდოვენურ სკლეროთერაპიას.
- ქირურგიული მკურნალობა მოიცავს ფლემბექტომიას ან კროსექტომიას [4].

კლინიკური შემთხვევის აღწერა. 43 წლის მამაკაცი 2019წ ივლისში მკურნალობდა კარდიოლოგიური კლინიკის ინტენსიურ განყოფილებაში ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის დიაგნოზით, თრომბოფილიით, ფლემბიტითა და თრომბოზით რეკანალიზაციის ფაზაში. ქვედა კიდურების ქრონიკული ვენური უკმარისობით, ორივე კიდურის ვარიკოზული ვენების ხანგრძლივი ისტორიით, შაქრიანი დიაბეტით, გულის შეგუბებითი უკმარისობით.

ჩივილები: ადვილად დაღლა, შრომის უნარის დაქვეითება, საერთო სისუსტე, ქოშინი მცირე დატვირთვაზე, გულის ფრიალი, ორივე ქვედა კიდურში სიმძიმის და ტკივილის შეგრძნება, კანის შეფერილობის ცვლილება, პროგრესირებადი შეშუპება.

ანამნეზში აღნიშნავდა ზედაპირული ვენების თრომბოფლემბიტი გამწვავების რამდენიმე შემთხვევას, რომელიც 3 წლის წინ გამოვლინდა: პირველად მარცხენა ქვედა კიდურის ტრავმის შედეგად, მდგომარეობა დამძიმდა ერთი წლის წინ თვითმფრინავით ხანგრძლივი მგზავრობის შემდგომ. სიმპტომურად ჩაიტარა თვითმკურნალობა ასპირინით. კვლევები და კვალთვალი მკურნალობა არ ჩაუტარებია. მდგომარეობა დამძიმდა, ჩივილების ინტენსივობამ და ხანგრძლივობამ მოიმატა. რადგან პაციენტი აღნიშნავდა ხშირად მორეციდივე თრომბოფლემბიტს, საჭიროდ ჩავთვალეთ სკრინინგი თრომბოფილიის გამორიცხვისა და შესაძლო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, როგორცაა ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია.

ობიექტური გამოკვლევები: ინსპექციით გამოვლინდა კანზე შემდეგი ცვლილებები: ჰიპერპიგმენტაცია, შეშუპება, ვარიკოზული ვენები. მარჯვენა ქვედა კიდურის მედიალურ ზედაპირზე, მედიალური გოჯიდან 5 სმ-ზე ვიზუალიზირდება ტროფიკული ზედაპირული წყლული ოვალური ფორმის, უსწორმასწორო კიდეებით, ზომით 15მმ/10მმ-ზე, პალპაციისას მარჯვენა დიდი საჩინო ვენის ბარძაყის შუა სეგმენტის პროექციაზე 7 სმ სიგრძის ლოკალური უბანი - გამკვრივებული, მტკივნეული და ჰიპერემიული.

ლაბორატორიული გამოკვლევებიდან საყურადღებო იყო სისხლში ანთების მარკერების მომატება: ლეიკოციტოზი, მაღალი CRP - 68.1mg/l (N<5.2mg/l), D-დიმერი - 1050ng/ml (N<200ng/ml).

ინსტრუმენტული გამოკვლევებიდან ჩატარდა ქვემო კიდურების ვენების დუპლექსონოგრაფია: გამოვლინდა დიდი საჩინო ვენების ორმხრივი სარქველოვანი უკმარისობა. მარჯვენა საფენო-ფემორალური სარქველის უკმარისობა, დიდი საჩინო ვენა გამავალი - არასრულად კომპრესირებადი ბარძაყის მონაკვეთში, სანათურში ვიზუალიზირდება ნანოლოზური რეკანალიზებული თრომბული მასები და სინექიები (გადატანილი თრომბოფლემბიტის სურათი). მარცხენა დიდი საჩინო ვენის ჩართვის მონაკვეთი თავისუფალი, სარქველი ნორმაში, ბარძაყის შუა სეგმენტიდან დისტალურად დიდი საჩინო ვენა არაკომპრესირებადი, სანათურში ვიზუალიზირდება

შერეული ექოგენობის თრომბული მასები. ღრმა ვენები მარცხნივ თეძოს გარეთა ბარძაყის საერთო, ღრმა მუხლქვეშა და წვივის ღრმა ვენები გამავალია, ბარძაყის ზედაპირული ვენა შუა სეგმენტიდან მთელ სიგრძეზე არაკომპრესირებადი, სანათურში ჰიპოექოგენური თრომბული მასაა მოფლოტირე მონაკვეთის გარეშე, მარჯვნივ ღრმა ვენები სრულად გამავალია. კტ კვლევით დადასტურდა ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია.

პროგნოზი იყო არასაიმედო. ინტენსიური ანტიკოაგულაციური თერაპიის ფონზე მიღწეული იქნა რემისია. რადგან პაციენტი აღნიშნავს ხშირად მორეციდივე თრომბოფლებიტს, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ სკრინინგი თრომბოფილიის პროცესის მართვის მიზნით, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო გართულებები. პაციენტს ამბულატორულად დაენიშნა კომპრესიული წინდა, ქსარელტო 15მგ 2-ჯერ დღეში, ორი კვირა და შემდეგ 20მგ 1-ჯერ დღეში, ხანგრძლივად.

3 თვის შემდეგ პაციენტი კლინიკაში მოვიდა მკვეთრად გამოხატული სიმპტომებით, მარჯვენა მედიალური გოჯის მიდამოში ვიზუალიზდებოდა ტროფიკული წყლული. დოპლეროგრაფიით გამოვლინდა დიდი საჩინო ვენის ორმხრივი სარქველოვანი უკმარისობა. მარჯვენა დიდი საჩინო ვენა ჩართვიდან მთელ სიგრძეზე არაკომპრესირებადი, სანათურში ვიზუალიზდება შერეული ექოგენობის თრომბული მასები. მარცხენა დიდი საჩინო ვენა გამავალი, სანათურში მთელ სიგრძეზე ვიზუალიზდება სინეჩიები. ღრმა ვენები მარცხნივ თეძოს გარეთა ბარძაყის საერთო, ღრმა მუხლქვეშა და წვივის ღრმა ვენები გამავალი, ბარძაყის ზედაპირულ ვენაში ალაგ-ალაგ ვიზუალიზდება სინეჩიები, სანათური გამავალი, მარჯვნივ ღრმა ვენები სრულად გამავალი.

დადასტურდა მარჯვენა დიდი საჩინო ვენის თრომბოფლებიტი საფენოფემორალურ ჩართვასთან. გაიგზავნა ანალიზი თრომბოფილიაზე, ტესტირებამ გამოავლინა დადებითი ჰომოზიგოტური ფაქტორი V ლეიდენის მუტაცია და ჰეტეროზიგოტური პროთრომბინის G20210A მუტაცია. განვაახლეთ ანტიკოაგულანტები. მოხდა საფენოფემორალური ჩართვის სეგმენტის ლივირება.

ცხრილი N 1-ში მოცემულია სისხლის ანალიზის მონაცემები დინამიკაში 2019 წლიდან 2023 წლის ჩათვლით კლინიკაში მკურნალობისას

ცხრილი N1. სისხლის ანალიზის მონაცემები დინამიკაში

	09.19	11.19	06.20	07.20	02.21	03.22	07.22	05.23
ჰემოგლობინი (გ/ლ)	144	146	144	151	146	146	147	147
ლეიკოციტები	10.10	9.1	8.0	6.1	5.4	5.2	6.0	6.6
თრომბოციტები (10/ლ)	211	211	229	246	317	251	201	229
ედს(მმ/სთ)	45	30	20	10	10	18	10	8
პროთრომბინის ინდექსი	94%	81%	86%	48%	94%	81%	80%	86%
ფიბრინოგენი (მგ/ლ)	592	533	437	460	410	440	431	400
D-დიმერი (ნგ/მლ)	796	450	133	200	180	150	147	130
კრეატინინი სისხლში მილიმოლ/ლ	111	108	113	100	105	88	94	88
გლუკოზა ჭა-ს წინ(მგ/ლდ)	7.0	6.01	8,5	5,2	5.0	5.6	5.0	6.6
გლუკოზა ჭა-ს შემდეგ(მგ/დ)	11.5	8.7	8.5	7.2	7.0	6.3	6.3	6.0
CRP (მგ/ლ)	17,3	10	7.0	6,4	4,4	3,3	3,4	3,2

03.10.2022წ. დინამიკაში გადაიღო ქვემო კიდურების დუპლექსონოგრაფია: ღრმა ვენები სრულად გამავალი, მარჯვენა ბარძაყის ზედაპირულ ვენაში ვიზუალიზდება სინეჩიები (გადატანილი თრომბოზის სურათი).

მარჯვენა საფენო ფემორალური სარქველი არ ვიზუალიზდება (ლივირების შემდგომი მდგომარეობა), დიდი საჩინო ვენა ალაგ-ალაგ არაკომპრესირებადი, სანათურში ჰიპოექოგენური რეკანალიზებული თრომბული მასები და სინეჩიები, მარცხენა დიდი საჩინო ვენა სრულად გამავალი, ალაგ-ალაგ ვიზუალიზდება სინეჩიები, ორმხრივ ღრმა ვენები გამავალი, სრულად კომპრესირებადი.

განმეორებით კონსულტირებული იქნა ანგიოლოგის მიერ, გაუგრძელდა ანტიკოაგულაციური თერაპია, ამბულატორულად - კარდიოლოგის და ანგიოლოგის მეთვალყურეობა.

პაციენტს დაენიშნა როვაროქსაბანი ხანგრძლივად. პერიოდულად მკურნალობს კლინიკაში სიმპტომების გამწვავებისას. იმყოფება მუდმივი მონიტორინგის ქვეშ. რამდენიმე თვის განმავლობაში რეციდივი არ დაფიქსირებულა. ბოლო სტაციონარული მკურნალობა ჩაუტარდა 05.2023 წ.

პროგნოზი: შორეულ შედეგებზე საუბარი რთულია, დაავადება მიმდინარეობდა რთულად, ამჟამად მიღწეულია რემისია. დამატებით გართულებებს აღგილი არ აქვს.

დასკვნა: მიგვაჩნია, რომ ზემოაღწერილი შემთხვევა საინტერესოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. აღწერილი შემთხვევიდან ყურადსაღებია პაციენტის ანამნეზში ზედაპირული ვენების თრომბოფილიის გამწვავების რამდენიმე შემთხვევა, რომელიც კლინიკაში მოსვლამდე 3 წლით ადრე გამოვლინდა. საერთო ჯამში, პროცესი გახდა მართვადი - მოხდა მწვავე ფორმის გადაყვანა ქრონიკულში, ხანგრძლივი რემისიით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abildgaard U. Olav Egeberg-arvelig antitrombinmangel og trombofili [Olav Egeberg-hereditary antithrombin deficiency and thrombophilia]. Tidsskr Nor Laegeforen. 2001 Feb 20;121(5):604-5. Norwegian. PMID: 11301618.
2. Bradbury A W, MacKenzie R K, Burns P, Fegan C European Journal of Vascular and Endovascular Surgery. 2002; 24(2):97-104.
3. Encyclopedia of Respiratory Medicine 2006, 486-490.
4. Gloviczki P, Comerota AJ, Dalsing MC, et al. The care of patients with varicose veins and associated chronic venous diseases: clinical practice guidelines of the Society for Vascular Surgery and the American Venous Forum. J Vasc Surg. 2011; 53(5):2S-48S.
5. Lucchi G, Bilancini S, Tucci S, Lucchi M. Superficial vein thrombosis in non-varicose veins of the lower limbs and thrombophilia. Phlebology. 2018 May; 33(4):278-281.
6. Milic DJ, Zivic SS, Bogdanovic DC, Karanovic ND, Golubovic ZV. Risk factors related to the failure of venous leg ulcers to heal with compression treatment. J Vasc Surg. 2009 May; 49(5):1242-1247.
7. Mitu F, Turcanu AM. Chronic venous insufficiency stage v ceap secondary to hereditary thrombophilia at a young man. Rev Med Chir Soc Med Nat Iasi. 2012 Oct-Dec; 116(4):1044-7.
8. Partsch H. Varicose veins and chronic venous insufficiency. Vasa. 2009 Nov; 38(4):293-301.
9. Robertson L, Lee AJ, Gallagher K, et al. Risk factors for chronic ulceration in patients with varicose veins: A case control study. J Vasc Surg. 2009 Jun; 49(6):1490-1498.
10. Schonauer V, Kyrle PA, Weltermann A, et al. Superficial thrombophlebitis and risk for recurrent venous thromboembolism. J Vasc Surg. 2003; 37(4):834-8.
11. Thornsberry LA, LoSicco KI, English JC 3rd. The skin and hypercoagulable states. J Am Acad Dermatol. 2013 Sep; 69(3):450-62.

ნინო ლეკვეიშვილი ¹, მარინა ყუფარაძე ^{1,2}, ია ავალიანი ^{1,2}, ანზორ მელია ^{1,2}, ზაზა ბერიშვილი ³,
გივი გორგაძე ², გიორგი უორჟოლიანი ²

ვარიკოზული ვენების თრომბოზით და ტროფიკული წყლულებით გართულებული გენეტიკური თრომბოფილია - კლინიკური შემთხვევის აღწერა

¹ანზორ მელიას კარდიოლოგიური კლინიკა „გული“; ² თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ³გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

რეზიუმე

ვარიკოზული ვენების განვითარებაში წამყვანია გენეტიკური ფაქტორი, თუმცა გარკვეული რისკ-ფაქტორები, მათ შორის: ჭარბი წონა, ხანდაზმული ასაკი, მდედრობითი სქესი, უმოძრაო ცხოვრების სტილი, ქვედა კიდურების ტრავმა და სხვა ხელს უწყობს მის ჩამოყალიბებას.

თრომბოფილია ვენური თრომბოზისა და ქრონიკული მორეციდივე ტროფიკული წყლულის განვითარების რისკის ფაქტორია, თუმცა კავშირი მათ შორის კარგად არ არის შესწავლილი. მემკვიდრეობითი თრომბოფილია იშვიათი დაავადებაა, რომლისთვისაც

დამახასიათებელია მძიმე გართულებები. კორელაცია თრომბოფილიას, ვარიკოზულ ვენებს და ქრინიკულ ვენურ წყლულს შორის საკმაოდ ძლიერია.

მოცემულ სტატიაში აღწერილია 43 წლის მამაკაცის შემთხვევა, რომელიც 2019 წლის ივლისში მკურნალობდა კლინიკის ინტენსიურ განყოფილებაში დიაგნოზით: ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, თრომბოფილია, ფლუბიტი და თრომბოზი რეკანალიზაციის ფაზაში. ქვედა კიდურების ქრონიკული ვენური უკმარისობით, ორივე კიდურის ვარიკოზული ვენების ხანგრძლივი ისტორიით, შაქრიანი დიაბეტით. ჩივილებით: ადვილად დაღლა, სისუსტე, ქოშინი, გულის ფრიალი, ქვედა კიდურებში სიმძიმის და ტკივილის შეგრძნება, შეშუპება. ანამნეზში - ზედაპირული ვენების თრომბოფილების გამწვავების რამდენიმე შემთხვევა.

მიუხედავად არასაიმედო პროგნოზისა, ინტენსიური ანტიკოაგულაციური თერაპიის ფონზე მიღწეული იქნა რემისია. მორეციდივე თრომბოფილების გათვალისწინებით, დაინიშნა სკრინინგი.

ზემოაღწერილი შემთხვევა საინტერესოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან აღწერილი მძიმე პროცესი გახდა მართვადი - მოხდა მწვავე ფორმის გადაყვანა ქრონიკულში ხანგრძლივი რემისიით. მოცემულ ეტაპზე დაავადება არ პროგრესირებს, დამატებით გართულებებს ადგილი არ აქვს.



GVANTSA ARVELADZE, TEIMURAZ MIKELADZE, SARINA BAKHTIARIAN, MARIKA AREVADZE
**THE NECESSITY OF CONDUCTING AUTISM DIAGNOSTIC OBSERVATIONS SCHEDULE AN ADOS
 TEST IN CHILDREN WITH LANGUAGE AND COMMUNICATION PROBLEMS FOR EARLY
 DETECTION OF THE AUTISTIC SPECTRUM DISORDERS**

The University of Georgia, Clinic "Mziuri Med"

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.13>

გვანცა არველაძე, თეიმურაზ მიქელაძე, სარინა ბახთიარიანი, მარიკა არევაძე
**ენის, მეტყველების და კომუნიკაციის პრობლემების მქონე ბავშვებში აუტისტური
 დარღვევების სკალის ADOS - ტესტის ჩატარების აუცილებლობა აუტისტური სპექტრის
 დარღვევების დროული გამოვლენის მიზნით**
 საქართველოს უნივერსიტეტი, სამედიცინო ცენტრი „მზიური მედი“

რეზიუმე

კვლევის მთავარი მიზანი იყო საქართველოში ენისა და კომუნიკაციის პრობლემების მქონე ბავშვებში აუტისტური სპექტრის დარღვევების გამოვლენისთვის დიაგნოსტიკური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის დროული გამოვლენა და შეფასების საჭიროების განსაზღვრა. სამედიცინო კლინიკა მზიური მედი სკრინინგისა და მეთვალყურეობის პროგრამაში მონაწილეობდა 1-დან-16 წლამდე 234 ბავშვი და მოზარდი, რომლებმაც მიმართეს ნევროლოგებს კონსულტაციისა და ნეიროფსიქოლოგს სკრინინგული შეფასებისთვის, დასწავლის უნარების ტესტის (LAP)-ის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანს აღენიშნებოდა ენისა და კომუნიკაციის პრობლემა. აუტისტურ სპექტრზე ეჭვი იქნა მითანილი 101 (43,16%) პაციენტში, რომლებიც დიაგნოზის დასადასტურებლად გაიგზავნენ ADOS ტესტის ჩასატარებლად. განხორციელდა მეტყველების, კომუნიკაციისა და ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებისთვის ჩატარებული სკრინინგული გამოკვლევის შედეგების პროცენტული შედარება 2 კატეგორიის შორის, შედარდა აუტიზმის ტესტირების ჩატარების აუცილებლობის მქონე ბავშვები მათთან, ვისთანაც არ დადგა ამის საჭიროება.

აუტიზმის ადრეულ დიაგნოსტიკას და ჩარევას, რაც მოიცავს ადრეული განათლების დაგეგმვას, ინფორმირებას და მხარდაჭერას ოჯახის/მომვლელისთვის, შესაბამისი სამედიცინო

დახმარების განვას და მასთან დაკავშირებულ მკურნალობას აქვს უდიდესი და დადებითი გრძელვადიანი გავლენა სიმპტომებზე და შემდგომ უნარების განვითარებაზე. შემუშავებულია სკრინინგის რამდენიმე ვარიანტი სამ წლამდე ასაკის ბავშვებში, ადრეული სოციალური და ენობრივი ეტაპების შეფასებისთვის. ერთ-ერთი ასეთი სკრინინგული ტესტია აუტიზმის მოდიფიცირებული განახლებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, შემდგომი შეფასების სქემა/კითხვარით (M-CHAT-R/F) TM - რომელიც არის ორეტაპიანი ინსტრუმენტი ასაკის რისკის შესაფასებლად; ის განკუთვნილია 16-დან 30 თვემდე ასაკის პატარებისთვის.

Introduction: The “autism spectrum disorders” (ASD) are considered as an overlapping neurodevelopmental condition that have variable impacts on different individuals. This variability arises from dynamic interactions between biological and non-biological risk factors, which bring about increasing differentiation between individuals over time. Although this differentiation continues well into adulthood, the infancy period is when the brain and behavior develop rapidly, and when the first signs and symptoms of autism appear [1]. Autism spectrum disorders are not rare and they have been increasingly noticed by the media, clinicians, and from the general public [2].

Autism spectrum disorders (ASD) include the DSM-IV diagnoses of Autistic Disorder, Asperger’s Disorder, and Pervasive Developmental Disorder-Not Otherwise Specified [3]. According to DSM-IV criteria, Autistic Disorder is characterized by persistent and heterogeneous neurodevelopmental disorder and deficiencies in the areas of communication, reciprocal social interaction, and restricted/repetitive behaviors and interests, with an onset prior to three years of age [4]. While children with Asperger’s Disorder characterized by a greater or lesser degree of impairment in language and communication skills, as well as repetitive or restrictive patterns of thought and behavior and interests, they do not have cognitive delays. Children with Pervasive Developmental Disorder-Not Otherwise Specified (PDD-NOS) characterized by impairment in the development of social interaction, verbal and non-verbal communication, imaginative activity and a limited number of interests and activities that tend to be repetitive. Symptoms associated with Autistic Disorder but do not meet the full diagnostic criteria [5].

Early identification of autism spectrum disorder (ASD) and other developmental disorders often allows access to interventions, which is an important step in optimizing outcome. Early identification leads to an earlier education planning, more understanding and support from family/caregiver, delivery of appropriate medical care and treatment of associated conditions, genetic counseling (particularly if the child has a condition associated with ASD, such as tuberous sclerosis complex), early individualized intensive intervention depends on the specific strengths, weaknesses, and needs of the child and family, early and appropriate interventions are critical for optimizing outcomes in individuals with ASD [6-13]. Therefore, these emphasize on the importance of surveillance and screening for ASD [14].

Surveillance is a flexible, continuous process which knowledgeable professionals collect information from multiple sources (e.g., observation of children during child health care visits, asking specific questions to elicit caregiver concerns) for identifying the potential risk factors for developmental and behavioral disorders and addressing developmental concerns [15,16]. Developmental surveillance is supported at every health supervision visit, as is as the administration of standardized screening tests at the 9-, 18-, and 30-month visits [17]. Screening is defined as a brief, formal, standardized evaluation with the purpose of early identification of patients with unsuspected deviations from the norm. Screening instrument enables readily detection of conditions/concerns that may not be readily perceived without screening. Effective screening results arise from combination of standardized screening tests and clinical judgment. Screening does not provide a diagnosis; it is for determining the need for further investigation (e.g., a diagnostic evaluation) by clinicians with special expertise in ASD [18].

Target groups for screening include symptomatic children with clinical features associated with ASD. Symptomatic children include those with delayed language/communication milestones identified by screening tests or caregiver report, children with social or language skills regression, siblings of autistic children, children (regardless of age) whose parents, care provider, or clinician raise concerns regarding ASD (e.g., those with atypical behaviors, difficulty socializing, rigidity of behavior that interferes with function) [19]. ASD-specific screening at 18 and 24 months of age is recommended for children without

clinical features associated with ASD [20]. Some factors might delay diagnosis, such as less severe symptoms, female sex, coexisting problems (e.g., anxiety, hyperactivity, mood disorder), lack of continuity of care, hearing impairment, oversensitivity to pain, attribution of regression of skills to "stressors" (e.g., birth of a sibling), language barriers, being in an underrepresented ethnic group, living in a rural area, and lower socioeconomic status [21-24]. The presence of coexisting problems (e.g., anxiety, hyperactivity, mood) may mask or exacerbate ASD and impact on the timing or accuracy of diagnosis [25]. Delayed diagnosis can be largely prevented by recognizing early signs and red flags of ASD which are often present before 18 months of age and frequently are of concern to caregivers. The initial developmental concerns expressed by caregivers are delayed language and social/communication skills, frequent tantrums or intolerance to change. The problems of most children with developmental problems were detected through clinical judgment based on caregivers' concern.

Prospective studies of children at risk for ASD and retrospective studies using home movies to examine the early development of children with ASD have recognized a number of early symptoms and signs of autism are not present at birth but begin to appear after approximately six months of age. According to age, infants below 6 months exhibit mean decline in eye fixation from 2 to 6 months of age (as measured by eye-tracking technology); The changes are documented with technology were not visible to the naked eye. In fact, earlier eye-gaze studies done without eye-tracking technology failed to capture the pattern. Therefore, caregivers of young infants should not be concerned if the infant does not always meet their eyes. That early signs of autism can be detected in infants between the ages of 6-12 months include reduced response to name, gaze to faces, social smiling, reactivity, social interest and vocalizations to others and a tendency to fixate on particular objects in the environment. Toddlers between 12-24 months at risk for an ASD might talk or babble in a voice with an unusual tone, display unusual sensory sensitivities, carry around objects for extended periods of time, reduced frequency of sharing experiences, interests, or attention with others, repetitive behaviors, delayed expressive and receptive language, and problems with eye contact, orienting to name, pretend play, imitation, and nonverbal (e.g., gestural) and verbal communication.

Several screening tools have been developed for assessing early social and language milestones in children younger than three years old [25]. One of these screening tests is the Modified Checklist for Autism in Toddlers, revised (M-CHAT-R) which is a two-stage tool to assess risk for ASD; It's intended for toddlers between 16 and 30 months of age. The first stage is a 20-item, yes/no caregiver-report questionnaire, which takes less than 5 minutes (a combination of questions from the CHAT and questions addressing core symptoms of ASD). The current recommended scoring algorithm is categorized in three groups; M-CHAT Total Score 0-2 which do not need Follow-Up. If child is younger than 24 months, screen again at 24 months (or after 3 months has elapsed). Continue developmental surveillance-CHAT Total Score 3-6 which in this case, conducting the M-CHAT/F is important to evaluate risk. If child continues to score 3 or higher, refer immediately for clinical evaluation and to determine eligibility for early intervention services. If Follow-Up score is 2 - monitor carefully, since child may need referral. And finally-CHAT Total Score 7-23 is considered as a risky group for ASD or other developmental delays. It is acceptable to refer immediately without completing the M-CHAT Follow-Up. The second stage consists of a structured follow-up questionnaire administered by a health care professional which consists of the same questions as the first stage but for obtaining additional information and examples of at-risk behaviors for any items failed on the first stage. It takes approximately 5 to 10 minutes to administer.

Another screening tool is (STAT) which stands for screening Tool for Autism in Toddlers and Young Children. (STAT) is an interactive, play-based screening measure that can be used for screening in children age 24 to 36 months which consists of 12 activities assessing imitation, play, and communication that take about 20 min to administer. It was designed specifically to differentiate young children with autism from those with other developmental concerns.

The Infant Toddler Checklist (ITC) is another tool to identify different aspects of development in infants and toddlers; this checklist should be completed by parents of children ages 6 to 24 months or children of that age who exhibit communication delays, including autism spectrum disorder (ASD) to determine if referral for evaluation is necessary. Parent's Observations of Social Interactions (POSI) is one

component of the Survey of Wellbeing of Young Children (SWYC) that was designed to detect Autism Spectrum Disorder (ASD). It is a 7-item screening tool that was developed from the Modified Checklist for Autism in children 16 months to 35 months. The (POSI) includes five of the six critical items of the M-CHAT and two questions about behavior based upon the Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders (DSM) criteria. In general, diagnosis of (ASD) is a two-step process: (a) screening, and (b) a comprehensive diagnostic evaluation. Therefore, after administration of screening tests, children with a positive result are referred for diagnostic evaluation.

The Autism Diagnostic Observation Schedule (ADOS) is one of the few standardized diagnostic tests which includes scoring direct observations of the child's social interaction, communication, play, and restricted and repetitive behaviors in children and that accounts for the developmental level and age of the child. During an ADOS™-2 assessment, a specialist interacts directly with the child in social and play activities. The test takes 30 to 60 minutes to conduct and consists of four different diagnostic algorithms that allow the examiner to observe the behavior at different levels of development and language based on chronological age of the child. For example, Modules 1 and 2, which are intended for use with children with a language level of less than 48 months who are preverbal or have single-word language or with phrase speech abilities, include playing with bubbles, the release of an inflated balloon, and a pretend birthday party. Modules 3 and 4, which are designed for older children, adolescents, and adults with fluent speech and have the ability to use complex sentences and talk about things that are not immediately present, include questions about emotions and relationships as well as retelling a story from a book and demonstrating a routine activity. The examiner can use more than one module to adjust the complexity of module for a child. The goal of the ADOS is to provide a hierarchy of "presses" (social structures) that provoke behaviors in standardized contexts related to ASD. ADOS classifications are based on specific coded behaviors that are included in a scoring algorithm based on the DSM-IV diagnostic criteria, resulting in a Communication score, a Reciprocal Social Interaction score, and a Total score (a sum of the Communication and Reciprocal Social Interactions scores).

ADOS items regarding play and stereotyped behaviors are also coded but due to lack of time, they are not included in the diagnostic algorithm. Behaviors are coded using a 0- to 3-point coding system, with a 0 representing that the behavior is not abnormal in the way specified in the coding description, 2 representing a definite difference, and a 3 representing that a behavior is abnormal and interferes in some way with the child's functioning. Scores are compared with an algorithm cut-off score for autism or the more broadly defined ASD in each of these areas; If the child's score meets or exceeds cut-offs in all three areas, they are considered to meet criteria for that classification on the measure. An ADOS autism classification requires meeting or exceeding each of the three thresholds (social, communication, and social-communication total) for autism; if thresholds for autism are not met, an ADOS classification of ASD is appropriate when the three ASD thresholds are met or exceeded. In all cases, the ASD thresholds are lower for ASD than those of autism.

The purpose of this article is to evaluate the necessity of conducting an ADOS test in children with language and communication problems in Georgia. Georgia is a lower middle-income country with 3,970,720 inhabitants.

Materials and methods: We extracted the data on 234 children in the age range of 1 to 16 years who had referred to neurologists and neuropsychologist to perform Learning Accomplishment Profile™ (LAP) due to speech and language problems.

Exposure: Speech and Language problem

13. Venugopal SS, Murrell DF. Diagnosis and clinical features of pemphigus vulgaris. *Dermatol Clin.* 2011;29(3):373–380. PMID: 21605802
14. Aimee S. Payne, John R. Stanley. Pemphigus. *Fitzpatrick's Dermatology in general medicine.* Section 8. Chapter 54. P 586-599.
15. Tran KD, Wolverson JE, Soter NA. Methotrexate in the treatment of pemphigus vulgaris: experience in 23 patients. *Br J Dermatol.* 2013 Oct;169(4):916-21. doi: 10.1111/bjd.12474. PMID: 23772610.
16. Baum S, Greenberger S, Samuelov L, Solomon M, Lyakhovitsky A, Trau H, Barzilai A. Methotrexate is an effective and safe adjuvant therapy for pemphigus vulgaris. *Eur J Dermatol.* 2012 Jan-Feb;22(1):83-7. doi: 10.1684/ejd.2011.1611. PMID: 22266247.
17. Barthelemy H, Frappaz A, Cambazard F, Mauduit G, Rouchouse B, Kanitakis J, Souteyrand P, Claudy AL, Thivolet J. Treatment of nine cases of pemphigus vulgaris with cyclosporine. *J Am Acad Dermatol.* 1988 Jun;18(6):1262-6. doi: 10.1016/s0190-9622(88)70132-2. PMID: 3385040.
18. Schiavo AL, Puca RV, Ruocco V, Ruocco E. Adjuvant drugs in autoimmune bullous diseases, efficacy versus safety: facts and controversies. *Clin Dermatol.* 2010;28(3):337–343.

*NATO KORSANTIA ¹, ALEXANDER KATSITADZE ¹, NINO KORSANTIA ²,
LELA BERIDZE ³, TEA KATSITADZE ⁴*

PEMPHIGUS VULGARIS, CURRENT STATUS AND PROSPECTS

¹TSMU Department of Dermatovenereology, ²TSMU Department of Odontology,

³Batumi Shota Rustaveli State University; ⁴Health Institute

SUMMARY

Pemphigus vulgaris refers to a group of autoimmune blistering diseases of skin and mucous membranes. Like other autoimmune diseases, what causes the pemphigus diseases is not really understood. Researchers believe genetic and environmental factors may influence the disease.

The article presents various methods of treatment of pemphigus vulgaris, with its pros and cons. It is important that each method and dosage are properly chosen to achieve a positive therapeutic effect on the background of minimal side effects.

Keywords: Pemphigus vulgaris, treatment, side effects.



ბესიკ ჯაფარიძე, ნინო ხოტივარი, ზაზა ბოხუა, ლანა ეზიშვილი

საკვერცხის ორსულობის დიაგნოსტიკა: კლინიკური შემთხვევის აღწერა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.15>

BESIK JAPARIDZE, NINO KHOTIVARI, ZAZA BOKHUA, LANA EZIESHVILI

DIAGNOSIS OF OVARIAN PREGNANCY: CASE REPORT

First University Clinic of Tbilisi State Medical University

SUMMARY

Ectopic pregnancy is the localization of the embryo outside of the uterus, most often it occurs in the fallopian tube. The ovarian form of ectopic pregnancy is a rare form of pregnancy and its frequency is 0.3-3%. Diagnosis of ovarian pregnancy is quite difficult and can be diagnosed only by morphological examination after surgery.

At present, methotrexate is considered as an alternative method of surgical treatment of ectopic pregnancy, although most of the treatment methods are surgical (laparotomy, laparoscopic). In our case we present a 35-year-old woman who underwent surgical treatment at TSMU First University Clinic. Before the surgical intervention, inpatient studies and diagnostic methods established the probable diagnosis: pregnancy of the left fallopian tube with the type of abortion, hemoperitoneum, after which due to the instability of hemodynamic parameters, laparotomy with salpingectomy and ovarian resection have been done. The diagnosis of ovarian pregnancy was made only as a result of the morphological study of the preparation, which once again indicates the implementation of the perfection of diagnostic methods in the case of the mentioned pathology.

Keywords: Ectopic pregnancy, ovarian pregnancy, laparoscopy, laparotomy, methotrexate

შესავალი. საშვილოსნოსგარე ორსულობის საკვერცხისმიერი ფორმა იშვიათი მოვლენაა. ამ მდგომარეობის დიაგნოსტიკა ქირურგიულ ჩარევამდე რთულია, არასპეციფიკური კლინიკური სიმპტომებისა და ულტრაბგერითი კვლევის არაზუსტი დასკვნების გამო, თუმცა მისი საბოლოო დიაგნოსტიკა ძირითად შემთხვევებში პათომორფოლოგიურ კვლევას ეფუძნება.

ჰარდიგის და თანავეტორების შეფასებით, საკვერცხის ორსულობა ხდება 25,000-40,000 ორსულობიდან ერთ შემთხვევაში. მისი სიხშირე მთლიანი საშვილოსნოსგარე ორსულობათა 0.3-3.0%-ს შეადგენს. სენტ მონესისმა მე-17 საუკუნეში აღწერა საკვერცხის ორსულობის პირველი

შემთხვევა. საშვილოსნოსგარე ორსულობის პირველი წარმატებული ქირურგიული ოპერაცია ჩატარდა 1759 წელს აშშ-ში, თუმცა დედის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ამ პერიოდში 60% იყო. სწორედ ამან განაპირობა გადამწყვეტი ნაბიჯების აუცილებლობა აღნიშნული პათოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხების სრულყოფისაკენ. სალპინგექტომიის დანერგვამ 1800-იანი წლებიდან დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი თითქმის 5%-მდე შეამცირა [1].

საკვერცხის საშვილოსნოსგარე ორსულობა ხდება პერიტონეალურ ღრუში კვერცხუჭრედის განაყოფიერებით და შემდგომ საკვერცხის ზედაპირზე მისი იმპლანტაციით. არსებობს საკვერცხის ორსულობის განვითარების რამოდენიმე ჰიპოთეზა: მომნიშვნელოვანი კვერცხუჭრედის გამოყოფის შეფერხება საკვერცხის ზედაპირიდან, თეთრი გარსის (Tunica albuginea) გასქელება, ასევე ფალოპის მილის დისფუნქცია და ხელოვნური რეპროდუქციული ტექნოლოგიის (ART) და საშვილოსნოშიდა კონტრაცეპტიული საშუალებების მოხმარების (IUCD) ზრდა. საკვერცხის ორსულობის, ისევე როგორც ყველა ტიპის ორსულობების დიაგნოსტიკა, ხდება ქორიონალური გონადოტროპინის განსაზღვრით შარდის საშინაო და კონფირმატორული ტესტების საშუალებით [2].

საშვილოსნოსგარე ორსულობის საკვერცხისმიერი ფორმის დროს, ისევე როგორც სხვა ფორმების შემთხვევაში, ადრეულ დიაგნოსტიკას და დროულ მკურნალობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ხშირად წინასაოპერაციო და ზოგჯერ ინტრაოპერაციული დიაგნოსტიკაც გართულებულია. დღეს არსებული მონაცემებით, შემთხვევათა უმეტესობაში ორსულობა სრულდება პირველ ტრიმესტრში, რაც იწვევს მასიურ ინტრააბდომინალურ სისხლდენას, რის შედეგადაც ვითარდება ჰიპოვოლემია, რომელიც შეიძლება სიცოცხლისათვის საშიში იყოს. ასევე ფიქსირდება იშვიათი შემთხვევებიც, როდესაც საკვერცხის ორსულობის ვადა მეორე ტრიმესტრსაც აღწევს. ასევე გამოქვეყნებულია ტყუპით საკვერცხის საშვილოსნოსგარე ორსულობის შემთხვევები, რომლებიც დიაგნოსტირებულია ოპერაციამდე ულტრაბგერითი და მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფიის მეთოდებით. თუმცა, უმეტესი მონაცემები, რომლებითაც დასტურდება საკვერცხის ორსულობა, ეხება მათ პოსტოპერაციულ დიაგნოსტიკას პათომორფოლოგიური კვლევით [3].

კლინიკური შემთხვევის აღწერა. ჩვენს კლინიკურ შემთხვევაში 35 წლის განმეორებით მშობიარე (G2P1) მოთავსდა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის პერინატოლოგიის განყოფილებაში. პაციენტი უჩიოდა საერთო სისუსტეს, მოვლითი ხასიათის ტკივილს მუცლისა და წელის ქვედა არეში, განსაკუთრებით მარცხნივ, გამოხატული იყო პერიტონეუმის გაღიზიანების ნიშნები, შროტკინ-ბლუმბერგის სიმპტომი დადებითი იყო ამავე მხარეს. უკანა კნელი მენსტრუაციით ორსულობის ვადა - 4-5 კვირა. პაციენტს ჩატარებული ჰქონდა ორსულობის საშინაო ტესტი და ასევე განსაზღვრული იყო ქორიონალური გონადოტროპინის დონე სისხლში, რომელიც შეესაბამებოდა აღნიშნული ორსულობის ვადას. პაციენტი რამდენიმე დღის მანძილზე უჩიოდა ტკივილს წელისა და მუცლის ქვედა არეში, ეს ტკივილი თანდათან გაუძლიერდა, ჰქონდა გონების დაკარგვის ეპიზოდები, პულსი 120/წთ, BP 90/60 mmHg.

პაციენტს კლინიკაში შემოსვლისას ჩატარდა გინეკოლოგიური ულტრაბგერითი ვაგინალური კვლევა, რომლის მიხედვითაც საშვილოსნო ოდნავ გადიდებული იყო ნორმასთან შედარებით, მასში არ ფიქსირდებოდა სანაყოფო პარკი, მარცხენა საკვერცხის მიმდებარედ ისახებოდა ოვალური ფორმის წარმონაქმნი 40X30მმ-ზე, მის ცენტრალურად ფიქსირდებოდა ანექოგენური სითხოვანი ჩანართი - ფალოპის მილი, სავარაუდო იყო მარცხენა ფალოპის მილის ორსულობა, ასევე ფიქსირდებოდა ჰიპოგასტრიუმში თავისუფალი სითხე, სავარაუდოდ სისხლი, დაახლოებით 300მლ. ბიმანუალური გინეკოლოგიური კვლევის შედეგად ასევე დაისვა სავარაუდო დიაგნოზი: მწვავე მუცელი, მარცხენა კვერცხსავალი მილის ორსულობა, მიმდინარე აბორტის ტიპით, ჰემოპერიტონეუმი.

ვინაიდან სახეზე იყო არასტაბილური ჰემოდინამიკის ნიშნები: ჰიპოტენზია, ტაქიკარდია, ულტრაბგერითი კვლევით დასტურდებოდა თავისუფალი სითხის არსებობა ჰიპოგასტრიუმში, ასევე დაგვიანებული იყო პაციენტისათვის მკურნალობის შეთავაზება მეტოტრექსატით, განისაზღვრა ოპერაციის მასშტაბი ლაპარატომია, სალპინგექტომიით, ვინაიდან ლაპარასკოპიისათვის არ იყო შესაბამისი სტაბილური ჰემოდინამია.

ინტრაოპერაციულად ნანახი იქნა მუცლის ღრუში სისხლი 250-300მლ, როგორც თხიერი, ასევე კოლტების სახით, საშვილოსნო გადიდებული 8-10 კვირის ორსულობის ოდენობამდე, ვარდისფერი ელფერი, სადა ზედაპირით, მარცხენა კვერცხსავალი მილის ნაწილი შეხორცებებში საკვერცხესთან, შემსხვილებული ძეხვისებურად დაახლოებით 4X5სმ-მდე, დარღვეული მთლიანობით, საიდანაც მოჟონავდა მუქი შეფერილობის სისხლი და ფიქსირდებოდა მრავლობითი სისხლის კოლტები. მარჯვენა დანამატი პათოლოგიური ცვლილებების გარეშე, შინაგანი ორგანოების მხრივ ხილული პათოლოგიური ცვლილებები არ აღინიშნებოდა. ინტრაოპერაციული სავარაუდო დიაგნოზი იყო მარცხენა კვერცხსავალი მილის ორსულობა მიმდინარე აბორტის ტიპით, ჰემოპერიტონემი. ნაწარმოები იქნა მარცხენამხრივი სალპინგექტომია, ვინაიდან მარცხენა ფალოპის მილი წარმოადგენდა ერთიან კონგლომერატს მარცხენა საკვერცხესთან, გადანყდა საკვერცხის სოლისებური რეგექციის წარმოებას სალიქსოვილის ფარგლებში, მუცლის ღრუს ღრენინება, სანაცია.

მასალა ოპერაციის შემდეგ გაიგზავნა ჰისტომორფოლოგიურ კვლევაზე, რის შემდეგაც დაისვა დიაგნოზი: საკვერცხის ორსულობა, კერძოდ საკვერცხის დანარჩენ ქსოვილში აღმოჩნდა ფოლიკულური ცისტები, ყვითელი სხეულის ფრაგმენტები, ჰემორაგიული ინფილტრაციის ზონები. ფალოპის მილში ლორწოვანის ნაოჭების მიკროლიპიდური ყვითელი სხეულის ფრაგმენტები, ჰემორაგიული ინფილტრაციის ზონებით. ფალოპის მილში ლორწოვანის ნაოჭების მიკროლიპიდური ინფილტრაცია, კედლის დანარჩენ შრეებში მწვავე ჰემოდისცირკულაციური ჰიპერპლაზია. ცალკე საკვერცხიდან აღებულ ქსოვილსა და სისხლის კოლტების ფრაგმენტში მოჩანდა ქორიონის ბუსუსები, რომელთა ნაწილი მკვეთრად შეშუპებული იყო და მოჩანდა დანეკროზებული ქსოვილის კონტურები.

განხილვა. საკვერცხის ორსულობის დაგვიანებული დიაგნოზი შეიძლება იყოს ფატალური მასიური სისხლის დანაკარგის მიზეზი და წარმოქმნას ოოფორექტომიის შემდგომი რისკი, რაც თავისთავად იწვევს შვილოსნობის შემცირებას. როგორც ჩვენს განხილულ შემთხვევაშია ნაჩვენები, საკვერცხის ორსულობის პირველადი დიაგნოსტიკა რთულია, რადგან სიმპტომები არასპეციფიკურია და ულტრაბგერითი კვლევის შედეგები არაზუსტი. ულტრაბგერითი კვლევის ახალმა მიღწევებმა შეიძლება უზრუნველყოს ამ პათოლოგიური მდგომარეობის ადრეული გამოვლენა. კომსტოკის და სხვების მიერ ჩატარებული შემთხვევების სერია, საკვერცხის საშვილოსნოსგარე ორსულობის ულტრაბგერითი გამოვლენის შესახებ, აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად ხდებოდა ყვითლის პარკის ან ემბრიონის ვიზუალიზაცია, საკვერცხის ორსულობა ჩვეულებრივ ჩნდებოდა როგორც კისტა, რომელსაც ფართო, ექოგენური გარეთა არშია ჰქონდა. ეს არშია განასხვავებს მას სწორედ ყვითელი სხეულისაგან საკვერცხის ზედაპირზე. საკვერცხის ორსულობის დასადგენად არსებობს ასევე შპიგელბერგის მიერ აღწერილი კრიტერიუმები, რომლებიც ჩვენს კლინიკურ შემთხვევაში არ აღინიშნებოდა სრული სახით, თუმცა ამის მიუხედავად მორფოლოგიური კვლევით დადგინდა საკვერცხის ორსულობის დიაგნოზი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შპიგელბერგის კრიტერიუმების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ოპერაციის დროს და არა ულტრასონოგრაფიით, ამ კრიტერიუმების დასადგენად ოქროს სტანდარტი დღეისათვის არის დიაგნოსტიკური ლაპარასკოპია.

საკვერცხის საშვილოსნოსგარე ორსულობის წინასაოპერაციო ან ინტრაოპერაციული დიაგნოსტიკის შემთხვევაში, თუ პაციენტი კლინიკურად სტაბილურია და ჰემოდინამიკა ნორმალურია, კლინიცისტმა შეიძლება პაციენტს შესთავაზოს კონსერვატიული მკურნალობის მოდელი, კერძოდ ისეთ პაციენტებს, ვისაც აქვთ გარკვეული რისკები ოპერაციული ჩარევისათვის, ასევე ვინც მომავალში აპირებს შვილოსნობას, არაქირურგიული მკურნალობით შესაძლებელია საკვერცხის ქსოვილის შენარჩუნება.

ტროფობლასტის განვითარების შესაჩერებლად კონსერვატიული მკურნალობა მოიცავს მეტოტრექსატის, პროსტაგლანდინების და კალიუმის ქლორიდის გამოყენებას. 2003 წელს მიტალი და სხვები წარმატებით მკურნალობდნენ საკვერცხის ორსულობას ლაპაროსკოპიის მეშვეობით მეტოტრექსატის ინექციის ფონზე. აუნზიატა და სხვები, ვარაუდობენ, რომ მეტოტრექსატით წარმატებული თერაპიის კრიტერიუმებია ჩანასახოვანი პარკის ზომა <30 მმ, ნაყოფის კარდიალური აქტივობა და 6 კვირაზე ნაკლები ორსულობის ვადა. ხუანმა და მისმა კოლეგებმა აღწერეს

შემთხვევა, როდესაც ეტოპოზიდი (VP-16) შეჰყავთ საკვერცხის ზედაპირზე, ჩანასახის ჰარკში, რის შედეგადაც ხდება მისი სრული განვითარება. ვარაუდობენ, რომ ეს ერთ-ერთი პოტენციური ვარიანტი იქნება მომავალში [4,5].

დასკვნა. ბოლო წლების მანძილზე დიაგნოსტიკური საკვერცხის ორსულობათა სიხშირე გაზრდილია. მიუხედავად იმისა, რომ ამ პათოლოგიის პრეოპერაციული და ინტრაოპერაციული დიაგნოსტიკა რთულია, ულტრაბგერითი სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების სრულყოფით შესაძლებელია მისი ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდების დანერგვა, რაც თავიდან აგვააცილებს ხშირ ქირურგიულ ჩარევებს. ჰემოდინამიკურად სტაბილურ პაციენტებში მკაცრად და დროულად უნდა იქნას დადგენილი სამედიცინო ჩარევის მასშტაბები და სახეები. მკურნალობის მეთოდის შერჩევას ასევე გასათვალისწინებელია, რომ საკვერცხის ორსულობა, საკვერცხის კარგი სისხლისმომარაგების გამო, შესაძლებელია გახდეს მასიური, სიცოცხლესთან შეუთავსებელი სისხლდენის მიზეზი. მკურნალობის მეთოდის შერჩევამდე ასევე გასათვალისწინებელია ქალის შვილოსნობის სურვილი მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Y. Melcer, R. Maymon, Z. Vaknin et al. Primary ovarian ectopic pregnancy: still a medical challenge. The Journal of reproductive medicine, 2016; 61(1-2):58-62.
2. L. Ge, W. Sun, L. Wang et al. Ultrasound classification and clinical analysis of ovarian pregnancy: a study of 12 cases. J Gynecol Obstet Hum Reprod. 2019 Nov; 48(9):731-737.
3. Stein MW, Ricci ZJ, Novak L, Robert SJH, Koenigsberg M. Sonographic comparison of the tubal ring of ectopic pregnancy with the corpus luteum. J Ultrasound Med. 2004; 23:57-62.
4. Medical treatment of ectopic pregnancy: The practice committee of the American society of reproductive. Fertil Steril. 2008; 90:S206-12.
5. Sergent F, Mauger-Tinlot F, Gravier A, Verspyck E, Marpeau L. Ovarian pregnancies: Reevaluation of diagnostic criteria. J Gynecol Obstet Biol Reprod. 2002; 31:741.

ბესიკ ჯაფარიძე, ნინო ხოტივარი, ზაზა ბოხუა, ლანა ეზიეშვილი

საკვერცხის ორსულობის დიაგნოსტიკა: კლინიკური შემთხვევის აღწერა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

რეზიუმე

სამვილოსნოსგარე ორსულობა არის ჩანასახის ლოკალიზაცია სამვილოსნოს გარეთ, ყველაზე ხშირად კი ეს ხდება ფალოპის მილში. სამვილოსნოსგარე ორსულობის საკვერცხის ფორმა ორსულობის იშვიათი ფორმაა და მისი სიხშირე 0,3-3%-ს შეადგენს. საკვერცხის ორსულობის დიაგნოსტიკა საკმაოდ რთულია და მისი დიაგნოსტიკა შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ჩარევის ან ოპერაციის შემდეგ მიღებული პრეპარატის პათომორფოლოგიური კვლევის შედეგად. დღეისათვის სამვილოსნოსგარე ორსულობის ქირურგიული მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდთა მიჩნევა მკურნალობა მეტოტრექსატით, თუმცა უმეტესად მკურნალობა ტარდება ქირურგიული (ლაპარატომიული, ლაპარასკოპული) მეთოდებით.

ჩვენს შემთხვევაში წარმოდგენილია 35 წლის ქალი, რომელმაც ქირურგიული მკურნალობა ჩაიტარა თსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში. ოპერაციულ ჩარევამდე სტაციონარში ჩატარებული კვლევებით და დიაგნოსტიკური მეთოდებით დადგენილ იქნა სავარაუდო დიაგნოზი: მარცხენა ფალოპის მილის ორსულობა მიმდინარე აბორტის ტიპით, ჰემოპერიტონეუმი, რის შემდეგაც ჰემოდინამიკური მაჩვენებლების არასტაბილურობის გათვალისწინებით, ნაწარმოები იქნა ლაპარატომიული ჩარევა, კერძოდ მარცხენამხრივი სალპინგექტომია და საკვერცხის სოლისებური რეზექცია. საკვერცხის ორსულობის დიაგნოზი კი მხოლოდ პრეპარატის მორფოლოგიური კვლევის შედეგად მოხდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს დიაგნოსტიკური მეთოდების სრულყოფის დანერგვაზე აღნიშნული პათოლოგიის დროს.



ლიანა ჯაში^{1,2}, რუსუდან კვანჭახაძე¹, ქეთევან დუნდუა^{1,2}, თამარ პეშკოვა^{2,3}, ლელა ბერიძე^{2,3},
კობა ქამაშიძე², ეთერ მარგალიტაძე^{2,3}

ჩვევების ცვლილებების გავლენა გართულებების პროგრესირებაზე კოვიდ 19 პანდემიის დროს სოციალური იზოლაციის პირობებში 65 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით პაციენტებში აჭარის რეგიონში

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; ²ავიციენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი; ³ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.16>

LIANA JASHI^{1,2}, RUSUDAN KVANCHAKHADZE¹, KETEVAN DUNDUA^{1,2},
TAMAR PESHKOVA², LELA BERIDZE^{2,3}, KOBAMAMASHIDZE², ETER MARGALITADZE^{2,3}

THE IMPACT OF CHANGES IN HABITS ON THE PROGRESSION OF COMPLICATIONS DURING THE COVID-19 PANDEMIC IN PATIENTS WITH DIABETES MELLITUS UNDER 65 YEARS OF AGE UNDER CONDITIONS OF SOCIAL ISOLATION IN ADJARA REGION

¹David Aghmashenebeli University of Georgia, Tbilisi, Georgia; ²Avicenna – Batumi Medical University; ³Batumi Shota Rustaveli state University, Batumi, Georgia

SUMMARY

The aim of the study was to study glycemic control, habit changes, frequency of complications and the need for medical assistance in patients with diabetes under 65 years of age.

Results and discussion: according to the results of our study, no statistically significant difference was found between the groups in terms of sleep, weight and eating habits during social isolation, although weight gain in females is higher n=231 (33.14%), compared to males n=183 (26.26%).

There is no reliable difference in the way the patients contact the doctor, the contact was mainly made by phone or they did not contact at all. Statistically significant difference in blood sugar level fluctuations during isolation was systematically higher than 250mg% and ranged from 140mg% to 250mg%. It is significantly higher in female patients and amounts to n=115 (17.75%) and n=137 (21.14%) respectively p =.023. The difference in terms of physical training is statistically reliable, men n=149 (21.07%) and women n=127 (17.96%) did not exercise, respectively. p = <.001. Outpatient care during isolation due to high blood pressure is significantly higher in female patients n=127 (22.01%) p =.001. The increase in cigarette and alcohol consumption is significantly higher in male patients and is n=106 (15.08%) p = <.001 and n=61 (8.7%) p = <.001, respectively. Both factors in the general population equally increase the risk of hospitalization due to heart problems by bypassing/stenting n=119 (16.83%) - alcohol consumption p = <.001 and n=120 (16.95%) cigarette consumption p = <.001.

Thus, our research shows that in the conditions of isolation and limitation of medical care, the tendency to bad habits increases in diabetic patients, as well as the glycemic profile and blood pressure indicators are violated, which reliably increases the risk of hospitalization due to heart problems due to bypassing / stenting and the risk of developing multiple micro-macroangiopathy.

Keywords: sleep, nutrition, physical activity, alcohol, tobacco, diabetes, covid-19

შესავალი: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კოვიდ 19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მოსახლეობის ცხოვრება. ვირუსის გავრცელების შეკავების მხრივ მიღებულ იქნა სოციალური დისტანცირების უპრეცედენტო ღონისძიებები [1]. ჩინეთში დაწყებულმა იზოლაციის და ლოქდაუნის სექემა გადაიღეს მთელ მსოფლიოში, რამაც მნიშვნელოვნად შეაკავა მასიური ინფიცირება [2].

საქართველომ გადაიტანა კოვიდ 19 პანდემიის 6 ტალღა, შესაბამისი „დარჩი სახლში“ პროპაგანდით, რაც მნიშვნელოვნად აისახა ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების მდგომარეობაზე (NCDC V გადახედვა). ერთ-ერთი რისკის ჯგუფი, მაღალი სიკვდილობის მხრივ, იყო პაციენტები შაქრიანი დიაბეტით. დაავადების ადეკვატური მართვის და მისი გართულებების პრევენციისთვის აუცილებელია ნორმოგლიკემიის შენარჩუნება. ძილის და კვების რეჟიმის მონესრიგება, ზომიერი ფიზიკური აქტივობა, ასევე მავნე ჩვევების შეზღუდვა.

დიაბეტი წარმოადგენს სიკვდილობის ერთ-ერთ წამყვან მიზეზს, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომ მრავალ განვითარებად და ინდუსტრიულ ქვეყანაში ის ეპიდემიის მასშტაბს აღწევს. დაავადება ხასიათდება მწვავე (კეტოაციდოზი, ჰიპერგლიკემია, ჰიპოგლიკემია, კომა) და მოგვიანებითი გართულებების განვითარებით, როგორცაა ნეიროპათია, ნეფროპათია, თირკმლის უკმარისობა, რეტინოპათია, მხედველობის დაკარგვა, კარდიოვასკულური დაავადებები, ამპუტაციები, რაც ზრდის პაციენტების ინვალიდობის რისკს, ხოლო მაკროვასკულური გართულებანი (ინფარქტი, ინსულტი, ქვედა კიდურების თრომბოზი) დიაბეტიანი პირების სიკვდილის ძირითად მიზეზს წარმოადგენს [3].

კვლევის აქტუალობა: პირველად საქართველოში ჩატარდა კროსსექციული კვლევა დიაბეტის მქონე პაციენტებში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სოციალური იზოლაციის პირობებში კოვიდ 19 პანდემიის დროს შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში მეტაბოლური კონტროლის, ჩვევების ცვლილებების შესწავლა, გართულებების განვითარების სიხშირე და სამედიცინო დახმარების აუცილებლობა.

მასალა და მეთოდები: საკვლევი პოპულაციის რაოდენობა გამოთვლილია სპეციალური ფორმულით (Sampling frame) 95%-იანი სანდობის ($Z=1.96$), შენარჩვევის ზომის განსაზღვრის მიზნით გამოყენებულ ფორმულაში შეცდომის დასაშვებ დონედ განისაზღვრა 5% ($e=0.05$), ძირითადი საკვლევი ინდიკატორების (შაქრიანი დიაბეტის გავრცელება ანუ დიაბეტიან პირთა რაოდენობა) პრევალენტობა შეადგენს (<https://www.idf.org/our-network/regions-members/Europe/members/174-georgia.html>) 6.8% ($P=0.068$); შესაბამისად, გამოსაკვლევი პირთა რაოდენობამ შეადგინა 750 დიაბეტიანი პაციენტი.

ჩართვის კრიტერიუმი: ასაკი <65 წელზე, დიაბეტის ხანგრძლივობა 1 წელზე მეტი. გამორთვის კრიტერიუმი: 1 წელზე ნაკლები დიაბეტის ხანგრძლივობა, ასაკი >65 წელზე, უარი მონაწილეობაზე.

კვლევის მეთოდოლოგია: შემუშავებული იქნა საერთაშორისო სკალების გამოყენებით სპეციალური კითხვარი. გადატანილ იქნა Microsoft office თვითადმისტრირებად ფორმაში. შევსება ხორციელდებოდა ონლაინ, პირისპირ კონტაქტით Galaxy Tab S8 5G საშუალებით. რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის განისაზღვრა საშუალო, საშუალო კვადრატული გადახრა; ხარისხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია სიხშირით და %-ით. ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ჯგუფებს შორის განსხვავებას ვითვლიდით χ^2 . მონაცემთა ანალიზი განხორციელდა SPSS 23 გამოყენებით.

სტატიაში განვიხილავთ შემდეგი ფაქტორების ანალიზს: იზოლაციის დროს სიგარეტის და ალკოჰოლის მოხმარება, იზოლაციის პირობებში ხომ არ შეიცვალა კვებითი ჩვევა? როგორ შეიცვალა თქვენი წონა? შეიცვალა თუ არა თქვენი ძილის რითმი? იზოლაციის პირობებში ფიზიკურად ვარჯიშობდით სახლში? როგორ უკავშირდებოდით ოჯახის ექიმს ან ენდოკრინოლოგს იზოლაციის დროს? როგორი იყო სისხლში შაქრის დონის მერყეობა? არტერიული წნევის ცვალებადობა? დიაბეტის გართულებები, იზოლაციის დროს ხომ არ დაგჭირდათ ამბულატორიული დახმარება ან სტაციონარში ჰოსპიტალიზაცია.

შედეგები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 750 პაციენტმა, აქედან არ დაეთანხმა კითხვარის შევსებას 27 პაციენტი. მამრობითი სქესის იყო $n=308$ (44,78%), მდედრობითი $n=392$ (55,21%), პაციენტების 44,21% იყო ბათუმის მაცხოვრებელი, საშუალო ასაკი 51-60 წლამდე (49,17%), უმრავლესობა - 58,03% იყო დაქორწინებული, უმაღლესი განათლება ჰქონდათ პაციენტების 32%, მუშაობდა 50,1%, 68,64% ჰქონდა საყოველთაო დაზღვევა, დიაბეტის ხანგრძლივობის მხრივ უმრავლესობამ დააფიქსირა >10 წელზე - 43,1%, 87,27% ჰქონდა დიაბეტი ტიპი 2. სრული სოციოდემოგრაფიული მახასიათებლები იხ. ცხრილი 1.


ცხრილი.1 პაციენტების სოციოდემოგრაფიული მახასიათებლები

სქესი	მამრობითი	318	44.79%	თქვენი განაღობა	არარეული უზღვევი	131	18.48%	
	მდედრობითი	392	55.21%		უზღვევი	229	32.3%	
სადა ცხოვრობ?	ქალაქი/მათივე	314	44.23%		სამუშაო ტექნიკური	194	27.36%	
	ხელოვნური	139	19.58%		არარეული სამუშაო	50	7.05%	
	ქონიერები	165	23.24%		სამუშაო	101	14.25%	
	მადლიზიანი აკარა	92	12.96%		სამუშაო/სამსახური	4	0.56%	
ზართი თუ არა რელიგიური	ქრისტიანი	493	70.43%	მუშაობა?	არა	179	25.25%	
	მუსულმანი	175	25%		კი	359	50.63%	
	გრიგორიანული	12	1.71%		დავარე სამსახური პანდემიის გამო	106	14.95%	
	არ ვარ მოწოდებული	20	2.86%		პენსიონერი	65	9.17%	
ასაკი	40-50	168	23.33%	დაზღვევის სარგებლობა?	საყოველითი დაზღვევა	486	68.64%	
	51-60	354	49.17%		მაქს კერძო დაზღვევა	161	22.74%	
	60-65	156	21.67%		არა, თავად ვაფინანსებ	61	8.62%	
	20-30	10	1.39%		დიაბეტის ისტორია	5-10 წლამდე	236	33.24%
	31-40	32	4.44%			10-ზე მეტი	306	43.1%
			3-5 წლამდე	17		2.39%		
			1-3 წლამდე	151		21.27%		
			რამდენი ტიპის დიაბეტის გაქვია?	ლათა		52	7.36%	
თქვენი ოჯახური მდგომარეობა	დაქორწინებული	412	58.03%	ტიპი 2	617	87.27%		
	გაქორწინებულია/მარტული	89	12.54%	ტიპი 1	31	4.38%		
	ქორწინება არასდროს მოვიცი	78	10.99%	მთავი	7	0.99%		
	ქვრივი	131	18.43%					

ფაქტორები შევადარეთ ერთმანეთს სქესის მიხედვით. ძილის, წონის და კვებითი ჩვევის დარღვევის მხრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ გამოვლინდა. „უძილობა მანუხებდა“ თანაბარია ორივე ჯგუფში.

წონის ცვლილების მხრივ არასარწმუნოდ მაღალია მომატება მდედრობითი სქესის პირებში n=231 (33.14%), მამაკაცების n=183 (26.26%) შედარებით $\chi^2 = 1.84, p = .399$. სრული გადანაწილება იხ. დიაგრამა 1.


დიაგრამა.1 ძილის, წონის და კვებითი ჩვევის ცვლილებების გადანაწილება



სიგარეტის მოხმარების მხრივ პასუხებში სარწმუნო სხვაობაა. არ ეწეოდა მამაკაცების n=98 (13.94%) და ქალების n=193 (27.45%), „გაიზარდა“ უპასუხა მამაკაცების n=106 (15.08%). $\chi^2 = 36.59, p = <.001$, ალკოჰოლის მოხმარების მხრივ ქალების n=284 (40.51%) არ ღებულობდა ალკოჰოლს, რაც სარწმუნოდ განსხვავდება მამაკაცებთან n=138 (19.69%) შედარებით. ასევე მამრობითი სქესის პაციენტებში იზოლაციის დროს მოიმატა ალკოჰოლის მოხმარება n=61 (8.7%) $\chi^2 = 66.36, p = <.001$, ფიზიკური ვარჯიშის მხრივ ორივე სქესის პაციენტებში სარწმუნოდ მაღალია პასუხი „არ ვვარჯიშობდი“ და შეადგენს მამაკაცებში n=149 (21.07%) და ქალებში n=127 (17.96%) შესაბამისად.


კითხვაზე „ვაკეთებდი სახლის საქმეებს“ მეტია მდედრობითი სქესი რესპოდენტები n=180 (25.46%) $\chi^2 = 31.26, p = <.001$. „იზოლაციის პირობებში ხომ არ დაგჭირდათ დახმარება“ სარწმუნოდ მაღალია მდედრობითი სქესის პაციენტებში, ამბულატორიულად არტერიული წნევის გამო n=127 (22.01%) მამაკაცების n=73 (12.65%) შედარებით. მამაკაცებში კი უფრო მეტია „სტაციონარულად გულის შეტევის გამო“ პასუხი n=60 (10.4%) ქალების n=47 (8.15%) შედარებით $\chi^2 = 21.1, p = .001$, სრული გადანაწილება დიაგრამა 2.

დიაგრამა 2 სიგარეტის, ალკოჰოლის მოხმარების, ფიზიკური ვარჯიშის და იზოლაციის დროს დახმარება გადანაწილება



ლიბეტის კარდიოლოგიური დაავადებები მამრობითი სქესის პაციენტებში n=56 (8.19%) მდედრობითი n=77 (11.26%), ორივე სქესის პაციენტებში მაღალია მრავლობითი მიკრო - მაკროანგიოპათია და შეადგენს n=86 (12.57%) მამაკაცებში და n=117 (17.11%) ქალებში. $\chi^2 = 2.09$, $p=.72$, საავადმყოფოში მკურნალობის საჭიროების მხრივ პაციენტების ნახევარი, ორივე სქესის აფიქსირებს პასუხს „არა“. პათოლოგიებიდან ორივე ჯგუფში ყველაზე მეტი იყო გულის პრობლემის გამო, შენტირება/სტენტირება n=54 (7.69%) მამაკაცებში და n=63 (8.97%) ქალებში. $\chi^2=3.86$, $p=.696$, სხვაობა არასანშუნოა, ასევე ამავე ჯგუფში ქალებს უფრო მეტად დასჭირდათ იზოლაციისას თვალზე ჩარევა ლაზეროკოაგულაცია / კატარაქტის გამო ოპერაცია. დიაგრამა 3.


დიაგრამა 3 დიაბეტის გართულებების და იზოლაციის დროს ხომ არ დაგჭირდათ საავადმყოფოში მკურნალობა გადანაწილება



სისხლში შაქრის დონის მერყეობის მხრივ არის სარწმუნო სხვაობა მდედრობითი სქესის პაციენტებში, „სისტემატიურად მქონდა 250 მეტი და მერყეობდა 140მგ%-დან 250 მგ%-ის ფარგლებში“ დაფიქსირდა n=115 (17.75%) და n=137 (21.14%). $\chi^2 = 9.57$, $p = .023$.


ორივე სქესის პაციენტები ექიმთან კონტაქტს ახორციელებდა ტელეფონით მამაკაცები n=101 (14.33%), ქალები n=115 (16.31%), თუმცა ორივე სქესის პაციენტებში პასუხი „არ ვეკონტაქტებოდი“ მაღალია, სხვაობა არასარწმუნოა $\chi^2 = 4.37$, $p = .224$, სრული გადანაწილება დიაგრამა 4.

დიაგრამა 4 შაქრის დონის მერყეობა და ექიმთან დაკავშირებადობის სქესობრივი გადანაწილება



ასევე შევადარეთ „ალკოჰოლის და სიგარეტის მოხმარების“ გავლენა „ხომ არ დაგჭირდათ საავადმყოფოში მკურნალობას“. $n=119$ (16,83%) - ალკოჰოლის $\chi^2(18) = 76.73$, $p = <.001$ და $n=120$ (16.95%) $\chi^2 = 79.82$, $p = <.001$ სიგარეტის მოხმარება თითქმის თანაბარი პროცენტით, სარწმუნოდ ზრდის გულის პრობლემის გამო შუნტირება/სტენტირების მხრივ საავადმყოფოში მოხვედრის რისკს. სრული გადანაწილება დიაგრამა 5.

დიაგრამა 5. სიგარეტის და ალკოჰოლის მოხმარების გავლენის გადანაწილება იზოლაციის დროს ხომ არ დაგჭირდათ საავადმყოფოში მკურნალობაზე



განხილვა: ჩვენი კვლევის მიხედვით გამოვლინდა იზოლაციის პაციენტებში სიგარეტის მოხმარების სარწმუნოდ ზრდა, რაც თანხვედრა მსოფლიოში ჩატარებულ კვლევებს, ერთ-ერთი ბოლო კვლევა - გაიზარდა ამერიკაში სიგარეტის, ელექტროსიგარეტის გაყიდვები იზოლაციის დროს, ასევე თამბაქოს მოწვევას კავშირი აქვს ინფიცირებისას მდგომარეობის დამძიმებასთან [4]. ასევე ესპანური კვლევის მიხედვით მოიმატა იზოლაციის დროს ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარებამ, რას სავარაუდოდ უკავშირდებოდა სტრესს [5]. შაქრის დონის მერყეობა სარწმუნოდ მაღალია მდებარეობითი სქესის პაციენტებში, ასევე ამბულატორიული დახმარების აუცილებლობა არტერიული ჰიპერტენზიის გამო, რაც თანხვედრა კანადაში და ინგლისში ჩატარებულ კვლევებს და ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის რეპორტს [7].

რამდენიმე კვლევაში შეიცვალა ფიზიკური აქტივობა და ცხოვრების წესი [6], ჩვენს კვლევაში თანაბრად დაქვეითებულია აქტივობა, მაგრამ სარწმუნოდ მაღალია ქალებში სახლის საქმეების გაკეთება, რასაც თვლიდნენ ფიზიკურ აქტივობად. იზოლაციისას ექიმთან ძირითადი კავშირი ხორციელდებოდა ტელეფონის მეშვეობით, ან საერთოდ არ ეკონტაქტებოდნენ.

დასკვნა: ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით სოციალური იზოლაციის დროს ძილის მხრივ სარწმუნოდ სხვაობა არ არის, თუმცა ორივე ჯგუფში დაფიქსირდა „მანუხებდა უძილობა“ მაღალი პროცენტით. კვებითი ჩვევის ცვლილების მხრივაც სარწმუნოდ სხვაობა არაა, საინტერესოდ გადანაწილდა ტკბილი და ცხიმოვანი საკვების მოხმარების ზრდა, ქალებში უფრო მეტი იყო ტკბილი პროდუქტების მოხმარების ზრდა, მამაკაცებში კი ცხიმოვანი საკვების.

იზოლაციის დროს მამრობითი სქესის პაციენტებში სარწმუნოდ მატულობს ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარება, რაც საერთო პოპულაციაში სარწმუნოდ ზრდის საავადმყოფოში მოხვედრის რისკს გულის პრობლემების გამო შუნტირება/სტენტირების მხრივ. ფიზიკური აქტივობა შემცირდა ორივე ჯგუფში, მდებარეობითი სქესის პაციენტებში სარწმუნოდ მაღალია სახლის საქმეების გაკეთების ჩვევა, რასაც თვლიდნენ ფიზიკურ აქტივობად. ამბულატორიულად სამედიცინო დახმარების აუცილებლობა მაღალი არტერიული წნევის გამო სარწმუნოდ მაღალია ქალებში. ასევე შაქრის დონის მაღალი ციფრები და მერყეობა ასევე მეტია მდებარეობითი სქესის პაციენტებში. ალკოჰოლის, თამბაქოს მოხმარების ზრდა, გლიკემიის მაღალი ციფრები, ფიზიკური ვარჯიშის უკუღვევლყოფა იზოლაციის დროს არასარწმუნოდ ზრდის ორთავე ჯგუფში მრავლობითი მიკრო-მაკროანგიოპათიის განვითარების რისკს.

რეკომენდაციები: საჭიროა გაიზარდოს დიაბეტიანი პაციენტების ინფორმირებულობა ჩვევების, განსაკუთრებით სიგარეტის და ალკოჰოლის ჭარბი გამოყენების ზიანის შესახებ; ასევე სწორი ფიზიკური აქტივობა და ცხოვრების წესის (კვების რეჟიმი, ძილის, ვარჯიშის) ადეკვატური რეჟიმის დაცვის მნიშვნელობა, ასევე არტერიული წნევის, გლიკემიის ნორმალური ციფრების შენარჩუნება, ვინაიდან სწორედ ეს ფაქტორებია ასოცირებული დიაბეტის გართულებების, განსაკუთრებით კარდიოვასკულური დაავადების რისკის ზრდასთან.

კვლევა (PHDF-22-2943) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSF) მხარდაჭერით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.coronavirus.gov/>
2. Burki, Talha. China's successful control of COVID-19. *The Lancet Infectious Diseases*, ISSN:1473-3099, 2020; 20(11):1240-1241. [https://doi.org/10.1016/S1473-3099\(20\)30800-8](https://doi.org/10.1016/S1473-3099(20)30800-8)
3. Machón Sobrado M., Mateo-Abad M., Vrotsou K. et al. Health Status and Lifestyle Habits of Vulnerable, Community-Dwelling Older People During the COVID-19 Lockdown. *J Frailty Aging*, 2021; 10:286-289. <https://doi.org/10.14283/jfa.2021.12>
4. Chattopadhyay S, Malayil L, Kaukab S, Merenstein Z, Sapkota AR. The predisposition of smokers to COVID-19 infection: A mini-review of global perspectives. *Heliyon*. 2023 Jun 29; 9(7): e17783. doi: 10.1016/j.heliyon.2023.e17783.
5. García-Álvarez L, Fuente-Tomás L, Sáiz PA, García-Portilla MP, Bobes J. Will changes in alcohol and tobacco use be seen during the COVID-19 lockdown? *Adicciones*. 2020 Apr 1; 32(2):85-89. English, Spanish. doi: 10.20882/adicciones.1546. PMID: 32347962.
6. Caroppo E, Mazza M, et al. Will Nothing Be the Same Again? Changes in Lifestyle during COVID-19 Pandemic and Consequences on Mental Health. *Int J Environ Res Public Health*. 2021 Aug 10; 18(16):8433. doi: 10.3390/ijerph18168433. PMID: 34444180; PMCID: PMC8393535.
7. European Society of Cardiology. Social isolation during COVID-19 pandemic linked with high blood pressure. *ScienceDaily*. 2020, Nov 19. www.sciencedaily.com/releases/2020/11/201119083923.htm.

ლიანა ჯაში^{1,2}, რუსუდან კვანჭახაძე¹, ეთევეან ღუნდუა^{1,2}, თამარ პეშკოვა^{2,3}, ლელა ბერიძე^{2,3},
კობა ქამაშიძე², ეთერ მარგალიტაძე^{2,3}

ჩვევების ცვლილებების გავლენა გართულებების პროგრესირებაზე კოვიდ 19 პანდემიის დროს სოციალური იზოლაციის პირობებში 65 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით პაციენტებში აჭარის რეგიონში

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; ²ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი; ³ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა 65 წლამდე პაციენტებში, შაქრიანი დიაბეტით, გლიკემიური კონტროლი, ჩვევების ცვლილებები, გართულებების განვითარების სიხშირე და სამედიცინო დახმარების აუცილებლობა.

შედეგები და განხილვა: ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით სოციალური იზოლაციის დროს ძილის, წონის და კვებითი ჩვევის დარღვევის მხრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ გამოვლინდა, თუმცა წონის მომატება მდებარეობითი სქესის პირებში მეტია n=231 (33.14%) მამაკაცების n=183 (26.26%) შედარებით.

პაციენტების მიერ ექიმთან დაკავშირების მხრივ სარწმუნო სხვაობა არ არის, კავშირი ძირითადად ხორციელდებოდა ტელეფონით ან საერთოდ არ ეკონტაქტებოდნენ. სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა იზოლაციის დროს სისხლში შაქრის დონის მერყეობის მხრივ „სისტემატიურად მქონდა 250მგ% მეტი და მერყეობდა 140მგ% დან 250მგ%-ის ფარგლებში“ სარწმუნოდ მაღალია მდებარეობითი სქესის პაციენტებში და შეადგენს n=115 (17.75%) და n=137 (21.14%) შესაბამისად p = .023. ფიზიკური ვარჯიშის მხრივ სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოა, არ ვარჯიშობდა მამაკაცების n=149 (21.07%) და ქალების n=127 (17.96%) შესაბამისად. p = <.001. იზოლაციის დროს ამბულატორიული დახმარება მაღალი არტერიული წნევის გამო სარწმუნოდ მეტია მდებარეობითი სქესის პაციენტებში n=127 (22.01%) p = .001. სიგარეტის და ალკოჰოლის მოხმარების ზრდა სარწმუნოდ მაღალია მამრობითი სქესის პაციენტებში და შეადგენს n=106 (15.08%) p = <.001 და n=61 (8.7%) p = <.001, შესაბამისად. ორივე ფაქტორი საერთო პოპულაციაში თანაბრად ზრდის გულის პრობლემის გამო შუნტირება/სტენტირების მხრივ საავადმყოფოში მოხვედრის რისკს n=119 (16,83%) - ალკოჰოლის მოხმარება p = <.001 და n=120 (16.95%) სიგარეტის მოხმარება p = <.001.

ამრიგად, ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ დიაბეტიან პაციენტებში იზოლაციის, სამედიცინო დახმარების შეზღუდვის პირობებში მატულობს მავნე ჩვევებისკენ მიდრეკილება, ასევე ირღვევა გლიკემიური პროფილი და არტერიული წნევის მაჩვენებლები, რაც სარწმუნოდ ზრდის გულის პრობლემების გამო შენტირება/სტენტირების მხრივ საავადმყოფოში მოხვედრის და არასარწმუნოდ მრავლობითი მიკრო-მაკროანგიოპათიის განვითარების რისკს.



აკაკი ბურკაძე¹, თეიმურაზ სილაგაძე¹, თამარ ყანდაშვილი²

დეპრესიის დიაგნოსტიკა გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის დროს

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფსიქიატრიის კათედრა;

²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, შინაგან დაავადებათა დეპარტამენტი #3

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.17>

AKAKI BURKADZE¹, TEIMURAZ SILAGADZE¹, TAMAR KANDASHVILI²

DIAGNOSING DEPRESSION DURING IRRITABLE BOWEL SYNDROME

¹Tbilisi State Medical University, Department of Psychiatry;

²Tbilisi State Medical University, Department of internal medicine #3

SUMMARY

A significant proportion of patients worldwide diagnosed with irritable bowel syndrome (IBS) experience comorbid psychiatric conditions, with depression being the most prevalent disorder among them. In Western countries, the prevalence of mental disorders among IBS patients ranges between 40% and 60%. However, in Asian countries, such as India, the rates are even higher, with mental disorder rates exceeding 80% among individuals with IBS. The disease is mostly studied in Western regions and the prevailing focus is on studying IBS from a psychiatric standpoint. Various diagnostic tools are available for diagnosing depression. These include self-report mood scales like the Beck Depression Inventory (BDI) and interviewer-administered scales like the Hamilton Rating Scale for Depression (HRSD). This paper discusses the manifestation of depression during irritable bowel syndrome and its identification through the BDI and HRSD scales. The advantages and limitations of the scales are also suggested.

Keywords: Irritable Bowel Syndrome, Depression, Psychosomatic conditions

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი (გნს) ქრონიკული, მორეციდივე დაავადებაა, რომელიც ძირითადად 20-30 წლის ასაკში იჩენს თავს. მისი გამოვლინება ორჯერ ხშირია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. დაავადების ფორმირებას ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორი - გენეტიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური და ა.შ. [1,2]. რომის ჯგუფის კრიტერიუმების IV გამოცემის თანახმად, რომელიც სინდრომის დიაგნოსტიკის უახლეს მექანიზმს გვთავაზობს, გნს-ის დიაგნოზის დასადასტურებლად, პაციენტს ბოლო 3 თვის განმავლობაში, კვირაში მინიმუმ 1 დღე მაინც უნდა აღენიშნებოდეს მუცლის მორეციდივე ტკივილი, ორი ან მეტი თანხმლები სიმპტომით: ტკივილის ცვლილება - მომატება ან შემცირება დეფეკაციისას, განავლის სიხშირის ცვლილება, განავლის ფორმის ცვლილება. ამასთანავე, დიაგნოზის დასმა სიმპტომების გამოვლენიდან მინიმუმ 6 თვის შემდეგ უნდა მოხდეს [3].

გნს-ს მქონე პაციენტების დიდ ნაწილს აღენიშნება ფსიქიატრიული აშლილობები. მათგან ყველაზე გავრცელებულია დეპრესია. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ დეპრესიის მაღალი გავრცელება აიხსნება დაბალი რეაგირებით 5-ჰიდროქსიტრიპტამინის (5-HT) სეკრეციაზე, როგორც ცენტრალურ, ასევე პერიფერიულ ზონებში. აღსანიშნავია ისიც, რომ დეპრესია ყოველთვის არ გამოვლინდება ტიპური სიმპტომებით. მოხტარისა და მისი კოლეგების გამოკვლევამ აჩვენა, რომ პაციენტების ნაწილს შესაძლოა ფარული დეპრესია განუვითარდეს, რომლის სიმწვავე დაბალია და არ ითხოვს გადაუდებელ პასუხს. თუმცა, ამ ფაქტორის მხედველობიდან გაშვება მკვლევარებმა საზიანოდ მიიჩნიეს [4].

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთის ქვეყნებში ფსიქიკური აშლილობების მაჩვენებელი პაციენტთა 40-60%-ს შორის მერყეობს. ეს რიცხვი განსხვავებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ინდოეთში, სადაც დაავადება მეტ-ნაკლებად შესწავლილია, პაციენტთა 80%-ზე მეტს უფიქსირდება ფსიქიკური აშლილობები [5]. ეს განსხვავებები ცხადყოფს, რომ გეოგრაფიული და სოციო-კულტურული ფაქტორების გათვალისწინება დაავადების შესასწავლად მნიშვნელოვანია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებების გამოვლენას ნაკლები ყურადღება ეთმობა და ფსიქიატრიული პერსპექტივიდან დაავადებას უმეტესად დასავლეთში სწავლობენ. ამიტომ გნს-ს დროს დეპრესიის დიაგნოსტიკების თანამედროვე კრიტერიუმები სწორედ ამ სივრციდან მოდის.

დეპრესიის განმარტებისას შეგვიძლია ვისარგებლოთ ფსიქიკური აშლილობის სტატისტიკური სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემით (DSM-5) და დეპრესია განვიხილოთ, როგორც მძიმე დეპრესიული ეპიზოდი (MDD) და ქრონიკული დეპრესიული აშლილობა (PDD), რომელიც წარმოადგენს ორ დიაგნოსტიკურ მდგომარეობას ცალკე კრიტერიუმებით [6]. მძიმე დეპრესიული ეპიზოდი არის ფსიქიატრიული დარღვევა, რომელიც ხასიათდება მინიმუმ ორი კვირის განმავლობაში დაქვეითებული გუნება-განწყობით და/ან ინტერესის დაკარგვით მანამდე არსებულ სასიამოვნო აქტივობების მიმართ. ამასთანავე, ამ მდგომარეობას თან უნდა ახლდეს ჩამოთვლილთაგან ოთხი ან ხუთი სიმპტომი მაინც: დაბალი თვითშეფასება, დანაშაულის გრძნობა, ძილის დარღვევა, ენერჯის ნაკლებობა, მადის ცვლილებები, დაბალი კონცენტრაციის უნარი, გაურკვეველი ეტიოლოგიის ტკივილი. ქრონიკული დეპრესიული გუნება-განწყობა, ცნობილი როგორც დისტიმია, არის ქრონიკულად დაქვეითებული განწყობა, რომელიც გრძელდება მინიმუმ ორი წლის განმავლობაში. ტრადიციულად, მას მიაწერენ ნეიროტრანსმიტერების - სეროტონინის, ნორეპინეფრინის და დოფამინის დისბალანსს [7].

დეპრესიის დიაგნოსტიკისთვის არსებობს დამხმარე ინსტრუმენტები. მათ მიეკუთვნება განწყობის თვითშეფასების შკალები, რომელთაგან ყველაზე ხშირად იყენებენ ბეკის დეპრესიის საზომს (Beck Depression Inventory (BDI)) და ჰამილტონის დეპრესიის შეფასების შკალას (Hamilton Rating Scale for Depression (HRSD)).

ბეკის დეპრესიის კითხვარი დეპრესიული მდგომარეობის საზომია. შკალა 21 კითხვისგან შედგება და შეისწავლის დეპრესიის მქონე პაციენტებისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს და დამოკიდებულებებს, რომლებიც იშვიათად, ან თითქმის არ გვხვდება დეპრესიის არმქონე პირთა შორის. ბეკის კითხვარი აკვირდება ემოციურ, ქცევით და სომატურ გამოვლინებებს. ფაქტორული ანალიზის შედეგად ბეკმა და მისმა კოლეგებმა პაციენტების მდგომარეობაში სამ ფაქტორს მიაქციეს ყურადღება. ესენი იყო: ნეგატიური დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ, პრომისუნარიანობის დაქვეითება და სომატური დარღვევები [8].

ჰამილტონის შეფასების შკალა - ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ინსტრუმენტია კლინიკურ პრაქტიკაში. მისით ფასდება დეპრესიის სიმძიმე. იგი ასევე გამოყენებულია მდგომარეობის გაუმჯობესების/გამოჯანმრთელების გასაზომად. შკალით ხშირად სარგებლობენ პირველადი ჯანდაცვის რგოლში, სადაც, სამედიცინო პერსონალს დეპრესიის სკრინინგის საშუალება ეძლევა. შკალა არ წარმოადგენს თვითშეფასების ტესტს. კითხვარი შეიცავს 21 ელემენტს, თუმცა, მათგან მხოლოდ 17 ელემენტია გამოყენებული ინსტრუმენტის შეფასებისას. შკალა აკვირდება სომატურ სიმპტომებს და ნაკლებად შეისწავლის კოგნიტურ, ან აფექტურ სიმპტომებს. ჰამილტონმა ყურადღება გაამახვილა სამ ფაქტორზე. ესენია: ზოგადი დეპრესია (ზოგჯერ სიმპტომების დამძიმებით), აუტიტაცია და უძილობა [8]. როგორც ჰამილტონი აღნიშნავდა, შკალა „შემუშავდა მხოლოდ იმ შემთხვევებში გამოსაყენებლად, როდესაც პაციენტს უკვე დასმული ჰქონდა დეპრესიული ტიპის აფექტური აშლილობის დიაგნოზი. ის გამოიყენება ინტერვიუს საფუძველზე მოპოვებული მონაცემების რაოდენობრივი შეფასებისთვის“ [9].

გნს-ს კვლევის ფარგლებში ბეკისა და ჰამილტონის შკალების გამოყენება სრულიად რელევანტურია. კლინიკურმა კვლევებმა მრავალგზის დაადასტურა მათი გამოყენების საჭიროება. შკალების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მათგანი სომატურ სიმპტომებს აკვირდება. სომატიზებული ფორმით გამოხატული დეპრესია რთული შესამჩნევია, ვინაიდან, პაციენტები უჩივიან სომატურ სიმპტომებს, ყოველგვარი ორგანული მიზეზის გარეშე. დეპრესიის სიმპტომები ხანდახან თანმხლები სიმპტომების სახითაა წარმოდგენილი, ხან კი საერთოდ არ ჩანს.

ამის გამო, პაციენტებს ხშირად უსვამენ სომატური, სომატოფორმული ან ფსიქოსომატური აშლილობის, კონვერსიული დარღვევის და იპოქონდრიის დიაგნოზს [10].

სომატურ გამოვლინებებზე დაკვირვება დეპრესიული მდგომარეობის უკეთ შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, შკალებს, უპირატესობასთან ერთად, აქვთ თავისი შეზღუდვები, რომელთა გათვალისწინება კვლევის შედეგების გაანალიზებისას მნიშვნელოვანია. უფრო კონკრეტულად - ბეკის კითხვარი პაციენტის თვითშეფასებას ეყრდნობა, იგი შესწავლის ინდივიდის აღქმას მისი სიმპტომების შესახებ, რაც შეიძლება გაზვიადებული ან პირიქით, არაჯეროვნად იყოს წარმოჩენილი. ხოლო ჰამილტონის კითხვარის შეზღუდვა არის ის, რომ ის ინტერვიუერის უნარზე დამოკიდებული, მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია და გარდა ამისა, სომატური სიმპტომების ფართო სპექტრის გათვალისწინების მიუხედავად, ცალკეული ატიპიური სიმპტომები ამ შკალით, შესაძლოა არ შეფასდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cao, J. „Challenge for conventional gastroenterology and discussion for psychosomatic model of gastroenterology.“ Chinese Journal of digestive diseases 38, no. 9 (2018): 586-90.
2. Yeh, H. Chien, W. Chung, C. “Risk of psychiatric disorders in irritable bowel syndrome- A nationwide, population-based, cohort study.” International Journal of Clinical Practice 79, no. 7 (2018): e13212.
3. Hellström, P.M & Benno, P. “The Rome IV: irritable bowel syndrome - a functional disorder.” Best Practice & Research Clinical Gastroenterology, no. 40-41 (2019): 101634.
4. Mokhtar, N. M. Bahrudin, M. F. et al. “Prevalence of Subthreshold Depression Among Constipation-Predominant Irritable Bowel Syndrome Patients.” Frontiers in Psychology, no. 11 (2020): a1936.
5. Kawoos, Y. Wani, Z. A. et al. “Psychiatric Comorbidity in Patients With Irritable Bowel Syndrome at a Tertiary Care Center in Northern India.” Journal of Neurogastroenterol Motil. 2017; 23(4): 555-560.
6. American Psychiatric Association. “Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, 5th Edition: DSM-5” (American Psychiatric Publishing: London and New York, 2013), 155.
7. Mudyanadzo, T. A. Hauzaree, Ch. Yerokhina, O. Architha, N. N. Ashqar, H. M. „Irritable Bowel Syndrome and Depression: A Shared Pathogenesis.“ Cureus 10, no. 8 (2018): e3178.
8. Shafer, A. B. “Meta-analysis of the factor structures of four depression questionnaires: Beck, CES-D, Hamilton, and Zung.” Journal of Clinical Psychology 62, no. 1 (2006): 123-146.
9. Hamilton, M. “A Rating Scale for Depression.” Journal of Neurology, Neurosurgery, and Psychiatry 23, no. 1 (1960): 56-62.
10. Kreutzer, J. S. DeLuca, J. Caplan, B. Encyclopedia of Clinical Neuropsychology (Springer International Publishing: New York, 2018), 1524.

აკაკი ბურკაძე¹, თეიმურაზ სილაგაძე¹, თამარ ყანდაშვილი²

დეპრესიის დიაგნოსტიკა გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის დროს

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფსიქიატრიის კათედრა; ²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, შინაგან დაავადებათა დეპარტამენტი #3

რეზიუმე

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის მქონე პაციენტების დიდ ნაწილს აღენიშნება ფსიქიატრიული აშლილობები. მათგან ყველაზე გავრცელებულია დეპრესია. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთის ქვეყნებში ფსიქიკური აშლილობების მაჩვენებელი პაციენტთა 40-60%-ს შორის მერყეობს. ეს რიცხვი განსხვავებულია აზიის ქვეყნებში. მაგ., ინდოეთში პაციენტთა 80%-ზე მეტს უფიქსირდება ფსიქიკური აშლილობები. მიუხედავად ამ მაჩვენებლებისა, ფსიქიატრიული პერსპექტივიდან დაავადებას უმეტესად დასავლეთში სწავლობენ. დეპრესიის დიაგნოსტიკისთვის არსებობს სხვადასხვა ინსტრუმენტები, მათ შორის განწყობის თვითშეფასების შკალები (მაგ: ბეკის დეპრესიის საზომი - Beck Depression Inventory (BDI)) და ასევე ინტერვიუერის შკალები (ჰამილტონის დეპრესიის შეფასების შკალა - Hamilton Rating Scale for Depression (HRSD)). ამ ნაშრომში მიმოხილულია დეპრესიის გამოვლინება გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის დროს და მისი დიაგნოსტიკა აღნიშნული შკალების მეშვეობით. ასევე შემოთავაზებულია მათი უპირატესობები და შეზღუდვები.

თამარ ებანოიძე¹, გიორგი დურგლიშვილი¹, ლელა ბერიძე², ნინო გრძელიძე³

ქრონიკული ჩირქოვანი ჰიდრადენიტის მკურნალობა (კლინიკური შემთხვევა)

¹კანისა და ვენ.სნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი; ²ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო; ³დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.18>

TAMAR EBANOIDZE¹, GIORGI DURGLISHVILI¹, LELA BERIDZE², NINO GRDZELIDZE³

TREATMENT OF CHRONIC PURULENT HIDRADENITIS (CLINICAL CASE)

¹National center of Dermatology and Venereology; ²Batumi Republic Clinical Hospital;

³National Center of Disease Control, Georgia

SUMMARY

Hidradenitis suppurativa is a chronic, recurrent disease associated with inflammation of the apocrine sweat glands. The inflammatory process in the apocrine sweat glands spreads from the hair follicle and develops mainly in the armpits, in the groin area, around the nipple and the anus. The treatment of the disease depends on the stage. The goal of treating hidradenitis suppurativa is to prevent new lesions, reduce inflammation, and remove holes and pits. The purpose of our observation was to evaluate the use of isotretinoin in the treatment of chronic suppurative hidradenitis. For hidradenitis suppurativa, we chose isotretinoin in the ratio of 0.5 mg/kg of the body weight in 2 doses, which was 20 mg twice daily for 4 months or until full improvement. Our observation showed that isotretinoin is successfully used in the treatment of chronic suppurative hidradenitis as an alternative remedy.

Keywords: Hidradenitis, chronic, treatment, Isotretinoin

ჩირქოვანი ჰიდრადენიტი ქრონიკული, მორეციდივე დაავადებაა, რომელიც დაკავშირებულია აპოკრინული საოფლე ჯირკვლების ანთებასთან. ანთებადი პროცესი აპოკრინულ საოფლე ჯირკვლებში ვრცელდება თმის ფოლიკულიდან, რომელიც ზიანდება პირველად [1]. დაავადებისათვის დამახასიათებელია მტკივნეული, დერმაში ღრმად განლაგებული კვანძები, კისტები, სავალები, ნაწიბურები, ძირითადად აპოკრინული საოფლე ჯირკვლების განლაგების ადგილებზე (ილიის ფოსო, საზარდულის არე, ანოგენიტალური მიდამოები). დაავადება იშვიათია, გვხვდება 1-4% მოსახლეობაში, ორივე სქესში თანაბრად, ძირითადად იწყება სქესობრივი მომწიფების შემდეგ. შეიძლება ოჯახური შემთხვევებიც (აუტოსომურ-დომინანტური ტიპის), თუმცა ჯერჯერობით რელევანტური გენი არ გამოვლენილა. დაავადების დიაგნოზი ისმევა კლინიკურად. მკურნალობა დამოკიდებულია დაავადების სტადიაზე [3].

Hurley-ს მიხედვით სტადიის განსაზღვრა ასახავს დაავადების სიმძიმეს:

- I სტადია: ერთი ან რამოდენიმე ჩირქმბადის ფორმირება სავალებისა და ნაწიბურების გარეშე
- II სტადია: ერთი ან რამოდენიმე ერთმანეთისაგან შორს განლაგებული მორეციდივე ჩირქმბადი, რომლებიც წარმოქმნიან ხვრელებსა და სავალებს ან ნაწიბურებს.
- III სტადია: დიფუზური ან თითქმის დიფუზური განშტოებები ან რამდენიმე ერთმანეთთან გაერთიანებული ხვრელები და სავალები და ჩირქმბადები დაზიანების ზონაში [1].

მკურნალობა ითვალისწინებს: კისტოზური აბსცესების გახსნა/დრენირებას, მცირე კისტების კერებში ტრიაიმცინოლონ აცეტონიდის ინექციებს, სხეულის მასის კორექციას, თავისუფალი ტანსაცმლის ტარებას (ოკლუზიის თავიდან ასაცილებლად), თამბაქოს მოხმარების შეწყვეტას. სამკურნალოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას: 1. სისტემური ანტიბიოტიკების ხანგრძლივი კურსი: **ტეტრაციკლინი, ერითრომიცინი, დოქსიციკლინი**. 2. მეორე რიგის ანტიბიოტიკები: **ტრიმეტოპრიმ/სულფამეტოქსაზოლი მეტრონიდაზოლი, კლინდამიცინი** 3. ზოგჯერ ეფექტურია **ორალური კონტრაცეპტივები** (მენსტრუაციის დროს). 4. სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის ბლოკატორი - ინფლიქსიმაბი, ეტანერცეპტი და ადალიმუმაბი - ეფექტურია ზოგიერთ შემთხვევაში. 5. ერთეულ შემთხვევებში აღწერილია აგრეთვე ეფექტი დაფსონით, თუთიის გლუკონატით და ანტიანდროგენული პრეპარატებით მკურნალობისას. 6. შეიძლება ეფექტური იყოს თმის მოცილება ლაზერით. 7. ზოგიერთი შემთხვევების დროს ეფექტურია რეტინოიდები (**იზოტრეტინოინი - 0,25-0,4მგ/კგ/ დღეში 2 ჯერ 20 კვირა**) [2].

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჩირქოვანი ჰიდრადენიტის მკურნალობის კურსის შერჩევა, რომელიც გამოიწვევდა ახალი დაზიანებების აღმოფხვრას, ანთების შემცირებას და სავალეების მოცილებას.

მასალა და მეთოდები. ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 32 წლის მამაკაცი (ჭარბწონიანი), 14 წლიანი ანამნეზით, Hurley-ის მიხედვით ქრონიკული ჰიდრადენიტის მე-3 სტადიის დიაგნოზით. ოჯახური ანამნეზის გარეშე, რომელიც პერიოდულად მკურნალობდა ანტიბიოტიკით და მუდმივად ქირურგიული ჩარევით. დაზიანება მოიცავდა აპოკრინული საოფლე ჯირკვლების განლაგების თითქმის ყველა არეს, ორმაგი და სამმაგი შავი კომედონები, ვარდისფერი/წითელი კვანძები-ცენტრალური ნეკროზის გარეშე, დერმის ღრმა ანთება - მტკივნეული, მრავლობითი სავალეები, მრავლობითი ფოლიკულური პაპულები და პუსტულები, მრავლობითი ეპიდერმალური კისტები, მრავლობითი მკვრივი ნაწიბურები. პაციენტს ჩატარებული ჰქონდა კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი - N, ჰელიკობაქტერია პილორის - დადებითი, გასტრო-ენტეროლოგის კონსულტაცია (კრონის დაავადება) - არ ჩაუტარებია, დერმატოლოგის კონსულტაცია. დიაგნოზი დაისვა კლინიკურად, ჩირქოვანი ჰიდრადენიტი - მე-3 სტადია. ჩირქოვანი ჰიდრადენიტის სამკურნალოდ ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა იზოტრეტინოინი 0,5მგ/კგ წონაზე გათვლით 2 მიღებაზე, რაც წარმოადგენდა 20მგ 2 ჯერ დღეში, 4 თვის განმავლობაში, ან გაუმჯობესების მიღწევამდე.

მიღებული შედეგები და მათი განსჯა: 3 თვის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა: ანთებადი კვანძები შემცირდა რაოდენობრივად და ზომაში, შავი კომედონები გაქრა, კანის ფერი შეიცვალა, ნაწიბურები დარბილდა, ფოლიკულიტები შემცირდა/გაქრა, ჩირქოვანი ინფილტაცია შემცირდა/დარბილდა. ამის შემდეგ პაციენტი დარჩა შემანარჩუნებელ მკურნალობაზე დოზის შემცირებით და მისი მდგომარეობა რამოდენიმე თვეა რაც სტაბილურია.

მკურნალობის შედეგი. ამგვარად, იზოტრეტინოინი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ქრონიკული ჩირქოვანი ჰიდრადენიტის მკურნალობაში, როგორც ალტერნატიული საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. [Jonette E. Keri MD, PhD, University of Miami, Miller School of Medicine. 2022](#)
2. Thomas P Habif. Skin disease Diagnosis and treatment. 2016
3. Burova SA, Borodulina KS. Hydradenitis suppurativa: issues of pathogenesis, rating scales, treatment. Overview (part 2) Klinicheskaya Dermatologiya i Venerologiya. 2019;18(3):265-269.

თამარ ებანიძე¹, გიორგი ღერვლიშვილი¹, ლელა ბერიძე², ნინო გრძელიძე³

ქრონიკული ჩირქოვანი ჰიდრადენიტის მკურნალობა (კლინიკური შემთხვევა)

¹კანისა და ვენ.სნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი; ²ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო; ³დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

რეზიუმე

ჩირქოვანი ჰიდრადენიტი ქრონიკული, მორეციდივე დაავადებაა, რომელიც დაკავშირებულია აპოკრინული საოფლე ჯირკვლების ანთებასთან. ანთებადი პროცესი აპოკრინულ საოფლე ჯირკვლებში ვრცელდება თმის ფოლიკულიდან, რომელიც ზიანდება პირველად. დაავადების მკურნალობა დამოკიდებულია სტადიაზე. ჩირქოვანი ჰიდრადენიტის მკურნალობის მიზანია ახალი დაზიანებების პრევენცია, ანთების შემცირება. ჩვენი დაკვირვების მიზანი იყო იზოტრეტინოინის გამოყენების შეფასება ქრონიკული ჩირქოვანი ჰიდრადენიტის სამკურნალოდ. ჩირქოვანი ჰიდრადენიტისთვის ავირჩიეთ იზოტრეტინოინი 0,5 მგ/კგ სხეულის მასაზე 2 დოზით, რაც იყო 20 მგ ორჯერ დღეში, 4 თვის განმავლობაში ან სრულ გაუმჯობესებამდე. ჩვენმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ იზოტრეტინოინი წარმატებით შეიძლება გამოიყენებულ იქნას ქრონიკული ჩირქოვანი ჰიდრადენიტის სამკურნალოდ, როგორც ალტერნატიული საშუალება.



ნატო გორგაძე¹, ჯუმბერ უნგიადე¹, მანანა გიორგობიანი¹, ვერა ბაზიარი¹,
ხათუნა ლომაური², დავით კოჰელეტი³

დედის სისხლში ტყვიის დაბალი შემცველობის გავლენა ნაყოფზე ანტენატალურ და ინტრანატალურ პერიოდში

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახ. უნივერსიტეტი, ²თსსუ პედიატრიის N1 დეპარტამენტი,
³თელ-ავივის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.19>

*NATO GORGADZE¹, JUMBER UNGIADZE¹, MANANA GIORGOBIANI¹, VERA BAZIARI¹,
KHATUNA LOMAURI², DAVIT KOHELET³*

THE IMPACT OF EXPOSURE TO SMALL DOSES OF LEAD IN THE PRENATAL AND INTRANATAL PERIOD ON THE CHARACTERISTICS OF THE FETUS

¹David Aghmashenebeli University of Georgia, ²Tbilisi State Medical University, ³Tel Aviv University

SUMMARY

Among the most dangerous substances that have a negative impact on the human body, lead occupies the second place. It has no physiological importance in the human body and therefore it can accumulate over time, causing harmful long-term effects. It is especially dangerous for pregnant women, since previously stored lead is released into the blood during pregnancy, and has the capacity to freely pass through the placental barrier and harm the fetus. We studied the level of lead exposure in the prenatal and intranatal period and its effect on the characteristics of the fetus, newborn and placenta. Our data revealed differences in relation to gestation and gender, as well as the levels of lead in the blood when the effect was maximal.

Keywords: fetus, placenta, newborn, lead, impact

შესავალი. ყველასათვის ცნობილია მძიმე მეტალების უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ისინი შეიძლება მოხვდნენ ადამიანის ორგანიზმში საკვების, წყლის, ჰაერის ჩასუნთქვის გზით. მზარდი მტკიცებულებები არსებობს იმის თაობაზე, რომ საშვილოსნოსშიდა პერიოდში დედის სისხლში მძიმე მეტალების მცირე დოზებსაც კი შეუძლიათ მოახდინონ სერიოზული გავლენა ბავშვების ჯანმრთელობაზე, არამხოლოდ დაბადებისას, არამედ შემდგომშიც [25]. ტყვია წარმოადგენს კლასიკურ მძიმე მეტალს და გამოირჩევა ძალიან მაღალი მდგრადობით გარემოში [1]. ტერმინი მძიმე მეტალი მოიცავს მეტალისა და მეტალოიდების ჯგუფს, რომლებიც სისხლში ძალიან დაბალი კონცენტრაციის პირობების შემთხვევაში ხასიათდებიან ტოქსიური ეფექტებით. მათ გააჩნიათ შედარებით მაღალი სიმკვრივე და შხამიანი ბუნება [2]. მძიმე მეტალებად ითვლება ნივთიერებები, რომელთა ხვედრითი სიმკვრივე არის მეტი 5გ/სმ³-ზე. ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებისა და ტოქსიური ნივთიერებების რეგისტრაციის სააგენტომ პრიორიტეტულად საშიშ ნივთიერებებს შორის ტყვია წარმოადგინა მეორე ადგილზე (დარიშხანის შემდეგ) [13].

ტყვიას არ აქვს არანაირი ფიზიოლოგიური ფუნქცია ორგანიზმში, მისი მავნე ზეგავლენა კი გამოიხატება რეაქტიული რადიკალების ჩამოყალიბებაში, რომლებიც აზიანებენ უჯრედოვან სტრუქტურებს, მათ შორის დნმ-ს და უჯრედულ მემბრანებს [12]. დადგენილია, რომ სისხლში არსებული ტყვიის 99% შეკავშირებულია ერითროციტებთან, ხოლო დანარჩენი 1% არის შრატში ქსოვილებთან დიფუზიის ხარჯზე. შესუნთქული ტყვიის დაახლოებით 35-40% შეიწოვება ფილტვების საშუალებით, ხოლო 60% ხვდება სისხლში. ტყვია ხანგრძლივად აკუმულირდება ფრჩხილებსა და თმაში, ხოლო გამოიყოფა კუჭ-ნაწლავისა და თირკმლის გზით [11].

წარმოშობის მიხედვით შეიძლება იყოს ბუნებრივი, რასაც წარმოადგენს მაგალითად ვულკანური წარმოშობის ტყვია და ადამიანის მოქმედების შედეგად (პესტიციდების გამოყენება, მადანწარმოება და ა.შ). ტყვია, ისევე როგორც სხვა მძიმე მეტალები, ბუნებაში მაღალი მდგრადობის გამო განაპირობებს მის ადამიანზე ექსპოზიციის მაღალ რისკს. იგი ტოქსიურია არამარტო ნერვული სისტემის მიმართ, არამედ მოიცავს თირკმლებს, იმუნურ სისტემასა და რეპროდუქციულ სისტემას [5]. ამავდროულად, საინტერესოა, რომ ისეთი მძიმე მეტალი,

როგორცაა მანგანუმი, წარმოადგენს რა მნიშვნელოვან საკვებ ნივთიერებას, მისი შემცველობა ადამიანის ორგანიზმში მაღალ კონცენტრაციებში ასევე იწვევს ნეიროტოქსიურ ეფექტებს. როგორც წესი, მამაკაცებისა და ქალების ორგანიზმში სხვადასხვანაირად რეაგირებს დაბინძურებულ გარემო პირობებში, რაც პირველ რიგში აისახება ასევე ნერვულ სისტემაზეც [5].

უძველესი დროიდან, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში, ექიმებმა შეამჩნიეს კავშირი ტყვიასა და ნეიროკოგნიტურ დარღვევებს შორის. ისტორიულად საპას გამოყენება ღვინის დასატკობად უკავშირდება რომის იმპერიის დაცემას. მე-19 საუკუნის ბოლოსკენ მრეწველობის განვითარებასთან ერთად ტყვია უკვე წარმოადგენს პროფესიონალურ ტოქსინსაც [3]. დღეისათვის ცნობილია, რომ ბეთჰოვენის სიკვდილი ისტორიული წყაროების მიხედვით უკავშირდება ტყვიით მონამვლას. კერძოდ, მისი სხეული განიცდიდა ექიმის მიერ დანიშნული ტყვიის შემცველი პრეპარატის ზემოქმედების გვერდით ეფექტს. მის თმაში აღმოჩენილი იქნა დიდი რაოდენობით ტყვია [4].

ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში ტყვიის ენდოგენურ წყაროს წარმოადგენს დედის ჩონჩხი. განსაკუთრებით უხვი ტყვიის მობილიზაცია შეინიშნება ლაქტაციის პერიოდში, რაც განპირობებული შეიძლება იყოს კვების შედეგად კალციუმის არასაკმარისი მიწოდებით [9]. ადამიანის ნაყოფის სიჭანსაღე მთლიანად დამოკიდებულია პლაცენტაზე, რომელიც წარმოადგენს ფილტრს. პლაცენტა ამცირებს მავნე ნივთიერებების გატარებას და იცავს ნაყოფს, თუმცა იგი არ წარმოადგენს ბარიერს ტყვიისათვის. პლაცენტა არის შუალედური რგოლი გარემო ფაქტორებს, დედასა და ნაყოფს შორის. იგი ამაგრებს ნაყოფს დედის საშვილოსნოში და აკავშირებს მას დედის სისხლის მიმოქცევასთან [10]. ტყვია განსაკუთრებით ადვილად გადის პლაცენტაში. ცნობილია, რომ ორსულის სისხლში დარიშხანის, მანგანუმის და ტყვიის ხანგრძლივი ექსპოზიცია აქვეითებს ნაყოფის ზრდას, მაღლა სწევს ნეონატალური სიკვდილიანობის რისკს და განსაზღვრავს ჩვილ და მოზრდილ ბავშვთა ავადობას [7]. ნაყოფი აწარმოებს 1.25 დიჰიდროქსივიტამინ D-ს. იგი აკონტროლებს კალციუმის ტრანსპორტს პლაცენტაში. მისი აქტიურობა განსაკუთრებით მაღალია მესამე ტრიმესტრში, რაც წარმოადგენს კრიტიკულ პერიოდს ნერვული სტრუქტურების განვითარების, სინაპტოგენეზის, თავის ტვინის ზრდისთვის. სინაპსური სტრუქტურების და ნეიროტრანსმიტერების ბლოკირება შეიძლება მოხდეს ტყვიის მიერ [6]. გასათვალისწინებელია, რომ დედის ასაკი და ნუტრიციოლოგიური სტატუსი ძალიან მნიშვნელოვანია და გავლენას ახდენს დედის ორგანიზმში არსებული ტყვიის მობილიზაციაზე, როგორც ენდოგენურ წყაროზე [24].

აპგარის სკალა წარმოადგენს უნივერსალურ მეთოდს ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად [15]. მიკვლეული იქნა, რომ სიცოცხლის 1,5,10-ე წუთზე აპგარის შეფასებები (7-9) ბავშვებში, რომლებსაც არ აღენიშნებათ განვითარების ანომალია, კავშირშია ბავშვთა ავადობის რისკთან [16]. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სისხლში ტყვიის შემცველობა რიგი ღონისძიებების მიღების შედეგად რჩება შემცირებულად, საკითხის აქტუალობას ხელს უწყობს ის, რომ იგი არის კუმულაციური მეტალი, გროვდება ჩონჩხში და ისეთი ფიზიოლოგიური სტრესის დროს, როგორცაა ორსულობა, მობილიზდება სისხლისაკენ. ტყვიის შემცველობა ჭიპლარის სისხლში თითქმის იდენტურია მშობიარობის პერიოდში დედასა და პლაცენტაში ტყვიის მაჩვენებელთან [17].

არსებობს ბევრი ეპიდემიოლოგიური კვლევა, რომლებიც ურთიერთსაინანაღმდებო ინფორმაციას იძლევა ტყვიის პრენატალურ ექსპოზიციასა და ნაყოფის ზრდის შეფერხებას შორის [18,19,20,21]. თუმცა, საერთო ჯამში, მაინც ტყვიის ზეგავლენასთან არის დაკავშირებული დაბადებისას ანთროპომეტრული მონაცემების დაქვეითება [22]. ტყვიის ზეგავლენა ნაყოფის ზრდაზე არის მრავალმხრივი, იგი აქვეითებს დედის ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის კონცენტრაციას, რაც მნიშვნელოვნად არღვევს ნაყოფის ზრდის ტრაექტორიას. ტყვია აქვეითებს იმ ფერმენტების აქტივობას, რომლებიც მონაწილეობენ როგორც ჰემის წარმოქმნაში, ასევე მონაწილეობენ D ვიტამინის სინთეზში. D ვიტამინი კი თავის მხრივ არეგულირებს კალციუმის მეტაბოლიზმს. მოქმედებს რა ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზარულ ღერძზე ტყვია ასევე ანელებს ზრდას [14]. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ტყვიის სისხლში კონტროლის ქვეყნებში ეს ეფექტები შეიძლება არაძლიერად იყოს გამოხატული. საინტერესოა ისეთი მონაცემები, სადაც არ ხდება ტყვიის მაჩვენებლის კონტროლი ორსულის სისხლში [23]. რიგი კვლევების მიხედვითაც ტყვიის ზემოქმედების მიმართ გოგონები უფრო მგრძობიარენი არიან, ვიდრე ბიჭები. მონაცემები ტყვიის

დიფერენცირებულ გავლენაზე სქესთან მიმართებაში იმავე ავტორების მიხედვით არის ძალიან მწირი და საჭიროებს უფრო დეტალურად შესწავლას [8]. ჩვილობის ასაკში ტყვიის ექსპოზიციისას სქესსპეციფიური, დიფერენცირებული გავლენა გამოიკვეთა სიმაღლისა და წონის სიჩქარეზე 4-6 წლის გოგონებში, ხოლო ვაჟებში ეს ეფექტი აისახა თავის გარშემონეროლობაზე [9].


კვლევის მიზანი: შესწავლილ იქნას პრენატალურ და ინტრანატალურ პერიოდში ტყვიის მცირე დოზების ექსპოზიციის გავლენა ნაყოფის, ახალშობილისა და პლაცენტის მახასიათებლებზე.

მასალა და მეთოდები. გაანალიზდა/შეირჩა ბათუმის სამედიცინო ცენტრსა და შპს „ი.ბორჩაშვილის სახ. ჯანმრთელობის ცენტრ „მედინა“-ში დაბადებული ორივე სქესის ახალშობილთა ჩართვისა და გამორთვის კრიტერიუმები. სულ შესწავლილ იქნა 363 ორსულის და შესაბამისად ახალშობილის მონაცემები. ორსულთან სისხლში ტყვიის მაჩვენებელი განსაზღვრული იქნა პრენატალურად, პირველ, მეორე, მესამე ტრიმესტრში. განმეორებით სკრინინგის შემთხვევაში აღებული იქნა მაქსიმალური მაჩვენებელი. გამოკვლეული იქნა ტყვიის ზეგავლენა როგორც ანტენატალურ, ასევე ინტრა და პოსტნატალურ პერიოდზე. გამორიცხვის კრიტერიუმი იყო ყველა ის ორსული, სადაც სისხლში ტყვია არ იყო განსაზღვრული.


კვლევის დიზაინი: 1)Blood Lead Level Measurements, 2)apgar score, 3)Statistical Analysis: ინტერვალური მახასიათებლების (Length, Mass, Head, Ponderal, Pb-level) ანალიზისათვის გამოიყენებოდა ვარიაციული ანალიზის (One-way and factorial ANOVA), საკვლევი კოჰორტის სხვადასხვა სუბჯგუფები რანგული ცვლადების (Apgar Score, Gestational age) ანალიზისათვის გამოიყენებოდა არაპარამეტრული სტატისტიკის მეთოდები (Kruskal-Wallis), ANOVA - მრავლობითი შედარებებისათვის, Mann-Whitney U test - ორი ჯგუფის შედარებისათვის, χ^2 -კრიტერიუმი - კატეგორიულ და რანგულ მახასიათებელთა მოსალოდნელ და დამზერულ სისშირეთა ანალიზისათვის. მონაცემთა დამუშავებისა და შედეგების ვიზუალიზაციისათვის გამოყენებული იყო სტატისტიკური Soft - SPSS12.

შედეგები და მათი ანალიზი. სურათი 1-ზე წარმოდგენილია საკვლევი პოპულაციის სტრუქტურა გესტაციური ასაკის მიხედვით. ხოლო სურათი 2-ზე სხვადასხვა სქესის ახალშობილთა განაწილება დედის სისხლში ტყვიის შემცველობის ლოგარიტმის მიხედვით. (ლოგარიტმი იმიტომ აიღება, რომ სანყისი განაწილება ტყვიის დონეების მიხედვით ექსპონენციალურია, ხოლო სტატისტიკური მეთოდები ეფუძნება ნორმალურ (გაუსის) განაწილებას, ამიტომ მოხდა ლინეარიზაცია ლოგარიტმული გარდაქმნის საშუალებით).

სურათი 1. სხვადასხვა სქესის ახალშობილთა რაოდენობის განაწილება გესტაციური ასაკის მიხედვით



სურათი 2. სხვადასხვა სქესის ახალშობილთა განაწილება დედის სისხლში ტყვიის შემცველობის ლოგარითმის მიხედვით



ანალიზის პირველ ეტაპზე შეისწავლებოდა ახალშობილთა მახასიათებლებზე დედის სისხლში ტყვიის დონის გავლენა, სხვა ფაქტორების (სქესი, გესტაციური ასაკი, დედის ასაკი) გათვალისწინების გარეშე. ამ მიზნით საკვლევი კოჰორტა დაიყო სამ ჯგუფად, დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარითმის სამი დიაპაზონის მიხედვით (<1,6; 1,6-2,1;>2,1). (1,6 შეესაბამება 4,95 მკგ/დლ-ს)

ცხრილი 1 და ცხრილი 2-ში წარმოდგენილი შედეგები ცხადყოფს, რომ უშუალოდ ტყვიის ზემოქმედების ეფექტი არცერთი მახასიათებლის კოორდინატებში არ ვლინდება.

ცხრილი 1. დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარითმზე ორივე სქესის ახალშობილთა 1 და 5 წთ. აპგარის ქულის დამოკიდებულების სტატისტიკური სარწმუნოება

Kruskal-Wallis ANOVA by Ranks			
Value versus Ln (Pb)			
Value	N	H	p
Apgar Score 1min	354	0,687	0,709
Apgar Score 5min	354	0,146	0,536

ცხრილი 2. დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარითმზე ახალშობილთა ანთროპომეტრული მახასიათებლების დამოკიდებულების სტატისტიკური სარწმუნოება

Multivariate ANOVA		
Value versus Ln (Pb)		
Value	F	p
LENGTH	0.674	0.509
MASS	0.302	0.738
HEAD	0.732	0.481
PONDERAL	0.064	0.937
PLACENTA	0.282	0.754

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ტყვიის მცირე კონცენტრაციის ეფექტებისა, განხილული მახასიათებლები შესაძლებელია გაცილებით ძლიერად არიან დამოკიდებული სხვა ფაქტორებზეც, მაგალითად გესტაციურ ასაკზე, დედის ასაკზე და ნუტრიციოლოგიურ სტატუსზე. ამ პოზიციებიდან მოსალოდნელია, რომ ტყვიის ეფექტების მასკირება ხდებოდეს გაცილებით დიდი ამპლიტუდის ეფექტების ფონზე. ტყვიის ტოქსიური ეფექტები შესაძლებელია დამოკიდებული იყოს ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა დედის ნუტრიციოლოგიური სტატუსი. კერძოდ, ცილოვანი საკვების, ცხიმისა და კალციუმის დეფიციტმა შესაძლოა კიდევ მეტად გააღრმავონ ტყვიის ტოქსიურობა და მისი გვერდითი ეფექტები [26]. ტოქსიურ ეფექტად შეიძლება განვიხილოთ

ნადრევი მშობიარობა და დღენაკლი ბავშვის დაბადება, დაბადებისას მცირე მასა. ზემოქმედების მიზეზი შეიძლება იყოს როგორც მიმდინარე, ასევე წინა ექსპოზიციიდან შემორჩენილი ძვლის დეპოზი არსებული ტყვიის მარაგი, რომელიც გადადის დედის სისხლში და თავისუფლად ხვდება ნაყოფის სისხლში პლაცენტის გზით [27]. ცხრილი 3, ცხრილი 4 და სურათი 3-ზე წარმოდგენილია ახალშობილთა მახასიათებელთა დამოკიდებულება გესტაციურ ასაკზე.


ცხრილი 3. გესტაციურ ასაკზე ორივე სქესის ახალშობილთა 1 და 5 წთ. აპგარის ქულის დამოკიდებულების სტატისტიკური სარწმუნოება

<i>Kruskal-Wallis ANOVA by Ranks</i>		
<i>Value versus Gestational Age</i>		
<i>Value</i>	H	p
<i>Apgar Score 1min</i>	67,46	< 0,001
<i>Apgar Score 5min</i>	77,89	< 0,001

ცხრილი 4. გესტაციურ ასაკზე ახალშობილთა 1 და 5 წთ. აპგარის ქულის დამოკიდებულების სტატისტიკური სარწმუნოება

<i>Multivariate ANOVA</i>		
<i>Value versus Gestational Age</i>		
<i>Value</i>	F	p
<i>LENGTH</i>	126.2044	< 0,001
<i>MASS</i>	97.0353	< 0,001
<i>HEAD</i>	82.0725	< 0,001
<i>PONDERAL</i>	10.6997	< 0,001
<i>PLACENTA</i>	14.8436	< 0,001

სურათი 3. ახალშობილთა 1 და 5 წთ. აპგარის ქულის საშუალო მნიშვნელობის, სტანდარტული ცდომილებისა და 95% კონფიდენციალური ინტერვალის დამოკიდებულება გესტაციურ ასაკზე




როგორც ჩანს, ახალშობილთა ჯგუფები, რომელთა გესტაციური ასაკი მოქცეულია ღიაპაზონებში <=37 კვირა და 38-40 კვირა, სარწმუნოების მაღალი ხარისხით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (41 კვირის ახალშობილებში მახასიათებელთა გაუარესება ფიქსირდება, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს, როგორც ტყვიის, ასევე სხვა რაღაც ჩვენთვის უცნობ ფეფქტებთან, რომელთა იდენტიფიცირება და კვლევა ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგან მასალის რაოდენობა ძალიან მცირეა).

ამ შედეგების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ტყვიის ეფექტების შესწავლა გესტაციური ასაკის გათვალისწინებით. ცხრილი 5 და სურათი 4-ზე წარმოდგენილია ახალშობილებში აპგარის (1 და 5 წთ) ქულის დამოკიდებულება დედის სისხლში ტყვიის დონეზე გესტაციური ასაკის მიხედვით.

ცხრილი 5. გესტაციურ ასაკსა და დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარიტმზე ორივე სქესის ახალშობილთა 1 და 5 წთ. აპგარის ქულის დამოკიდებულების სტატისტიკური სარწმუნოება

Kruskal-Wallis ANOVA by Ranks			
Value versus Ln(Pb)			
Value	Gest_Age	H	p
Apgar Score 1 min	≤ 37	10,79	0,004
	38-40	1,98	0,370
Apgar Score 5 min	≤ 37	7,15	0,028
	38-40	1,270	0,529


სურათი 4. ორივე სქესის ახალშობილთა 1 და 5 წთ. აპგარის ქულის საშუალო მნიშვნელობის, სტანდარტული ცდომილებისა და 95% კონფიდენციალური ინტერვალის დამოკიდებულება გესტაციურ ასაკსა და დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარიტმზე.




როგორც გრაფიკიდან იკვეთება თუ გესტაციური ასაკი ≤37, აპგარის ქულის (1წთ) მკვეთრი, სტატისტიკურად სარწმუნო გაუარესება ფიქსირდება Ln(Pb) = 1,6-2,1 დიაპაზონში, Ln(Pb) > 2,1 დიაპაზონში აპგარის ქულა პრაქტიკულად არ იცვლება. თუ გესტაციური ასაკი 38-40 კვირის დიაპაზონშია, აპგარის ქულა საერთოდ არ არის დამოკიდებული ტყვიის კონცენტრაციაზე დედის სისხლში. მიზეზებად შეიძლება განვიხილოთ ის, რომ უკვე ნაადრევი მშობიარობა დედის სისხლში ტყვიის ექსპოზიციის შედეგად განვითარებული ეფექტია.

სურათი 5. ახალშობილთა 1 და 5 წთ. აპგარის ქულისა და დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარიტმის მიხედვით სიხშირეთა განაწილების 3D ჰისტოგრამები და მათ შორის დამოკიდებულების სტატისტიკური სარწმუნოება χ^2 კრიტერიუმის მიხედვით

გესტაციური ასაკი ≤37 კვირა
Apgar Score(1min) vs:Ln (Pb): $\chi^2 = 10,92$; $p = 0,004$



გესტაციური ასაკი 38-40 კვირა
Apgar Score(1min) vs:Ln (Pb): $\chi^2 = 4,22$; $p = 0,127$




მიღებული შედეგის გადასამოწმებლად გამოყენებული იქნა არაპარამეტრული სტატისტიკის, მეორე მეთოდი - მოსალოდნელ და დამზერილ სიხშირეებში სხვაობის სარწმუნოების შეფასება χ^2 კრიტერიუმის მიხედვით. გრაფიკების უკვე მხოლოდ ვიზუალური ანალიზი ცხადყოფს მიღებული შედეგების კორექტულობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონზომიერება ასავე ვლინდება მე-5ნთ-ზე აპგარის შემთხვევაშიც, თუმცა გადახრათა ამპლიტუდა უფრო მცირეა, რაც მიუთითებს უფრო მეტად ეფექტურ რეანიმაციულ ღონისძიებებზე, ვიდრე ახალშობილის ზოგად მდგომარეობაზე. რაც შეეხება სხვა მახასიათებლებს, აქ ტყვიის ზემოქმედებასთან ასოცირებული რაიმე სარწმუნო ეფექტები არ ფიქსირდება (ცხრილი 6 და სურათი 6).

ცხრილი 6. გესტაციური ასაკა და დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარითმზე ახალშობილთა ანთროპომეტრიული მახასიათებლების დამოკიდებულების სტატისტიკური სარწმუნოება

Multivariate ANOVA			
Value versus Ln(Pb)			
Value	Gest_Age	F	p
LENGTH	≤ 37	0.531	0.590
	38-40	0.575	0.562
MASS	≤ 37	2.715	0.0751
	38-40	0.421	0.656
HEAD	≤ 37	1.205	0.307
	38-40	0.500	0.606
PONDERAL	≤ 37	2.880	0.076
	38-40	1.356	0.259
PLACENTA	≤ 37	2.869	0.065
	38-40	0.822	0.440

სურათი 6. ახალშობილთა თავის გარშემოწერილობის დამოკიდებულება დედის სისხლში ტყვიის ლოგარითმზე, სხვადასხვა გესტაციური ასაკის ახალშობილთა ჯგუფებში.




განალიზებული იქნა სქესის ფაქტორის მნიშვნელობა ტყვიის ზემოქმედებასთან დაკავშირებული ეფექტების თვალსაზრისით, გამოვლენილია, რომ აპგარის ქულის ტყვიადამოკიდებული გაუარესება სარწმუნოდ ფიქსირდება მხოლოდ მდებარეობითი სქესის ახალშობილებში, რომელთა გესტაციური ასაკი ≤37 კვირაზე, მამრობითი სქესის ახალშობილებში ტყვიადამოკიდებული ცვლილება სტატისტიკურად სარწმუნო არ არის, თუმცა აპგარად იკვეთება გაუარესების ტენდენცია ტყვიის კონცენტრაციის 1,6-2,1 დიაპაზონში (ცხრილი 7, სურათი 7).

ცხრილი 7. ახალშობილთა აპგარის ქულის დამოკიდებულება დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარითმზე, სხვადასხვა გესტაციური ასაკისა და სქესის ახალშობილთა ჯგუფებში

Kruskal-Wallis ANOVA by Ranks Value versus Ln(Pb)				
Value	Gest_Age	Sex	H	p
Apgar Score 1 min	≤ 37	Male	3.889	0.103
		Female	7.587	0.022
	38-40	Male	2.130	0.344
		Female	0.390	0.822
Apgar Score 5 min	≤ 37	Male	2.952	0.228
		Female	5.537	0.052
	38-40	Male	1.785	0.409
		Female	0.334	0.846

სურათი 7. ახალშობილთა აპგარის ქულის დამოკიდებულება დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარითმზე, სხვადასხვა გესტაციური ასაკისა და სქესის ახალშობილთა ჯგუფებში



საკითხის დასაბუთებლად, დედის სისხლში, ტყვიის დონის ცალკეული დიაპაზონისათვის, შედარდა აპგარის ქულებში განსხვავების სტატისტიკური სარწმუნოება მამრობით და მდედრობითი სქესის ახალშობილებში, უიტნი-მანის U - ტესტის საშუალებით. როგორც ცხრილი 8-დან იკვეთება, მამრობით და მდედრობით ახალშობილებში სხვაობა აპგარის ქულებში სტატისტიკური სარწმუნოებისაგან ძალიან შორსაა, რის საფუძველზეც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესწავლილ კოჰორტაში ტყვიისადმი მგრძობელობაში სქესობრივი ფაქტორი უმნიშვნელოა, ხოლო გამოვლენილი სხვაობა მხოლოდ კოჰორტის არასაკმარის სიმძლავრეს უკავშირდება.

ცხრილი 8. მამრობითი და მდედრობითი სქესის ახალშობილების აპგარის ქულებში განსხვავების სარწმუნოების დამოკიდებულება დედის სისხლში ტყვიის შემცველობის დონესა და გესტაციურ ასაკზე

Mann-Whitney U Test				
Value	Gest_Age	Ln(Pb)	U	p
Apgar Score 1 min	≤ 37	≤1,6	91	0.765
		1,6-2,1	30	0.468
		>2,1	111	0.395
	38-40	≤1,6	1289.5	0.572
		1,6-2,1	302	0.671
		>2,1	1424.5	0.950
Apgar Score 5 min	≤ 37	≤1,6	95.5	0.926
		1,6-2,1	36	0.856
		>2,1	93	0.133
	38-40	≤1,6	1264	0.466
		1,6-2,1	278	0.380
		>2,1	1378.5	0.773

სხვა მახასიათებლების მიმართ სარწმუნო ეფექტები არ ფიქსირდება, რაც მიუთითებს აღნიშნულ მახასიათებელთა არაეფექტურობაზე ტყვიის ზემოქმედების ეფექტების დეტექციის თვალსაზრისით. ყველა შემთხვევაში, დედის ორგანიზმში წარმოადგენს ნაყოფისათვის ტყვიის ენდოგენურ წყაროს. მიკვლეულია, რომ პლაცენტაში თავისუფალი გადასვლის შედეგად, ნაყოფის მიერ დედის სისხლიდან ტყვიის ათვისება ხდება გესტაციის მე-12 კვირიდან დაბადებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ორსულს შეიძლება არც ჰქონდეს რაიმე კლინიკური გამოვლინება და ჩივილი, ტყვიის ზეგავლენა ყველა შემთხვევაში აისახება განვითარებად ნაყოფის შემდგომ ჯანმრთელობაზე [28].

ცხრილი 9. ახალშობილთა ანთროპომეტრული მახასიათებელთა დამოკიდებულება დედის სისხლში ტყვიის დონის ლოგარითმზე, სხვადასხვა გესტაციური ასაკისა და სქესის ახალშობილთა ჯგუფებში

<i>Multivariate ANOVA</i>				
<i>Value</i>	<i>Gest_Age</i>	<i>Sex</i>	<i>F</i>	<i>p</i>
<i>LENGTH</i>	≤ 37	Male	0.0746	0.928
		Female	1.172	0.327
	38-40	Male	1.799	0.169
		Female	0.597	0.551
<i>MASS</i>	≤ 37	Male	0.884	0.424
		Female	2.776	0.083
	38-40	Male	1.182	0.309
		Female	0.516	0.597
<i>HEAD</i>	≤ 37	Male	2.223	0.127
		Female	3.858	0.035
	38-40	Male	1.888	0.155
		Female	0.143	0.866
<i>PONDERAL</i>	≤ 37	Male	1.627	0.2145
		Female	2.181	0.135
	38-40	Male	1.221	0.298
		Female	0.244	0.783
<i>PLACENTA</i>	≤ 37	Male	1.391	0.265
		Female	1.805	0.186
	38-40	Male	0.501	0.606
		Female	2.358	0.098

დასკვნა. შესწავლილია დედის სისხლში ტყვიის დონის გავლენა ახალშობილთა რიგ მახასიათებლებზე; გესტაციური ასაკისა და ახალშობილის სქესის გავლენა ტყვიის ზემოქმედებისადმი მგრძობელობაზე. გამოვლენილია, რომ შესწავლილი პარამეტრებიდან ინფორმატიულ პარამეტრს წარმოადგენს აპგარის ქულა, ამასთანავე აღსანიშნავია გესტაციადამოკიდებული და სქესადამოკიდებული სპეციფიკა. 37 კვირამდე ახალშობილებში 1წთ-ზე აპგარის ქულა უფრო მგრძობიარე მახასიათებელია გოგონებთან მიმართებაში ტყვიის ზემოქმედების ეფექტის გამოვლენის თვალსაზრისით, ვიდრე 5 წთ აპგარი.

მივაკვლიეთ, რომ ახალშობილის ტყვიის ზემოქმედებისადმი მგრძობელობა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია გესტაციურ ასაკზე, კერძოდ, 37 კვირის გესტაციის ასაკის ახალშობილებში სარწმუნოების ძალიან მაღალი ხარისხით იკვეთება აპგარის ქულის გაუარესება, აღსანიშნავია ეფექტის არანრთივი ხასიათი - მკვეთრი გაუარესება აღინიშნება $Ln(Pb)=1,6$ მნიშვნელობიდან (შეესაბამება 4,95 [მკგ/დლ] ტყვიის კონცენტრაციას), ხოლო დაახლოებით 8-9 [მკგ/დლ] პრაქტიკულად აღარ იცვლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mitra, P., Sharma, S., Purohit, P., & Sharma, P. (2017). Clinical and molecular aspects of lead toxicity: An update. *Critical reviews in clinical laboratory sciences*, 54(7-8), 506-528.

2. Collin, M. S., kumar Venkataraman, S., Vijayakumar, N., Kanimozhi, V., Arbaaz, S. M., Stacey, R. S., & Swamiappan, S. (2022). Bioaccumulation of lead (Pb) and its effects on human: A review. *Journal of Hazardous Materials Advances*, 100094.
3. Halmo, L., & Nappe, T. M. (2019). Lead toxicity. PMID: 31082141.
4. Ara A, Usmani JA. Lead toxicity: a review. *Interdisciplinary toxicology*. 2015 Jun;8(2):55-6.
5. Gade, M., Comfort, N., & Re, D. B. (2021). Sex-specific neurotoxic effects of heavy metal pollutants: Epidemiological, experimental evidence and candidate mechanisms. *Environmental research*, 201, 111558.
6. Rísová, V. (2019). The pathway of lead through the mother's body to the child. *Interdiscipl Toxicology*, 12(1):1-6.
7. Gilbert-Diamond, D., Emond, J. A., Baker, E. R., Korrick, S. A., & Karagas, M. R. (2016). Relation between in utero arsenic exposure and birth outcomes in a cohort of mothers and their newborns from New Hampshire. *Environmental health perspectives*, 124(8):1299-1307.
8. Signes-Pastor, A. J., Doherty, B. T., Romano, M. E., Gleason, K. M., Gui, J., Baker, E., & Karagas, M. R. (2019). Prenatal exposure to metal mixture and sex-specific birth outcomes in the New Hampshire Birth Cohort Study. *Environ Epidemiol*. 3(5): e068.
9. Ahmadi, S., Botton, J., Zoumenou, R., Ayotte, P., Fievet, N., Massougbdji, A., & Bodeau-Livinec, F. (2022). Lead exposure in infancy and subsequent growth in Beninese children. *Toxics*, 10(10):595.
10. Molina-Mesa, S., Martínez-Cendán, J. P., Moyano-Rubiales, D., Cubillas-Rodríguez, I., Molina-García, J., & González-Mesa, E. (2022). Detection of Relevant Heavy Metal Concentrations in Human Placental Tissue: Relationship between the Concentrations of Hg, As, Pb and Cd and the Diet of the Pregnant Woman. *International Journal of Environmental Research and Public Health*, 19(22):14731.
11. Hosseini G, Hanaie J, Ostadi A, Valipor J, Hamidi A, Ghanbarzadeh S. A Rapid Mercury Droplet Electrode Polarography Method for Determination of Blood Lead Level in Lead Poisoned People. *Drug Research*. 2021 Apr;71(04):193-8.
12. Ara A, Usmani JA. Lead toxicity: a review. *Interdisciplinary toxicology*. 2015 Jun;8(2):55-64.
13. <https://www.atsdr.cdc.gov/spl/>
14. Renzetti S, Just AC, Burris HH, Oken E, Amarasiriwardena C, Svensson K, Mercado-García A, Cantoral A, Schnaas L, Baccarelli AA, Wright RO. The association of lead exposure during pregnancy and childhood anthropometry in the Mexican PROGRESS cohort. *Environmental research*. 2017 Jan 1;152:226-32.
15. American Academy of Pediatrics. American academy of pediatrics committee on fetus and newborn, American college of obstetricians and gynecologists committee on obstetric practice. The Apgar Score. *Pediatrics*. 2015;136(4):819-22.
16. Razaz N, Cnattingius S, Joseph KS. Association between Apgar scores of 7 to 9 and neonatal mortality and morbidity: populationbased cohort study of term infants in Sweden. *bmj*. 2019 May 7;365.
17. Stojšavljević A, Perović M, Nešić A, Miković Ž, Manojlović D. Levels of non-essential trace metals and their impact on placental health: a review. *Environmental Science and Pollution Research*. 2022 Jun;29(29):43662-74.
18. Burris HH, Collins Jr JW, Wright RO. Racial/ethnic disparities in preterm birth: clues from environmental exposures. *Current opinion in pediatrics*. 2011 Apr;23(2):227.
19. Cantonwine D, Hu H, Téllez-Rojo MM, Sánchez BN, Lamadrid-Figueroa H, Ettinger AS, Mercado-García A, Hernández-Avila M, Wright RO. HFE gene variants modify the association between maternal lead burden and infant birthweight: a prospective birth cohort study in Mexico City, Mexico. *Environmental Health*. 2010 Dec; 9:1-9.
20. Gonzalez-Cossio T, Peterson KE, Sanin LH, Fishbein E, Palazuelos E, Aro A. Decrease in birth weight in relation to maternal bone-lead burden. *Pediatr* 100: 856-62.
21. Zhang B, Xia W, Li Y, Bassig BA, Zhou A, Wang Y, Li Z, Yao Y, Hu J, Du X, Zhou Y. Prenatal exposure to lead in relation to risk of preterm low birth weight: A matched case-control study in China. *Reproductive Toxicology*. 2015 Nov 1; 57:190-5.
22. Abadin H, Ashizawa A, Lladós F, Stevens YW. Toxicological profile for lead. 2007. PMID: 24049859.

23. Gleason KM, Valeri L, Shankar AH, Hasan MO, Quamruzzaman Q, Rodrigues EG, Christiani DC, Wright RO, Bellinger DC, Mazumdar M. Stunting is associated with blood lead concentration among Bangladeshi children aged 2-3 years. *Environmental Health*. 2016 Dec;15(1):1-9.
24. Silbergeld EK. Lead in bone: implications for toxicology during pregnancy and lactation. *Environmental health perspectives*. 1991 Feb;91:63-70.
25. Davis, M. A., Li, Z., Gilbert-Diamond, D., Mackenzie, T. A., Cottingham, K. L., Jackson, B. P.,... & Karagas, M. R. (2014). Infant toenails as a biomarker of in utero arsenic exposure. *Journal of exposure science & environmental epidemiology*, 24(5), 467-473.
26. Levander OA. Lead toxicity and nutritional deficiencies. *Environmental health perspectives*. 1979 Apr;29:115-25.
27. Papanikolaou NC, Hatzidaki EG, Belivanis S, Tzanakakis GN, Tsatsakis AM. Lead toxicity update. A brief review. *Medical science monitor*. 2005 Oct 1;11(10):RA329.
28. Vorvolakos, T., Arseniou, S., & Samakouri, M. (2016). There is no safe threshold for lead exposure: A literature review. *Psychiatriki*, 27(3), 204-214.

*ნატო გორგაძე¹, ჯუმბერ უნგიაძე¹, მანანა გიორგობიანი¹, ვერა ბაზიარი¹,
ხათუნა ლომაური², დავით კოჭელაძე³*

**დედის სისხლში ტყვიის დაბალი შემცველობის გავლენა ნაყოფზე ანტენატალურ და
ინტრანატალურ პერიოდში**

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახ. უნივერსიტეტი, ²თსსუ პედიატრიის N1 დეპარტამენტი,
³თელ-ავივის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი

რეზიუმე

ტყვია დღესდღეობით მეორე ადგილზეა პრიორიტეტულად საშიშ ნივთიერებებს შორის. მას არ აქვს ფიზიოლოგიური ფუნქცია ორგანიზმში. არის რა კუმულაციური მეტალი, ორგანიზმში განიცდის მის ხანგრძლივ ექსპოზიციას. მინიმალურ დოზებსაც კი შეუძლია გავლენა იქონიოს ადამიანის ორგანიზმზე. განსაკუთრებით საშიშია ორსულთათვის და ახალშობილებისათვის, ვინაიდან ორსულობისას მატულობს დედის სისხლში მისი კონცენტრაცია. იგი თავისუფლად გადის პლაცენტარულ ბარიერს და ზემოქმედებს ნაყოფზე. ჩვენ შევისწავლეთ პრენატალურ და ინტრანატალურ პერიოდში ტყვიის ექსპოზიციის მცირე დოზების გავლენა ნაყოფის, ახალშობილის და პლაცენტის მახასიათებლებზე. გამოიკვეთა სქესთან მიმართებაში დიფერენცირებული ეფექტი, ასევე სისხლში ტყვიის გარკვეული დიაპაზონი, როცა ეფექტი იყო მაქსიმალური.



MARINA NIKOLAISVILI ^{1,2}, ZAQARIA NANOBASHVILI ¹, NODAR MITAGVARIA ¹, GVANTSA CHKADUA ¹, IRINA BILANISHVILI ^{1,2}, EKA NOZADZE ¹, GOGI JIKIA ^{1,3}, TEA MUSELIANI ⁴, KHATUNA DONDOLADZE ¹

EFFECTS OF INHALATION OF LOW DOSES OF RADON IN THE KRUSHINSKY-MOLODKINA RAT STRAIN AND STUDY OF VARIOUS BEHAVIORAL CHARACTERISTICS

¹Beritashvili Center of Experimental Biomedicine. ²Robakidze University,

³David Aghmashenebeli University Of Georgia, ⁴European University

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.20>

მარინა ნიკოლაიშვილი ^{1,2}, ზაქარია ნანობაშვილი ¹, ნოდარ მითაგვარია ¹, გვანცა ჭკადუა ¹, ირინა ბილანიშვილი ^{1,2}, ეკა ნოზაძე ¹, გოგი ჯიქია ^{1,3}, თეა მუსელიანი ⁴, ხათუნა დონდოლაძე ¹
რაღონის დაბალი დოზების ინჰალაციის ეფექტი კრუშინსკი-მულოდკინას ვირთხებში და სხვადასხვა ქცევითი მახასიათებლის შესწავლა

¹ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, ²რობაკიძის უნივერსიტეტი, ³საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ⁴ევროპის უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბალნეოთერაპიაში რაღონის ეფექტის შესასწავლად ექსპერიმენტულ ცხოველთა ჯგუფმა (მრავალჯერადი დაბალი დოზები გამოიყენეს KM და ეპილეფსიურ ვირთხებში) გაიარა რაღონის ინჰალაციის პროცედურა წყალტუბოს მინერალური წყლის აუზში, დღეში ერთხელ, 20 წთ-ის განმავლობაში, 10 დღე. საკონტროლო ჯგუფების ცხოველებში რაღონით ინჰალაცია არ იყო გამოყენებული.

წყალტუბოს მინერალური წყლით რაღონის ინჰალაციის თერაპიის შემდეგ დაფიქსირდა ეპილეფსიური კრუნჩხვების არარსებობა ან შემცირება.

კვლევამ აჩვენა, რომ წყალტუბოს მინერალური წყლის რაღონის ინჰალაცია იწვევს ჰორმონებს, მცირდება ან არ ფიქსირდება ეპილეფსიური კრუნჩხვები. შედეგი სტაბილური იყო 6-12 თვის განმავლობაში. სტაბილიზაციამ დადებითად იმოქმედა ოქსიდაციური სტრესის დონეზე, Na/K-ATF ეპილეფსიურ ვირთხებში. ჩვენი ექსპერიმენტის შედეგი გვაძლევს სტიმულს, გავაგრძელოთ მომავალი კვლევები, რათა ვიპოვოთ უფრო სპეციფიკური ნეიროქიმიური მექანიზმები რაღონის ჰორმონის პროცესებში.

INTRODUCTION: Recently, increased attention has been paid to hormesis in the treatment of age-related neurodegenerative diseases. The concept of hormesis refers to the biphasic phenomenon of dose-response, when low doses of the drug or stress have a protective beneficial effect, and high doses have harmful or toxic effects. It has been shown that neuro-hormesis, as an adaptive aspect of the hormonal response of neurons to a dose, slows down the onset of neurodegenerative diseases and reduces damage caused by aging, stroke, and traumatic brain injury. It was also observed that hormesis modulates anxiety, stress, pain, and severity of seizures. Neuro-hormesis can be considered a potentially innovative approach in the treatment of neurodegenerative and other neurological diseases. Studies have shown that hormesis mechanisms can prevent or improve neurodegenerative pathogenesis in animal models of epilepsy, Alzheimer's, and Parkinson's diseases. Moreover, hormesis activity at low doses of radiation and radon was evaluated in other neurological disorders, such as autism and Huntington's disease.

In this review, the neuro-hormetic concept of radon "dose-response" and possible mechanisms of neuroprotection for memory improvement in epileptic rats are discussed. The aim of this work was to study certain behavioral characteristics of the KM rat strain. Basic aspects of memory and learning mechanisms and to see the influence of hormetic effects of radon on some disorders of brain neurotransmitter systems. Specifically, the hormetic effect of radon on positive and negative behavioral stimuli 6 months after inhalation.

We also studied changes in oxidative stress markers (SH group), Na/K ATPase Activity, and animal behavior in response to both positive and negative stimuli before radon therapy and 6 months after radon inhalation. Activation of antioxidant functions during inhalation of radon plays a decisive role in alleviating inflammation and pain [4].

The uniqueness and novelty of the research lie in the study of the effect of radon inhalation on experimental models of epilepsy in the localization of epileptic foci in the hippocampus (audiogenic staining of rats according to Krushinsky-Molodkina (KM)). We chose inhalation because it is a more direct method of radon application, although this is quite an advantage because we were able to reduce the dose of radon measurement, which was in the therapeutic range of 1 NC, 37 bq [2,3,6,11]. We decided to study the effects of radon inhalation on oxidative stress, namely changes in oxidative markers in both serum and brain. (SH group), NA/K ATPase Activity, and behavioral responses of animals to both positive and negative stimuli before radon therapy and 6 months after radon inhalation.

MATERIALS AND METHODS. Rats with a body mass of 200 - 250 g were placed under standard laboratory conditions with a “12 h light – 12 h dark” cycle, constant temperature of $22^{\circ}\text{C} \pm 2^{\circ}\text{C}$, and water and food ad libitum. Animal care and handling throughout the experimental procedures were in accordance with the European Community Council Directive of 24 November 1986 (86/609/EEC). Use of the animals in the experiments, animal care, and post-experimental euthanasia were performed in strict adherence to the officially adopted rules for animal use and care in biological laboratories [10]. Animals: for our experiment, we used 24-month Krushinsky-Molodkina (KM) male rats. They are predisposed to audiogenic epilepsy (seizures in response to a strong sound). Rapid (5-7 sec.) development of clonic-tonic seizures and the development of postictal catalepsy are characteristic of KM rats [12-14, 19].

Epileptic seizures: Genetically seizure-determined the Krushinsky-Molodkina (KM) rats were placed in an audiogenic stimulation chamber. The chamber represented a 60×60×60 cm plexiglass box, with a standard wall bell attached to the upper part. The animal was in the chamber and an audiogenic stimulus was delivered to it. A high pitch sound stimulus was presented to rats (bell intensity 110 dB, time 60 sec), in response to which they developed seizure reactions. Motor components of seizure activity were estimated by a slightly modified Jobe [8] scale: 0 - fear reaction; 1 - facial muscle clonus; 2 - head tremble, jaw myoclonus; 3 - wild run, forepaw myoclonus; 4 - myoclonus of fore- and hind paws, fall on a side; 5 - clonus of the four paws, skeletal muscle rigidity, ataxia, asphyxia. The mentioned KM rats fall into two sub-strains: a) animals, which, in response to a high pitch sound stimulus, develop fear reaction and facial muscle clonus - conventionally referred to as the first sub-strain, and b) animals developing fear and wild run to sound stimulus followed by clonic-tonic behavioral seizures - conventionally referred to as the second sub-strain. For the induction of epileptic seizures, we used an audiogenic signal before the study to which the experimental animal responded with cramps. In particular, the trigger caused the development of myoclonic seizures with “limbic” localization. Long-term (15 min) exposure of KM rats to the action of sound according to a special scheme with alternating 10 s periods of strong and weak sound causes cerebral circulation disorders in them, externally manifested in the form of paresis and paralysis of the limbs. On the 3- and 6-months assessment of epileptic seizure with the trigger - sound in BK rats was performed [10-19].

Brain synaptic membrane fraction obtained from the adult albino rats of both sex is served as an investigation material. The synaptic membrane fraction is obtained by means of differential centrifugation, at 0.9-1.2 M concentration gradients of sucrose, according to De Robertis and Wittaker’s recommendations. Na, K-ATPase activity is measured as a sensitive part of total ATPase activity. The total ATPase incubation medium contained 140 mM NaCl, 5 mM KCl, and 50 mM Tris-HCl buffer at pH 7.7. Control was carried out under the following conditions: 1 mM ouabain, 145 mM KCl, and 50 mM Tris-HCl buffer at pH 7.7. Na, K-ATPase activity is calculated by the difference between these two assays. Samples are incubated at 37°C for 15min. The ATPase activity is calculated according to the inorganic phosphorus (Pi) amount (per mg protein and per hour) resulting from the enzyme-induced ATP hydrolysis. Inorganic phosphorus is evaluated calorimetrically by using the modified Fiske-Subbarow and Kazanov-Maslova methods. Protein concentration is assessed by the Lowry method [4,18,28].

Sulf-groups. Cysteine thiols and their oxidized disulfide analogs are carefully balanced to maintain redox homeostasis in various cellular compartments [28]. In this review, we discuss the role of protein thiols as scavengers of hydrogen peroxide in antioxidant enzymes, using thiol peroxidases to illustrate how thiols of the protein, non-protein, thiol group contribute to the transmission of redox signals; we will provide an overview of a diverse set of small molecular weight thiols [23,9]. Determination using the ELISA kit [18,19,22,23].

Radon measurement: in the Tskaltubo spa center, where natural mineral water is used, we measured radon radioactivity in water. The radioactivity of radon was 37 Becquerel (Bq) in 1 m³ (37 Bq/m³) [9,15,20-24,25].

Radon inhalations procedure: we placed 10 experimental animals (KM rats) in Tskaltubo mineral water spa's sauna (experimental group). Mineral water temperature was 36°C, and humidity was 90%. A Control group of 10 KM rats was placed in another spa center's sauna, where 36°C mineral water (without radon) was delivered via inhalation. Humidity in this spa center's experimental room was 90%. None (experimental and control group of rats) of the animals took a bath, they were just in two different saunas and living in the same conditions. Inhalation was administered through the nose, for 20 minutes, once a day, in conditions of high humidity (about 90%) for 10 days. After each procedure of inhalation, the rats were placed in a vivarium and given food and water [3,5,15,29].

